პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

9 თებერვალი **ოთხშაბათი** 2011

№031 (13328) ფასი 60 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# რანი ვიყავით, ვიცით, რანი ვართ, დღეს ვნახავთ



4

1997 წელი, 30 მარტი. საქართველო-სომხეთი 7:0

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოარქივიდან



# ვინ არის შენი ამხანაგი?

გერმანია VS იტალია

საფრანგეთი VS ბრაზილია

მესი VS რონალდო



ამხანაგური მატჩების წინ

5-8

ლელო ბიბლიოთეკა

# ქართული ფეხბურთი

**საქართველო-სომხეთის წინ**

## დღეს პრინციპის ამბავია

### ნაკრებს გურულიც გამოაკლდა



დღეს კვიპროსში, ლიმასოლის სტადიონი "ცირიონი" კავკასიურ დერბის მასპინძლობს - საქართველოს ეროვნული ნაკრები სომხეთისას ხვდება. მატჩი ამხანაგური, მაგრამ უაღრესად პრინციპულია. ევრო-2012-ის შესარჩევი ეტაპი ორივე ნაკრებმა წარმატებით დაიწყო, ჯგუფებში მესამე ადგილზე არიან და ამბიციაც მოსძალებიათ.

ფეხბურთის ფედერაციის პრესატაშე **ლაშა დვალიშვილმა** დასანანი ამბავი გვაცნობა:"*დღეს გუნდმა "ცირიონზე" ივარჯიშა. გუშინ საღამოს შემოგვიერთდნენ კახა კალაძე და სანდრო გურული, მაგრამ სანდროს არ უვარჯიშია - კუნთი აქვს დაჭიმული და მისი დატვირთვა არ შეიძლებოდა, რადგან კუნთის გაწყვეტის საფრთხე არსებობდა. ასე რომ, ხვალ სანდრო ვერ ითამაშებს. ყველა სხვა ფეხბურთელი ჯანმრთელადაა და მატჩისთვის ემზადება*".

ასე რომ, ლადო დვალიშვილის შემდეგ თემურ ქეცბაიას გუნდს კიდევ ერთი შემტევი გამოაკლდა. ამის მიუხედავად, საქართველოს ნაკრებში იმედიანი განწყობაა.

საქართველოსა და სომხეთის ეროვნული ნაკრებების მატჩი დღეს თბილისის დროით 17 საათზე დაიწყება. შეხვედრის პირდაპირ ტელერეპორტაჟს „საზოგადოებრივი მაუწყებელი" გადასცემს.

**მერაბ მამულაშვილი**

**სავარაუდო ტრანსფერი**

## კლიმიაშვილი ანჟიში დაიტოვეს

"ვიტ ჯორჯიას" გენერალურმა დირექტორმა **მალხაზ კაკურიძემ** გვაცნობა, რომ მახაჩყალის "ანჟის" მთავარმა მწვრთნელმა **გაჯი გაჯიევმა** 6 თებერვალს დასრულებული შეკრების შემდეგ გასაშვები და დასატოვებელი მოთამაშეები დაახარისხა, **ირაკლი კლიმიაშვილი** კი პოტენციურ ახალწვეულთა შორის მოხვდა.

სხვათა შორის, ირაკლის გადაცემით გაიტანა გოლი **გიორგი ილურიძემ** ჩერნოგორიულ "ზეტასთან" მატჩში, რომელიც დაღესტნელთა 1:0 გამარჯვებით დასრულდა. ამ მატჩის ვრცელ მიმოხილვაში ირაკლი განსაკუთრებულად გამოარჩიეს.

22 წლის ქართველი ფეხბურთელი 11-24 თებერვალს "ანჟის" მეორე თურქულ შეკრებაზეც გაჰყვება, საკონტროლო მატჩებში კიდევ დააკვირდებიან და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყდება, გაუფორმდება თუ არა კონტრაქტი.

კლიმაშვილის დამატება რუსთავის "ოლიმპს" სურდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ტრანსფერი ვერ განხორციელდება.

**მერაბ მამულაშვილი**

**სამზადისი. სამტრედია**

## სამტრედია კაპიკს კაპიკზე აწებებს

სეზონისთვის სამზადისის პროგრამით "სამტრედია" 7 თებერვალს ლანჩხუთში პირველლიგელ "გურიას" შეხვდა და 2:1 დაამარცხა. სამტრედიელებისგან თავი **პაატა ბაკარანძემ** და გასინჯვაზე მყოფმა წყალტუბოელმა **ხვადაგიანმა** გამოიჩინეს.

სამტრედია: **ჯინჭარაძე, კუპრეიშვილი, თ. შალიკაშვილი, ხუმარაშვილი, კირთაძე - ლ. კირკიტაძე, ჩომახიძე, ნინიკაშვილი, ხვადაგიანი – ბაკარანძე, ბოხუა.**

შეცვლაზე შევიდნენ: **ნინუა, თევზაძე, ჩხიკვაძე.**

რა შემადგენლობით დაუპირისპირდება 12 თებერვალს ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპის პირველ მატჩში "სამტრედია" ფოთში "კოლხეთს", ჯერაც უცნობია. გუნდის მთავარი მწვრთნელის, **ლევან ანჯაფარიძის** თქმით, უახლოეს დღეებში იტყვის, ვის დატოვებს და ვის გაუშვებს.

კლუბში კი კვლავ რთული ვითარებაა. გუნდის დასახმარებლად გამართულ საქველმოქმედო აქციაზე შეგროვებულ 11 ათას ლარს რამდენიმე შეძლებულმა ადამიანმა 15 ათასი დაამატა, ეს 26 ათასი რაიონის ბიუჯეტიდან გამოყოფილ 44 ათასს მიემატა და 70 ათასი ლარი გამოვიდა. სიმწრით შეგროვებული ეს თანხა ნორმალურ კლუბს ერთი თვე თუ ეყოფა, მეორე ეტაპზე უმაღლესი ლიგაში ღირსეული გამოსვლისთვის კი, ცხადია, არასაკმარისია.

**მერაბ მამულაშვილი**

**სამზადისი. ოლიმპი**

## ჯაფარიძე ოლიმპს დაუბრუნდა

### დობროვოლსკი მარცხნივ და უკან

რუსთავის "ოლიმპმა" მორიგი საკონტროლო შეხვედრა პირველლიგელ თსუ-ს 6:2 მოუგო. თავი გამოიჩინეს **მოდებაძემ (2), ბოლქვაძემ, დობროვოლსკიმ, უგულავამ** და **ბახტაძემ**.

ოლიმპი (პირველ ტაიმში): **ბედიაშვილი - მურველაშვილი, ქემოკლიძე, კვახაძე, დობროვოლსკი - ბოლქვაძე, ტყემალაძე - მაისურაძე, რაზმაძე, გეწაძე - მოდებაძე.**

მეორე ტაიმში: **ბათიაშვილი - ჯაფარიძე, ქემოკლიძე, სარაჯიშვილი - ქავთარაძე - ბახტაძე, ჭელიძე, გორდეზიანი, ბეროშვილი - სეთურიძე, უგულავა.**

„ოლიმპის" მთავარ მწვრთნელ **თორნიკე მაისურაძის** თქმით, გუნდს დაუბრუნდა ნალჩიკის "სპარტაკში" გასინჯვაზე მყოფი **ლაშა ჯაფარიძე**. სხვათა შორის, მან თსუ-სთან მარჯვენა მცველად ითამაშა. კიდევ ერთი მოულოდნელობა დობროვოლსკის პოზიციის შეცვლაცაა - მას მწვრთნელი მარცხენა მცველად ცდის.

ცხადია, არ გეცნოთ სარაჯიშვილი და ბეროშვილი - ისინი ჯერ ისინჯებიან.

**მერაბ მამულაშვილი**

## სომხები ქართველებთან რუსებისთვის მოემზადებიან

საქართველოსა და სომხეთის ეროვნული ნაკრებების ლიმასოლში დღეს გასამართმა ამხანაგურმა შეხვედრამ სომხეთში დიდი ინტერესი გამოიწვია. კავკასიური დერბი ყოველთვის და ყველა სფეროში საინტერესოა, მით უფრო მაშინ, როდესაც სომხეთი საქართველოს ხვდება – ჩვენს მეზობლებს ყოველთვის აქვთ სურვილი, საქართველოს ფეხბურთშიც აჯობონ.

სომხების მზადებაზე ინფორმაციებს "არმფუტბოლსა" და "პანარმენიანზე" გავეცანით. კვიპროსულ შეკრებაზე გამოცხადდა "კრასნოდარის" თავდამსხმელი **იური მოვსისიანი**, ბაქოდან ამერიკაში წასული სომხების შთამომავალი, რომელიც დანიის "რანდერსდან" რუსეთის პრემიერლიგის კლუბში წლეულს გადავიდა. საინტერესოა, რომ მოვსისიანმა ისტორიული სამშობლო პირველად მხოლოდ შარშან ნახა.

მოვსისიანს **ვარდან მინასიანის** განვრთნილი ნაკრების დახასიათება სთხოვეს:"*ახლა სომხეთს ახალგაზრდული, პერსპექტიული და, რაც მთავარია, სწრაფი ნაკრები ჰყავს. ასეთთან თამაში ნებისმიერ მოწინააღმდეგეს გაუჭირდება. ჩვენი მწვრთნელი კომბინაციურ ფეხბურთს ითხოვს და არა სხვებივით "დაარტყი-გაიქეცის". ფეხბურთის მისეული ხედვა და მუშაობის სტილი ფეხბურთელებს ძალიან მოგვწონს*".

სომხური ინტერნეტგაზეთების ცნობით, საქართველოს ნაკრებთან ვერ ითამაშებს სომხეთის 2010 წლის საუკეთესო ფეხბურთელი **კარენ მკრტიჩიანი**. ერევნის "პიუნიკის" 22 წლის ნახევარმცველი ამბობს, საქართველოსთან მატჩიდან დასკვნები უნდა გამოვიტანოთ, შემდგომში იგივე შეცდომები რომ არ გავიმეოროთო.

ნაკრებს ვერც პირველი მეკარე **რომან ბერეზოვსკი**, მცველი **ვააგ მინასიანი**, ნახევარმცველი **ლევონ პარაჯიანი**, საყრდენი **კარლენ მკრტიჩიანი** და თავდამსხმელი **ოვანეს გორიანი** დაეხმარებიან.

დონეცკის "შახტარის" თავდამსხმელი **ჰენრიხ მხითარიანი**: "*ეს ამხანაგური მატჩი მწვრთნელს მისცემს საშუალებას, წლის ოპტიმალური შემადგენლობა შეარჩიოს და ფეხბურთელთა შესაძლებლობებს გაეცნოს. ყველაფერი მწვრთნელის ხელშია, კარგი სტრატეგიის შემთხვევაში კარგი ფეხბურთის ჩვენებასა და მოგებას შევძლებთ*".

**რობერტ არზუმანიანი**, პოლონური "იაგელონიას" მცველი:"*ნაკრებისთვის ყველა ამხანაგური შეხვედრა მნიშვნელოვანია და ერთმანეთის უკეთ გაცნობაში, შეცდომების გამოსწორებაში, ოფიციალური შეხვედრებისთვის მომზადებაში დაგვეხმარება. კლუბებისგან განსხვავებით, ნაკრებში წელიწადში სულ 5-6-ჯერ თუ ვიკრიბებით. ამიტომაც, ქართველებთან მატჩი მოსამზადებლად უმნიშვნელოვანესია*".

სომხეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ვარდან მინასიანმა** 9 თებერვლის ტაქტიკაზე ილაპარაკა:"*რუსეთთან შეხვედრამდე ეს ბოლო მოსამზადებელი მატჩია და ქართველებთანაც იმავე ტაქტიკით ვითამაშებთ, რომლის გამოყენებასაც რუსეთთან 26 მარტის საშინაო შეხვედრაში ვაპირებთ*".

სხვათა შორის, სომხეთ-რუსეთის 26 მარტის დაპირისპირებაზე აგორდა ხმები, თითქოს ჩვენს სამხრეთელ მეზობლებს ჩრდილოელებმა მატჩის დათმობა სთხოვეს. ამან ორივე ქვეყნის საფეხბურთო წრეები ალაშფოთა, როგორ გეკადრებათ, მსგავსი რამ გულშიც არ გაგვივლიაო.

**მერაბ მამულაშვილი**

**პრესკონფერენცია**



ნიკო პატარქალიშვილი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

## არგენტინული თერთმეტეულისა და პელეს ამბები

შარშანდელი პროექტის ჩაშლის მიუხედავად, **ნიკო პატარქალიშვილი** საფეხბურთო საქმიანობას კვლავ განაგრძობს და ახალი იდეების განსახორციელებლად მუშაობს. პატარქალიშვილმა, რომელიც საქართველოში არგენტინულ საფეხბურთო კომპანია GEHARG SPORTS-ის წარმომადგენელია, გუშინ გეგმები გაგვიმხილა.

თუ გახსოვთ, რამდენიმე წლის წინ მისი მეშვეობით "ბორჯომში" არგენტინელი ფეხბურთელები ჩაირიცხნენ. თუ **გონსალო დე პორასი** და **დარიო სებალე** უდავოდ მაღალი დონის ფეხბურთელები იყვნენ, მათ შემდეგ ჩამოყვანილმა შვიდეულმა იმედები ვერ გაამართლა. ასეა თუ ისე, ქართველ გულშემატკივარს კარგად ახსოვს არგენტინელებით გაძლიერებული "ბორჯომი" და ახლა დიდი ალბათობაა იმისა, რომ ამ ქვეყნიდან ჩამოსულები სხვა ქართული კლუბების შემადგენლობაშიც ვიხილოთ.

უპირველესად პატარქალიშვილის მიერ მოწოდებულ 11-კაციან სიას გადავხედოთ: **ლუკას აბუდი – მეკარე, 25 წლის; მარტინ მოხანო – მეკარე, 19 წლის; ტომას ფარინა – მცველი, 22 წლის; ხულიო სესარ ალბინოსი – მცველი, 20 წლის; ფედერიკო როდრიგესი – ნახევარმცველი, 22 წლის; ნიკოლას კასტრო – ნახევარმცველი, 24 წლის; ადრიან ლუსერო – ნახევარმცველი, 27 წლის; ფედერიკო პელისიონი – ნახევარმცველი, 21 წლის; მარსელო მარსორატი – ნახევარმცველი, 24 წლის; მასიმილიანო კინტეროსი – თავდამსხმელი, 22 წლის; ესტებან კასინო – თავდამსხმელი, 24 წლის.**

პატარქალიშვილი ამ ფეხბურთელების საქართველოში ჩამოყვანას თებერვალში აპირებს და სურს, მათ ქართული კლუბები დააკვირდნენ. იგი დარწმუნებულია, რომ არგენტინელთა დიდი ნაწილი აქ მოწონებას დაიმსახურებს და ჩვენი ჩემპიონატი საინტერესო ფეხბურთელებით გაძლიერდება.

ამ მოთამაშეთა ნაწილზე ინტერნეტით მცირე ინფორმაციის მოძიება შევძელით და ზოგი მათგანის სავიზიტო ბარათში არგენტინის პრიმერა დივიზიონის კლუბებსაც წავაწყდით.

"*ამ ფეხბურთელთა შესახებ დეტალურ ინფორმაციას ვფლობ და დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ისინი საქართველოს ჩემპიონატს ხიბლს შემატებენ და მაყურებელს სტადიონზე დააბრუნებენ. ჩემი კონტაქტების საშუალებით შევეცდები, ქართული ფეხბურთის განვითარებაში მოკრძალებული წვლილი შევიტანო. არგენტინელ ფეხბურთელთა ჩამოსვლასთან დაკავშირებით უფრო დეტალურ ინფორმაციას რამდენიმე დღეში მოგაწვდით*", - გვითხრა პატარქალიშვილმა.

ჩამოთვლილ ფეხბურთელთა ნაწილი GEHARG SPORTS-თან თანამშრომლობს, ნაწილი კი საქართველოში ასევე არგენტინული კომპანია D-Team-ის მეშვეობით აპირებს ჩამოსვლას. პატარქალიშვილს ამ ორგანიზაციასთანაც ასევე მჭიდრო კონტაქტები აქვს.

რაც შეეხება მის სხვა პროექტებს: როგორც გვითხრა, მოლაპარაკებებს აწარმოებს არგენტინის ბიზნესწრეებთან იმისთვის, რომ ამ ქვეყნის ბიზნესმენები საქართველოში ფულის ჩადებით დააინტერესოს. აპრილისთვის საქართველოს შავიზღვისპირეთში არგენტინელი საქმოსნების ვიზიტი იგეგმება და სტუმრები სასტუმროების აშენების შესაძლებლობას განიხილავენ. როგორც იცით, ინვესტორებს, რომლებიც ანაკლიის ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებაზე იზრუნებენ, საქართველოს მთავრობა მნიშვნელოვან შეღავათებს ჰპირდება და შესაძლოა, არგენტინელებისთვის ეს წინაპირობა მიმზიდველი აღმოჩნდეს. რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სამხრეთამერიკელები აჭარაში ბავშვთა საფეხბურთო სკოლის გახსნასაც არ გამორიცხავენ.

ბუნებრივია, პატარქალიშვილს საქართველოში **პელეს** ჩაშლილ ვიზიტსა და ვერგამართულ ოთხთა ტურნირზე დავეკითხეთ. შეგახსენებთ, იგი ფეხბურთის მეფის ჩამოყვანასა და საქართველო-ბრაზილია-არგენტინა-ურუგვაის ახალგაზრდული ნაკრებების მონაწილეობით ოთხთა ტურნირის ჩატარებას გასული წლის შემოდგომაზე აპირებდა, მაგრამ პროექტი უსახსრობის გამო ვერ განხორციელდა.

პატარქალიშვილს ამ იდეაზე ხელი ჯერ არ აუღია, შეეცდება, პელე და ტურნირი მიმდინარე წლის შემოდგომაზე გვაჩვენოს. ამაში კი, უპირველესად, საქართველოს პრეზიდენტის იმედი აქვს. მიზეზთა გამო, აქამდე პატარქალიშვილმა **მიხეილ სააკაშვილს** ხმა ვერ მიაწვდინა, ახლა კი მისთვის გაგზავნილ წერილზე ელის რეაქციას.

"*ჩემი სამხრეთამერიკელი პარტნიორები ყველანაირი თანამშრომლობისთვის მზად არიან და შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა, რომ სათანადო დაფინანსების შემთხვევაში პელეც ჩამოვა და მაღალი დონის ტურნირსაც ჩავატარებთ. პრეზიდენტსა და მთავრობას ფულისთვის არ ვაწუხებ, მე მათგან მხოლოდ სიტყვიერი თანადგომა მჭირდება, რაც ჩემი იდეებით სპონსორების დაინტერესებას გამოიწვევს*", - ამბობს პატარქალიშვილი.

**ლევან ჯანეზაშვილი**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამზადისი. დინამო

# ეს უკვე მატებაა


ბორუტ სემლერი

თურქული შეკრებიდან ჩამოსული თბილისის „დინამო" მეორე ეტაპისათვის მზადებას დიღმის საწვრთნელ ბაზაზე აგრძელებს, თანაც, დღე არ გავა, ჩვენს ყველაზე ტიტულოვან კლუბში „მატება" არ იყოს. სხვათა შორის, სამი დღის წინ „ლელოსთან" ინტერვიუში „დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა **კახა კაჭარავამ** „პირობა მოგვცა", ჩემპიონატის განახლებამდე გუნდში არაერთ ახალ სახეს ნახავთო და ასეც არის. მაგალითად, ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ „დინამოში" გააგრძელებს კარიერას 24 წლის სერბი ნახევარმცველი **სემირ ჰაჯიბულიჩი,** ვინც ჯერ სამშობლოში ასპარეზობდა, ბოლო ორი წელი კი ალბანურ გუნდებში თამაშობდა. ჰაჯიბულიჩი უკვე თბილისშია და „დინამოსთან" ერთად ვარჯიშობს, დღეს კი დიღმის საწვრთნელ ბაზაზე 30 წლის ჩეხს **ირჟი ჰომოლას** ელოდებიან. ტანმაღალი ცენტრალური მცველი წლების განმავლობაში ჩეხეთის წამყვან კლუბებში („სპარტა", „იაბლონეცი") ასპარეზობდა, ერთი სეზონი თურქეთის უმაღლეს ლიგაშიც აქვს ნათამაშები და ასეთი გამოცდილი უკანახაზელის დამატება „დინამოს" უთუოდ გააძლიერებს. სხვათა შორის, ჰომოლამ და ჰაჯიბულიჩმა „დინამოსთან" ერთად თურქული შეკრება გაიარეს და რამდენიმე საკონტროლო მატჩიც ჩაატარეს; ანუ, „დინამოს" სამწვრთნელო შტაბი ამ ფეხბურთელთა შესაძლებლობაში უკვე დარწმუნებულია და კონტრაქტების გაფორმებაც, ფაქტობრივად, დროის ამბავია; „დინამოს" კიდევ ერთი საინტერესო შენაძენი უნდა იყოს 24 წლის **პეტარ იელიჩი,** ვინც კარიერა ბოსნიურ „მოდრიჩში" დაიწყო, გარკვეული პერიოდი გერმანიაში გაატარა, 2007-10 წლებში ბელგრადის ოფკში თამაშობდა, ბოლოს კი (შარშანდელი სეზონი) რუსეთის პირველ ლიგაში, კერძოდ, ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგაში" ასპარეზობდა. ტანმაღალი ფორვარდის (იელიჩის სიმაღლეა - 1,87 მ) მიმართ „დინამო" რომ დიდ ინტერესს იჩენდა, ის ფაქტიც ადასტურებს, რომ თურქული შეკრების დროს კახა კაჭარავა „ვოლგას" საკონტროლო მატჩს დაესწრო. ფაქტია, რომ იელიჩმა კაჭარავას თავი მოაწონა და ამჟამად ისეთი სიტუაციაა, რომ სერბული წარმოშობის ბოსნიელი ფორვარდი, დიდი ალბათობით, „დინამოში" გააგრძელებს თავის კარიერას.

გუშინ კი დიღმის საწვრთნელ ბაზაზე კიდევ ერთი პოტენციური ახალწვეული გამოჩნდა: სლოვენიელი ნახევარმცველი **ბორუტ სემლერი.** „დინამოს" სხვა ახალწვეულებისგან განსხვავებით, სემლერი ფიზიკური აღნაგობით ვერ დაიტრაბახებს (სიმაღლე - 1,70 მ), თუმცა 25 წლის სლოვენიელ ნახევარმცველს არცთუ ურიგო ბიოგრაფია აქვს: პირველი კლუბი მიუნხენის „ბაიერნის" მოყვარულთა გუნდი იყო, საიდანაც ხორვატულ „ვარტექსში" გადავიდა. ამის შემდეგ ორი სეზონი სლოვენიის უმაღლეს ლიგაში ასპარეზობდა: ჯერ - „დომჟალეში", მერე - „დრავაში". იელიჩის მსგავსად, წინა სეზონი სემლერმაც რუსეთის პირველ ლიგაში გაატარა და სარანსკის „მორდოვიას" წამყვანი მოთამაშე გახლდათ. 2004-07 წლებში სემლერი სლოვენიის ნაკრებშიც ასპარეზობდა და ამ გუნდის შემადგენლობაში 7 მატჩი აქვს ჩატარებული.

უცხოელების გარდა, „დინამოში"... ქართველი ახალწვეულიც არის: პრაქტიკულად გადაწყვეტილი ამბავია, რომ სამშობლოში გააგრძელებს კარიერას 23 წლის ნიჭიერი უნივერსალი **ზურაბ არზიანი.** ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, არზიანი საკმაოდ გამოცდილ ფეხბურთელადაც უნდა მივიჩნიოთ; თანაც, ნახევარდაცვისა და შეტევის სხვადასხვა პოზიციებზე ერთნაირი წარმატებით მოასპარეზე არზიანმა ეს გამოცდილება რუსულ პრემიერლიგაში მიიღო, როცა „სატურნის", „რუბინისა" და „ანჟის" ღირსებას იცავდა. იმასაც შეგახსენებთ, რომ ზურაბ არზიანის მამა, **მალხაზ არზიანი** გასული საუკუნის 80-90-იანი წლების „დინამოს" ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი გახლდათ. აქვე, იმასაც ვიტყვით, რომ „დინამოსთან" ერთად ვარჯიშობს **ლევან ხმალაძე,** თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით მეტ ინფორმაციას არ ვფლობთ. დაბოლოს, დავძენთ, რომ „დინამოში" სელექციის პროცესი კვლავაც გრძელდება და „სატრანსფერო ფანჯრის" დახურვამდე, არ არის გამორიცხული სხვა სიახლეების შესახებაც რომ შევიტყოთ.

**გია ტუხაშვილი**

სამზადისი. სიონი

# ფრიადი ბოლო საკონტროლოში

ბოლნისის „სიონმა" ჩემპიონატის მეორე ეტაპის დაწყებამდე ბოლო საკონტროლო მატჩი ჩაატარა და წინა შეხვედრისაგან განსხვავებით, **გიორგი ყიფშიძის** გუნდმა ამჯერად წარმატებით იასპარეზა და თბილისის სტუ (მთავარი მწვრთნელი - **გოჩა ჟორჟოლიანი**) დიდი ანგარიშით (5:0) დაამარცხა.

ანგარიში მე-9 წუთზე **გივი დიდავამ** გახსნა — ქართული ფეხბურთის ვეტერანმა **რევაზ ჯიქიას** ნაქცევისათვის დანიშნული პენალტი ზუსტად გამოიყენა;

21-ე წუთზე კი თავი ახალგაზრდა **ვილი ისიანმა** გამოიჩინა და სტუდენტების კარში მეორე გოლი გაიტანა. მეორე ტაიმში ბოლნისელთა უპირატესობა კიდევ სამ გოლში გამოიხატა, თანაც მოწინააღმდეგის კარში გოლები შეცვლაზე შემოსულმა ფეხბურთელებმა გაიტანეს: **მანუჩარ ოქროპირიძემ, გიორგი რეხვიაშვილმა** და **ნიკა კვასხვაძემ.**

სტუ-სთან მატჩში „სიონმა" ასეთი შემადგენლობით იასპარეზა: **მერლანი-ქორიძე, ორბელაძე, თარგამაძე, ლ. ვაშაკიძე-დიდავა, ლ. ნოზაძე, გოგობერიშვილი-ისიანი, ჩირიკაშვილი-რ. ჯიქია.**

შეცვლაზე შევიდნენ: **გ. ოქროპირიძე, მ. ოქროპირიძე, გ. მელქაძე, ლ. ჩხეტიანი, ნ. კვასხვაძე, ს. ადამაშვილი.**

სხვათა შორის, „სიონის" შემადგენლობაში მეორე ტაიმში ახალწვეულმაც ითამაშა: თბილისის „დინამოს" ყოფილმა ნახევარმცველმა **გიორგი ქუცურუამ,** ვინც თავის დროზე ბოლნისელთა გუნდის ღირსებასაც იცავდა.

ტრავმის გამო „სიონს" **მიხეილ კობაური** და **გიორგი ჩივაძე** აკლდნენ, ხოლო გუნდის პოტენციურმა ახალწვეულმა **კახა ჩხეტიანმა** ბოლნისურ კლუბთან პირობებზე ვერ მოილაპარაკა და გუნდი დატოვა.

**გია ტუხაშვილი**

# ჩანგელია მეთოფეებში ჩაეწერა

კიევის "არსენალმა" წარმოშობით ქართველ მეკარე **ვლადისლავ ჩანგელიას** კონტრაქტი ოფციონის წესით (2+1) გაუფორმა.

ჩანგელია "არსენალის" გაზრდილია, თამაშობდა "ზაკარპატიეში", "ობოლონსა" და ვინიცის "ნივაში", 2007 წელს კი თბილისის "ამერში" ირიცხებოდა. ის "მეთოფეთა" მთავარ მწვრთნელ **იური ბოკალოვს** თურქულ შეკრებაზე მოეწონა.

**მერაბ მამულაშვილი**

ზესტაფონი

# ზესტაფონმა მარბელია მარბიელად დაასრულა

**ზესტაფონი–ლოკომოტივი 3:0**

1:0 წინამძღვრიშვილი (12), 2:0 ი. ტოდოროვი (80. საკ. კარში), 3:0 გრიგალაშვილი (82. პენ.)

ზესტაფონი: რ. კვასხვაძე (82. მეშველიანი) – ალადაშვილი (46. ბენაშვილი), მ. კობახიძე (66. გრუიცა), გ. ონიანი, ელიავა (77. ჩიხლაძე) – გორგიაშვილი, გრიგალაშვილი, აფციაური (61. ფიფია), ბაბუნაშვილი (54. ძარია) – დვალი (65. ლომია), წინამძღვრიშვილი (77. ჭანკოტაძე).

ლოკომოტივი: ტ. ტოდოროვი (71. სტავრევი) – გეორგიევი, კავდავსკი (59. სანდანსკი), ბენჟელუნი (90. მარჩევი), ი. ტოდოროვი – ვიტანოვი (46. ეროში), ზლატინსკი, ბარიენტოსი, სერჟინიო (46. დოიჩიჩი) – ლაზაროვი, ოგუნსოტო (46. რაიმონდი).

არბიტრი: ფ. კარავაკა (ესპანეთი)

"ზესტაფონმა" "მარბელიას თასზე" ასპარეზობაც დაასრულა და ესპანური შეკრებაც. **გია გეგუჩაძის** გუნდმა გუშინ ამ ტურნირზე მეშვიდე ადგილისთვის ითამაშა და ბოლო საფეხური ასეთი სოლიდური გამარჯვებით აირიდა. პროგნოზებით, ზესტაფონელთა და პლოვდიველთა გამარჯვების შანსები დაახლოებით თანაბრად ფასობდა, მაგრამ ქართველები სათამაშო და ტერიტორიულ უპირატესობას თავიდანვე დაეუფლნენ და მეტოქე დამაჯერებლად დაამარცხეს.

შეხვედრის დებიუტში **რატი წინამძღვრიშვილმა** ანგარიში **კახა ალადაშვილის** პასით გახსნა. "ზესტაფონი" ამის შემდეგაც ენერგიულად გამოიყურებოდა. **ჯაბა დვალმა** ანგარიშის გაზრდის კარგი შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან. ბულგარელებს გასათანაბრებლად ცდა არ დაუკლიათ, მაგრამ **იორდან ტოდოროვის** ავტოგოლმა ყველაფერს ნათელი მოჰფინა. "ლოკომოტივის" მცველს "თავის გამოჩენაში" გადაცემით **ალექსი ბენაშვილი** "დაეხმარა". წერტილი კი **შოთა გრიგალაშვილმა** დასვა **საბა ლომიას** ნაქცევისთვის დანიშნული თერთმეტმეტრიანით.

შეგახსენებთ, "ზესტაფონმა" ესპანეთში ოთხი მატჩი ჩაატარა – აქედან სამი "მარბელიას თასის" ეგიდით, ერთი კი ამ ტურნირის დაწყებამდე. თავდაპირველად ფეროელები პოლონურ "ლეხს" 2:2 დაუზავდნენ (გოლები: წინამძღვრიშვილი, **ძარია**), ტურნირის მეოთხედფინალში ჩეხურ "სპარტასთან" 0:5 განადგურდნენ, შემდეგ კი იყო 2:2 კიევის "დინამოსთან" (**გორგიაშვილისა** და წინამძღვრიშვილის გოლებით).

როგორც ხედავთ, ზესტაფონელთა საუკეთესო მეგოლე რატი წინამძღვრიშვილი გახდა, რომელმაც 4 შეხვედრაში თავი სამჯერ გამოიჩინა. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ **ნიკოლოზ გელაშვილი** გუნდს დატოვებს და როგორც ჩანს, მის არყოფნაში "ზესტაფონს" შეტევაში პრობლემები არ ემუქრება. სასიამოვნოა, რომ თითქმის სამწლიანი იძულებითი უქმობის შემდეგ წინამძღვრიშვილი ძველებურად ეფექტურია.

"ზესტაფონი" დღეს მალაგა-ბარსელონა-მიუნხენი-თბილისის მარშრუტით დაბრუნდება.

"მარბელიას თასი" უკრაინულმა "დნიპრომ" მოიგო, რომელმაც ფინალში ვარშავის "პოლონიასთან" 0:0 ითამაშა, პენალტების სერია კი 6:5 დასრულდა. "დნიპროს" შემადგენლობაში იყვნენ ექსზესტაფონელი მცველი **უჩა ლობჯანიძე** და ქართული წარმოშობის ფორვარდი **ევგენი ბოხაშვილი.**

მესამე ადგილისთვის მატჩში პრაღის "სპარტამ" სანკტ-პეტერბურგის "ზენიტს" 2:1 მოუგო, მეხუთე ადგილი კი კიევის "დინამომ" დაიკავა, რომელმაც კრასნოდარის "ყუბანს" პენალტების სერიით სძლია.

**ლევან ჯანეზაშვილი**

კოლხეთი

# კოლხეთი პირველი მასპინძელია

გუშინ ურეკში ფოთის "კოლხეთმა" ზამთრის შეკრების ბოლო ტესტმატჩი ჩაატარა. **ბესიკ შეროზიას** გუნდი გორის "დილას" გაეჯიბრა და 2:0 გაიმარჯვა. ფოთელებმა ორივე გოლი პირველივე ტაიმში გაიტანეს, თავი **ცხვიტარიამ** და **კვერენჩხილაძემ** გამოიჩინეს.

შეროზიამ მეტოქეს ოპტიმალურთან მიახლოებული ძირითადი შემადგენლობა დაუპირისპირა, მეორე ტაიმში კი თავის გამოჩენის საშუალება რეზერვისტებსაც მისცა: **ძაგანია (ვ. ლობჯანიძე) – ცხვიტარია (გეგელია), მახვილაძე, ინწკირველი, მეგრელიშვილი (ქორჩილავა) – გულუა (ბარამიძე), გოგონაია (გავაშელიშვილი), კვერენჩხილაძე (წიქარიშვილი), გვალია (ხარჩილავა), მოისწრაფიშვილი (გელაჭეიშვილი) – მდივნიშვილი.**

შეროზია სეზონის განახლებამდე ორი გამოცდილი ფეხბურთელის დამატებას გეგმავს. შეგახსენებთ, ზამთრის სატრანსფერო პერიოდში "კოლხეთს" **მიხეილ მახვილაძე** და **ალექსანდრე ინწკირველი** დაუბრუნდნენ.

ჩემპიონატი ყველაზე ადრე ფოთში განახლდება – 12 თებერვალს "კოლხეთი" "სამტრედიას" უმასპინძლებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

რეგიონი

# მარადიული გურული საკითხავი: ლანჩხუთი თუ ოზურგეთი?

## ფეხბურთის ფედერაციის მილიონიანი ინვესტიცია გურიაში

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ოზურგეთის სტადიონის რეკონსტრუქციას და მის თანამედროვე დონეზე მოწყობას აპირებს. საამისოდ სამშენებლო ორგანიზაცია „დაგის" წარმომადგენლები ოზურგეთში უკვე იმყოფებოდნენ. როგორც შევიტყვეთ, განახლებული არენა 5-ათასიანი იქნება, დამონტაჟდება პლასტმასის ინდივიდუალური სკამები, მოეწყობა გასახდელები... ლაპარაკია მილიონიან დაფინანსებაზე.

რა თქმა უნდა, მისასალმებელია, რომ ფეხბურთის ფედერაციამ **ნოდარ ახალკაცის** მმართველობის დროინდელი „მივიწყების" შემდეგ გურიისკენ გამოიხედა – **ზვიად სიჭინავას** აქტივში ჩაეთვლება რეგიონული ფედერაციის ოფისის მოწყობა და ოზურგეთის სტადიონის რეკონსტრუქცია. მართალია, გურიას **მერაბ ჟორდანიაც** აქცევდა ყურადღებას, თუმცა რეგიონში მისი მხარდაჭერით მხოლოდ ერთადერთი კლუბი - „გურია" სარგებლობდა, რაც ლანჩხუთისა და ოზურგეთის საფეხბურთო დაპირისპირების მიზეზიც იყო. (ჟორდანია არც მალავდა, რომ მისთვის გურიის საფეხბურთო ცენტრი ლანჩხუთი იყო).

მისგან განსხვავებით, ნეიტრალურ პოზიციაზეა და უფრო სამართლიანად იქცევა სფფ-ის ამჟამინდელი თავკაცი, რასაც ზემოთ ნახსენები ფაქტიც ადასტურებს.

თუმცა ფედერაციის პრეზიდენტად არჩევისას ზვიად სიჭინავაც აცხადებდა, რომ პრიორიტეტი მისთვის „გურია" იყო. ლანჩხუთურ კლუბს იგი ქართული ფეხბურთისთვის პრიორიტეტულ ოთხ კლუბს შორის ასახელებდა „ტორპედოს", „კოლხეთსა" და „ბათუმთან" ერთად. მოგვიანებით სიჭინავამ „გურია" იმ 9 კლუბს შორისაც მოიხსენია, ვისთვისაც სპონსორების მოძიებით იყო დაკავებული. ახლახან რეგიონში ვიზიტისას ქართული ფეხბურთის მესაჭემ გრიგოლეთის ბაზის რეკონსტრუქციაზე ილაპარაკა და ლანჩხუთის სტადიონისთვის 4 ათასი ინდივიდუალური სკამის ჩუქების დაპირებაც გასცა.

ამის შემდეგ ფეხბურთის ფედერაციის მიერ ოზურგეთის არენის გარემონტების გადაწყვეტილებამ გურიის საფეხბურთო კულუარებში ბევრი კითხვა დაბადა.

*კომენტარისთვის გურიის ფეხბურთის ფედერაციის თავკაც კახა ებრალიძეს დავუკავშირდით:*

**– ოზურგეთში ახალი სტადიონი კეთდება. რაოდენ არაკორექტულადაც უნდა ჟღერდეს, ამას საფეხბურთო ლანჩხუთი მაინც იკითხავს – რატომ ოზურგეთში და არა პრიორიტეტად მიჩნეულ ლანჩხუთში?**

– ოზურგეთის რაიონის ხელმძღვანელებმა ზვიად სიჭინავას თხოვნით მიმართეს, დახმარებოდა სტადიონის კეთილმოწყობაში. ფედერაციის თავკაცმა დამავალა დეტალებში გარკვევა, აინტერესებდა, სტადიონის გაკეთების შემთხვევაში რა თანხა გამოიყოფოდა მის შესანახად. შევხვდი ოზურგეთის გამგებელ გია ტაკიძეს. მან მითხრა, რომ ახლა სტადიონის შესანახად 46 ათასი ლარია ბიუჯეტში გათვალისწინებული და თუ სტადიონი გარემონტდება, თანხაც მნიშვნელოვნად გაიზრდება. ამასთან, გაფორმდება ხელშეკრულება ფედერაციასა და მუნიციპალიტეტს შორის, რაც იმის გარანტია იქნება, რომ გარემონტებული არენა უპატრონოდ არ დარჩება.

ოზურგეთში სტადიონის გაკეთება გურიის ფეხბურთისთვის მნიშვნელოვანი ფაქტია. ჩვენ კიდევ ბევრი პროექტი გვაქვს. ზვიად სიჭინავა ლანჩხუთის არენისთვის 4 ათასი ინდივიდუალური სკამის გადმოცემას დაგვპირდა. ფეხბურთის ფედერაცია გრიგოლეთის ბაზის რეკონსტრუქციასაც აპირებს, რაც მთლიანად ქართულ ფეხბურთს წაადგება. უყურადღებოდ არც ჩოხატაური დაგვრჩება.

*დავუკავშირდით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ზვიად სიჭინავასაც:*

**– გურიაში ნამდვილად კარგ პროექტებს ახორციელებთ – რეგიონული ოფისი ლანჩხუთში, ახლა სტადიონი ოზურგეთში...**

–გურიას განსაკუთრებულ ყურადღებას იმიტომ ვაქცევთ, რომ ეს რეგიონი აქამდე მივიწყებული იყო.

**– კონკრეტულად ოზურგეთის სტადიონზე გვითხარით – რა ტევადობის არენა კეთდება, როგორი იქნება დაფინანსება?**

– ეს იქნება სამიათასადგილიანი კოხტა სტადიონი. გვსურს, რომ ის რეგიონული ფედერაციის დაქვემდებარებაში გადავიდეს. რაც შეეხება ფინანსებს, ხარჯთაღრიცხვა ჯერ არ გაკეთებულა და ამიტომ ვერ გეტყვით.

**– თქვენი წინამორბედი გურიის რეგიონს არ სწყალობდა, ფედერაციის უფრო ადრინდელი თავკაცი კი მხოლოდ „გურიას" ეხმარებოდა. ლანჩხუთურ კლუბს თქვენც გურიაში პრიორიტეტულად მიიჩნევდით. რა ხდება – სიტუაცია იცვლება თუ...**

– არა, რატომ იცვლება? „გურია" რჩება პრიორიტეტად. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მხოლოდ პრიორიტეტებით შემოვიფარგლებით – სტადიონები და ზოგადად ინფრასტრუქტურა უნდა განვითარდეს ოზურგეთშიც, ჭიათურაშიც და ყველგან.

**– გეთანხმებით, თუმცა თქვენც დამეთანხმეთ, რომ ინტრიგა მაინც რჩება: რატომ დაიწყეთ ოზურგეთით და არა – ლანჩხუთით?**

– მე რომ ახლა ლანჩხუთში 10 ლარი ჩავდო, საჭირო კი იყოს 50, ამას არ გავაკეთებ. ამ ეტაპისთვის რისი საშუალებაც გვაქვს, იმის მიხედვით ვმოქმედებთ.

**– გრიგოლეთის საწვრთნელ ბაზასთან დაკავშირებით რაიმე სიახლე ხომ არ არის?**

–ამ საკითხზე მოლაპარაკებას გურიის გუბერნატორთან გავმართავთ, სავარაუდოდ, პრობლემები არ იქნება.

**მამუკა ქანთარია**


ოზურგეთის სტადიონი: აქ ბევრი რამ შეიცვლება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

საქართველო-სომხეთი

ისტორია

# ვჭრობდით და ვჭრობთ: სანაკრებოზეც და საკლუბოზეც

**„ლელოს“ გუშინდელ ნომერში ჩვენი დღევანდელი მეტოქის შესახებ ვისაუბრეთ; სომხეთის ფეხბურთის წარსულიც გავიხსენეთ და აწმყოც ვახსენეთ; რალა თქმა უნდა, ერევნის „არარატისა“ და თბილისის „დინამოს“ დაუვიწყარი პაექრობებიც არ დაგვივიწყებია, წლების განმავლობაში უაღრესად პრინციპულ ხასიათს რომ ატარებდა. დღეს კი საქართველოსა და სომხეთის ნაკრებების ურთიერთდაპირისპირებათა ისტორია გვინდა შემოგთავაზოთ.**

## რეტრო: ყიფიანი VS ოგანესიანი

საქართველოსა და სომხეთის ნაკრებებს დღემდე ერთმანეთში ოთხი მატჩი აქვთ ჩატარებული; იმის მიუხედავად, რომ ოთხივე შეხვედრა ამხანაგური იყო, მეზობლებთან არსებული დადებითი ბალანსი მაინც გვახარებს: 2 მოგება, 1 ფრე და 1 წაგება (ბურთების სხვაობა 9-3). უპირატესობა გვაქვს საკლუბო დონეზე ჩატარებულ მატჩებშიც: ქართული და სომხური გუნდები ევროტურნირებზე ათჯერ დაუპირისპირდნენ, სადაც 6 შეხვედრა ჩვენებმა მოიგეს, 1 ფრედ დამთავრდა და ერთი წავაგეთ. კიდევ ერთი მატჩიც ჩვენი გუნდის (ბათუმის „დინამო“) გამარჯვებით დასრულდა, მაგრამ იმის გამო, რომ დისკვალიფიცირებული ფეხბურთელი მონაწილეობდა, ტექნიკური წაგება (0:3) ჩაგვეთვალა. თუმცა, ისევ სანაკრებო დაპირისპირებას დავუბრუნდეთ და, რალა თქმა უნდა, საქართველოსა და სომხეთის ნაკრებების პირველი მატჩი გვინდა გავიხსენოთ; ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში ქართულ-სომხური დაპირისპირებებიდან 8 წლის (!) შემდეგ კვლავაც უნდა გვეხილა ძველი მეტოქეების პაექრობა; საერთოდაც, 1997 წლის 30 მარტის ის შეხვედრა სხვა ფაქტორებითაც იყო წინასწარ დამაინტრიგებელი: საქართველოს ნაკრები თბილისში ამხანაგურ მატჩს... სამწლიანი პაუზის მერე ატარებდა; სომხებთან დაპირისპირება გენერალურ რეპეტიციად განიხილებოდა ერთი თვის შემდეგ გასამართი უმნიშვნელოვანესი მატჩისათვის - ჩვენს უპირველეს გუნდს ხომ ლეგენდარულ „უემბლიზე“ ინგლისელებთან სტუმრობა უწევდა; ალარაფერს ვამბობთ იმ ინტერესზე, ორივე გუნდის მწვრთნელთა დაპირისპირება რომ იწვევდა: **დავით ყიფიანი... ხორენ ოგანესიანის** წინააღმდეგ! 80-იანი წლების საბჭოთა ფეხბურთის ორი გამორჩეული ვარსკვლავი წლების განმავლობაში მეტოქეებიც გახლდნენ და თანაგუნდელებიც (ნაკრებში), მაგრამ 1997 წლის 30 მარტს უკვე სხვა ამპლუაში იყვნენ: მათ მიერ დამოძღვრილ საქართველოსა და სომხეთის ნაკრებებს ერთმანეთში პირველი ოფიციალური მატჩი უნდა ჩაეტარებინათ. თანაც, ნუ დაგვავიწყდება, რომ დავით ყიფიანისთვის ის შეხვედრა ჩვენი ნაკრების თავკაცის პოსტზე სადებიუტო იყო, სომხური ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა ხორენ ოგანესიანი კი უკვე მეორე წელი ხელმძღვანელობდა თავისი ქვეყნის ნაკრებს და სხვათა შორის, არცთუ ურიგოდაც; საქართველოს ნაკრებისგან განსხვავებით, ჩვენს მეზობლებს 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი ცუდად არ დაუწყიათ: პორტუგალიასთან და ჩრდილოეთ ირლანდიასთან შეხვედრები ფრედ დაამთავრეს. თუმცა, თბილისში ჩამოსვლამდე სამი თვით ადრე ხორენ ოგანესიანის გუნდმა სასტიკი მარცხი იგემა ჩილესთან ამხანაგურ შეხვედრაში (0:7). ვინ იფიქრებდა, რომ 1997 წლის 30 მარტსაც ანალოგიური შედეგი დაფიქსირდებოდა: უაღრესად მოტივირებულმა საქართველოს ნაკრებმა პრინციპული მეტოქის კარში შვიდი უპასუხო გოლი გაიტანა! არც მანამდე და არც მერე, ჩვენ უპირველეს გუნდს მსგავსი ანგარიშით ალარ მოუგია და, ასე და ამრიგად, სარეკორდო მაჩვენებელი სწორედ სომხებთან გვაქვს. დღეს, სწორედ იმ 13 წლის წინანდელი შეხვედრის გახსენება გვინდა, - იმის მიუხედავად, რომ ამხანაგური მატჩი იყო, სომხებთან იმდროინდელი დაპირისპირება ჩვენი ნაკრების ისტორიაში ერთ-ერთ გამორჩეულ პაექრობად უნდა მივიჩნიოთ...

## სარეკორდო გამარჯვება

ჩვენი ნაკრების ახალმა მთავარმა მწვრთნელმა სომხებთან მატჩისათვის, ფაქტობრივად, უძლიერესი შემადგენლობა შეკრიბა; რაც მთავარია, ძველ და პრინციპულ მეტოქესთან შეხვედრას უდანაკარგოდ შევხვდით: ნაკრებს დაუბრუნდა დისკვალიფიკაციამოხდილი **გიორგი ჩიხრაძე,** ასე რომ გვაკლდა წინა წლის შემოდგომაზე ინგლისთან და იტალიასთან ჩატარებულ ოფიციალურ მატჩებში; „ჩიხოს“ გარდა ნაკრებს გარკვეული პაუზის მერე **არჩილ არველაძეც** და **მიხეილ ყაველაშვილიც** დაუბრუნდნენ და ორივე მათგანმა ნაკრებში დაბრუნება გოლითაც აღნიშნეს! დანარჩენი, ყველაფერი „ძველებურად“ იყო: კარში **ირაკლი ზოიძე** იდგა, დაცვის მარჯვენა ფლანგზე **ნუგზარ ლობჟანიძე** ვიხილეთ, დაცვის ცენტრში - **კახა ცხადაძისა** და **მურთაზ შელიას** მართლაც შეუცვლელი „დუეტი“, მარცხნივ - გიორგი ჩიხრაძე, პირველ ტაიმში ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგზე **თემურ ქეცბაია** ასპარეზობდა და როგორც ყოველთვის, უაღრესად აქტიური გახლდათ; მოედნის ცენტრს **გიორგი ნემსაძე** და **გოჩა ჯამარაული** ამაგრებდნენ, მარცხნივ კი 19 **ლევან კობიაშვილი** თამაშობდა (სხვათა შორის, სომხებთან მატჩი „კობისთვის“ პირველი სანაკრებო შეხვედრა იყო თბილისელი ქომაგის წინ); ერთადერთი, რაც მაშინ „გვეუცხოვა“, **გიორგი ქინქლაძის** შეტევის წინა ხაზში გამოჩენა იყო; მთლად გამოკვეთილი ფორვარდი იყოო, ამას ვერავინ იტყვის, მაგრამ „შავი სამუშაოსგან“ გათავისუფლებული გახლდათ და ქინქლაძემაც გაილალა! ყოველ შემთხვევაში, ვიდრე გამოცვლიდნენ, მეტოქის ფეხბურთელებს „შავი დღე“ აყარა თავისი საფირმო ფინტებითა და მოულოდნელი გადაწყვეტილებებით. პირველი გოლიც ქინქლაძის ფილიგრანულ პასს მოჰყვა, — ცენტრალური თავდამსხმელის პოზიციაზე მოასპარეზე **შოთა არველაძე** ჩინებულად გაერკვა ვითარებაში და ეფექტური გოლიც გაიტანა. საერთოდაც, ის შეხვედრა შოთა არველაძის ბენეფისად იქცა - სანაკრებო შეხვედრაში „ჰეთ-თრიქის“ შესრულება ხომ ნამდვილად არ იქნებოდა პატარა ამბავი და საერთოდაც, ზღაპრულად ითამაშა.

...პირველი ტაიმი იწურებოდა, თემურ ქეცბაიამ ლამის საკუთარი ნახევრიდან შორეული რეიდი რომ წამოიწყო, ეფექტური დრიბლინგით მეტოქეებიც ჩამოიცილა, მაგრამ სომხეთის ნაკრების მცველებმა მხოლოდ წესების დარღვევით შეძლეს მისი შეჩერება; შეხვედრის არბიტრს, შემდგომში ცნობილ მსაჯს **ვალენტინ ივანოვს** ერთი წამითაც არ უჭოჭმანია, ისე დანიშნა სტუმართა კარში თერთმეტმეტრიანი, გიორგი ქინქლაძემ კი პენალტი ზუსტად დაარტყა და ჩვენი უპირატესობაც უფრო სოლიდური გახადა.

შესვენების შემდეგ ჩვენს ნაკრებში უამრავი ცვლილება მოხდა და გუნდის ტაქტიკური განლაგებაც რამდენჯერმე შეიცვალა. თანაც, დავით ყიფიანმა არჩილ არველაძესა და მიხეილ ყაველაშვილთან ერთად მოედანზე ნაკრების სტაჟიანი წევრი **კახა გოგიჩაიშვილიც** გამოიყვანა და ერთდროულად სამი დებიუტანტიც: **გოგა გახოკიძე, ამირან მუჯირი** და **გელა შეყილაძეც**; რაც შეეხება **ნიკა ტოგონიძეს**, ბათუმის „დინამოს“ მეკარისთვის სომხეთთან მატჩი მხოლოდ მეორე სანაკრებო შეხვედრა გახლდათ. მეორე ტაიმში ჩვენი უპირატესობა უფრო გამოიკვეთა და „არველაძე-შოუც“ ვიხილეთ: ჯერ, შოთამ გაიტანა ამ შეხვედრაში თავისი მეორე გოლი, მერე კი შეცვლაზე შემოსულ აჩიკოს მხოლოდ და მხოლოდ 3 წუთი დასჭირდა „დუბლის“ გასაფორმებლად! ამ ყველაფერს კვლავაც შოთას ჩინებული გოლი მოჰყვა — კუთხურის მერე, თავით, მაღალ ნახტომში ბურთი ზუსტად რომ გაგზავნა მეტოქის კარში; მოწინააღმდეგის რბევა კი მიხეილ ყაველაშვილმა დაასრულა, ვისაც ნაკრების მაისურით კარგა ხანი არ ჰქონდა გოლი გატანილი.

... მატჩის დასრულების შემდეგ სტუმართა თავკაცს ხორენ ოგანესიანს დანა პირს არ უხსნიდა; ერთადერთი, თავის მართლებასავით გამოუვიდა, როცა საკადრო პრობლემებზე დაიწუწუნა: რუსეთის ჩემპიონატში მოასპარეზე სამი ძირითადი ფეხბურთელი (**რომან ბერეზოვსკი, სარქის ოგანესიანი, კარაპეტ მიქაელიანი**) გვაკლდაო. სომხური ფეხბურთის ცოცხალ ლეგენდას თავისი გუნდის ორ ფეხბურთელზე არაფერი უთქვამს, მაგრამ, ფაქტია, რომ ორივესგან ბევრად მეტს ელოდა. **მიშელ ტერ-ზაქარიანსა** და **ერიკ ასადურიანზეა** ლაპარაკი, წლების განმავლობაში საფრანგეთის უმაღლეს ლიგაში („ნანტი“, „მონპელიე“, „გენგამი“) რომ ასპარეზობდნენ და სომხეთის ნაკრებში წარმომავლობისა და გამოცდილების გამო რომ მიიწვიეს. ისე, საქართველოს ნაკრებისგან განსხვავებით, სომხებს იმის შემდეგაც ათეულობით მოქალაქეობაშეცვლილი ფეხბურთელი უთამაშებიათ თავიანთ ეროვნულ ნაკრებში, თუმცა, განსაკუთრებული მიღწევებით ვერავინ დაიკვეხნიდა...

## კვიპროსს ვერსად გავექეცით...

საქართველოსა და სომხეთის ნაკრებების მომდევნო დაპირისპირება იმავე ქალაქსა და იმავე სტადიონზე ჩატარდა, დღევანდელი მატჩი რომ უნდა გაიმართოს: კვიპროსზე, ლიმასოლში, „ციროონის“ სტადიონზე; ისიც საინტერესოა, რომ 2000 წლის 6 თებერვალს ჩატარებულ იმ შეხვედრაში საქართველოს ნაკრებს ახალი მწვრთნელ(ებ)ი ჰყავდა: დავით ყიფიანი და **რევაზ ძოძუაშვილი.** უფრო ზუსტად, კვიპროსის საერთაშორისო ტურნირზე ჩვენმა ნაკრებმა ახალი მწვრთნელთა „დუეტის“ ხელმძღვანელობით ჯერ სლოვაკეთთან ითამაშა (2:0), მერე პენალტების სერიაში რუმინეთთან დავმარცხდით და ბოლო მატჩში სომხებს მოვუგეთ. აღსანიშნავია, რომ იმ ტურნირზე ჩვენი ნაკრების შემადგენლობაში დებიუტი ჰქონდათ **ზურაბ მენთეშაშვილს, რევაზ ქემოკლიძეს, გივი კვარაცხელიასა** და **მერაბ ძოძუაშვილს.**

...სომხებმა მხოლოდ მესამე ცდაზე შეძლეს ჩვენთან ქულის აღება: იმავე წლის 26 აპრილს ერევანში ძველი მეტოქეების დაპირისპირება ნულოვანი ფრით დამთავრდა; თანაც, მასპინძლებს თუ უძლიერესი შემადგენლობა ჰყავდათ, საქართველოს ნაკრები, ფაქტობრივად, ექსპერიმენტული შემადგენლობით ასპარეზობდა და ბევრი ფეხბურთელისათვის (**ლევან მელქაძე, ალექსანდრე რეხვიაშვილი, სევასტი თოდუა, დავით ჩალაძე, რატი ალექსიძე**) სულაც სადებიუტო მატჩი იყო.

... და აი, სომხებისთვის ნანატრი რევანშის ჯერიც დადგა; თამაში კვლავაც კვიპროსზე ჩატარდა, მაგრამ არც ის დაგვავიწყდეს, რომ სომხეთის ნაკრების წინააღმდეგ მოასპარეზე გუნდს ძნელად თუ დავარქმევდით. საქართველოს ნაკრებს; შეგახსენებთ, რომ 2003 წლის ბოლოსა და 2004 წლის დასაწყისში საქართველოს ნაკრები, ფაქტობრივად, უმწვრთნელოდ იყო დარჩენილი; ანუ, ვიდრე ჩვენს უპირველეს გუნდს ფრანგ **ალენ ჟირესს** ჩააბარებდნენ, კვიპროსის საერთაშორისო ტურნირზე საქართველოს ნაკრების სახელით... თბილისის „დინამო“ ასპარეზობდა. „დინამო“ იმ პერიოდში ზამთრის მოსამზადებელ პერიოდს კვიპროსზე გადიოდა და სომხეთთან წინააღმდეგ სწორედ დინამოელებმა, პლუს ერთი-ორმა ლეგიონერმა (**ლევან კორღალიძე, ვიტალი დარასელია**) და იმ დროისათვის კვიპროსის ჩემპიონატში მოასპარეზე **გიორგი გაბიდაურმა** იასპარეზეს; სომხეთის ნაკრები კი უძლიერესი შემადგენლობით გვეთამაშა, მოქალაქეობაშეცვლილი სამი ფეხბურთელიც ჰყავდა (**ზეტე, ნ'დუმბუკი, ზეიჩუ**), და, რაც მთავარია, საქართველოს ნაკრების დებიუტანტი მეკარის **ზურაბ მამალაძის** კარში გოლები ტყუპმა ძმებმა, **ართავაზ** და **არმან ქარამიანებმა** გაიტანეს.



1997 წლის 30 მარტი. საქართველო-სომხეთი 7:0. შოთა არველაძეს გააქვს პირველი გოლი მეტოქის კარში

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

### ქართულ-სომხური დაპირისპირებები

#### ამხანაგური მატჩი

**საქართველო-სომხეთი 7:0**

30.03.1997. თბილისი. ეროვნული. 30000 მაყურებელი

**1:0 შ. არველაძე (12), 2:0 ქინქლაძე (46, პენალტით), 3:0 შ. არველაძე (53), 4:0, 5:0 ა. არველაძე (58, 60), 6:0 შ. არველაძე (67), 7:0 ყაველაშვილი (81).**

საქართველო: **ზოიძე (55. ტოგონიძე)-ნ. ლობჟანიძე, ცხადაძე, შელია (61. შეყილაძე), ჩიხრაძე (46. გოგიჩაიშვილი)-ქეცბაია (57. ა. არველაძე), ნემსაძე, ჯამარაული (46. ყაველაშვილი), კობიაშვილი-ქინქლაძე (61. გახოკიძე)-შ. არველაძე (68. ა. მუჯირი).**

მთავარი მწვრთნელი: **დავით ყიფიანი**

კაპიტანი: **კახა ცხადაძე**

სომხეთი: **ავაქიანი, სუკიასიანი, ვ. ხაჩატრიანი (65. გსპეიანი), ოვსეფიანი, ტერ-ზაქარიანი (46. ტონოიანი), ვარდანიანი (57. მანუკიანი), პეტროსიანი (61. რ. ხაჩატრიანი), ტერ-პეტროსიანი (57. ესაიანი), მხითარიანი, ასადურიანი, ა. ავეტისიანი.**

გაფრთხილება: **ტერ-ზაქარიანი**

მთავარი მსაჯი: **ვ. ივანოვი**

#### საერთაშორისო ტურნირი (კვიპროსი)

**საქართველო-სომხეთი 2:1**

6.02.2000. ლიმასოლი. „ციროონი“. 300 მაყურებელი

**1:0 ზ. ჯანაშია (7), 1:1 ხაჩატრიანი (44), 2:1 მენთეშაშვილი (55)**

საქართველო: **გრიშიკაშვილი-ხილაგაძე, ქემოკლიძე, მენთეშაშვილი, ჩიხრაძე-ყაველაშვილი, თ. სიჭინავა (22. შეყილაძე), ნემსაძე, ჯამარაული-ა. არველაძე, ზ. ჯანაშია (46. მ. ძოძუაშვილი).**

მთავარი მწვრთნელები: **დავით ყიფიანი, რევაზ ძოძუაშვილი**

კაპიტანი: **გიორგი ნემსაძე**

სომხეთი: **აბრამიანი (46. ბერეზოვსკი)-კაზანჯიანი (79. არააკოფიანი), ხაჩატრიანი, ოვსეფიანი, ასატრიანი, დოჰოიანი, პეტროსიანი, ნაზარიანი, არამ აკოფიანი (87. არუთინიანი), არტ. ქარამიანი, სარქისიანი (43. არმ. ქარამიანი).**

არბიტრი: **კ. კონსტანტინისი (კვიპროსი)**

#### ამხანაგური მატჩი

**სომხეთი-საქართველო 0:0**

26.04.2000. ერევანი. რაზდანი, 22 000 მაყურებელი

სომხეთი: **აბრამიანი, ვარდანიანი, ოვსეფიანი, ხაჩატრიანი, სუკისიანი, ხოჯოიანი, ვოსკანიანი, პეტროსიანი (79. ასატრიანი), პეტროსიანცი (56. არტ. ქარამიანი), შაჰგელდიანი, არამ აკოფიანი (68. არმ. ქარამიანი).**

საქართველო: **გრიშიკაშვილი-ლ. მიქაძე (34. რეხვიაშვილი), ნემსაძე, სილაგაძე, ს. თოდუა-ყაველაშვილი, ხიზანიშვილი (72. დიდავა), თ. სიჭინავა, ალექსიძე (55. მენთეშაშვილი)-დემეტრაძე, ჩალაძე (46. იონანიძე)**

მთავარი მწვრთნელები: **დავით ყიფიანი, რევაზ ძოძუაშვილი**

კაპიტანი: **გიორგი ნემსაძე**

არბიტრი: **ი. იაკუბოვსკი (ბელარუსი)**

#### საერთაშორისო ტურნირი (კვიპროსი)

**საქართველო-სომხეთი 0:2**

21.02.2004 ნიქოზია. „მაკარიონი“

**0:1 არტ. ქარამიანი (41), 0:2 არმ. ქარამიანი (52).**

საქართველო: **მამალაძე-ქემოკლიძე (60. კანდელაკი), შაშიაშვილი, წერეთელი, კვირკველია-ლ. კორღალიძე, ნემსაძე, გაბიდაური, ვ. დარასელია-ქინქლაძე-ს. იაშვილი (60. ლ. მელქაძე).**

მთავარი მწვრთნელი: **გოჩა ტყებუჩავა**

კაპიტანი: **გიორგი ნემსაძე**

სომხეთი: **ბეტე, ოვსეფიანი, ხაჩატრიანი (79. ნ'დუმბუკი), პაჩაიანი (87. ვ. ალექსანიანი), მელიქიანი (88. მანუჩარიანი), ზეიჩუ, ნაზარიანი (89. კ. ალექსანიანი), მკრტიჩიანი, ვოსკანიანი, არტ. ქარამიანი (87. კირაკოსიანი), არმ. ქარამიანი (73. აკობიანი).**

**გია ტუხაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისის ნაკრები




| | PLAYERS USED | ENGLISH PLAYERS | %ENGLISH PLAYERS |
|---|---|---|---|
| Arsenal | 346 | 43 | 12.4% |
| Wigan | 352 | 49 | 13.9% |
| Fulham | 346 | 65 | 18.8% |
| Blackburn | 360 | 71 | 19.7% |
| Chelsea | 344 | 76 | 22.1% |
| Manchester Utd | 340 | 84 | 24.7% |
| West Brom | 345 | 89 | 25.8% |
| Liverpool | 349 | 102 | 29.2% |
| Tottenham | 337 | 100 | 29.7% |
| Stoke City | 344 | 114 | 33.1% |
| Wolves | 340 | 120 | 35.3% |
| Manchester City | 355 | 126 | 35.5% |
| Everton | 344 | 122 | 35.5% |
| Blackpool | 344 | 159 | 46.2% |
| West Ham | 352 | 165 | 46.9% |
| Bolton | 358 | 182 | 50.8% |
| Birmingham | 319 | 177 | 55.5% |
| Aston Villa | 348 | 196 | 56.3% |
| Sunderland | 355 | 206 | 58.0% |
| Newcastle | 329 | 201 | 61.1% |

ფაბიო კაპელო და შემაშფოთებელი სტატისტიკა

# ეროვნული გუნდი და ეროვნული კადრები



დღეს ინგლისის ნაკრები დანიის ეროვნულ გუნდს ხვდება. ინგლისელთა იტალიელ თავკაც **ფაბიო კაპელოს** ბოლო დღეებში ოთხი ფეხბურთელის შეცვლა მოუხდა - გუნდს გამოაკლდნენ **სტივენ ჯერარდი, ბენ ფოსტერი, პიტერ კრაუჩი** და **გაბრიელ აგბონლაჰორი.** ჯერარდი, ფოსტერი და კრაუჩი ნაკრების ბანაკიდან ჯანმრთელობის პრობლემების გამო დაითხოვეს, აგბონლაჰორმა კი პირადი პრობლემები მოიმიზეზა. ამრიგად, კაპელოს „ვესტ ჰემიდან" **რობერტ გრინისა** და **კარლტონ კოულის** გამოძახება დასჭირდა. პირველად კარიერაში კაპიტნის სამკლავურის შებმა **ფრენკ ლემპარდს** მოუწევს, კარში კი, სავარაუდოდ, „ფულჰემის" 25 წლის მეკარე **დევიდ სტოკდეილს** ჩააყენებენ.

ლემპარდს რატომ უწევს კაპიტნობა? იმიტომ, რომ ჯერ იყო და, პრემიერლიგის ბოლო ტურში, „მანჩესტერ იუნაიტედისა" და „ვულვზის" შეხვედრის დაწყების წინ, მოთელვისას, **რიო ფერდინანდმა** მყესი იტკინა, ამ ამბიდან 24 საათში კი **სტივენ ჯერარდმა** ლივერპულისა და „ჩელსის" შეხვედრაში საზარდული დაიჭიმა - ასე დარჩა კაპელო კაპიტნისა და ვიცე-კაპიტნის გარეშე. ლემპარდის გარდა ერთადერთ ვარიანტად **უეინ რუნი** რჩებოდა, მაგრამ მწვრთნელმა მას „ჩელსის" ნახევარმცველი ამჯობინა.

ინგლისის ნაკრების შემადგენლობის შემყურე ყოფილ ვარსკვლავს, „სანის" მიმომხილველ **იან რაიტს** კი მსჯელობის საბაბი მიეცა და ვფიქრობთ, მისი ნააზრევის გაცნობა „ლელოს" მკითხველისთვის უინტერესო არ უნდა იყოს.

რაიტი ამბობს, რომ როგორც ინგლისელი გულშემატკივარი და ამაყი ადამიანი თავისი ქვეყნის გუნდისგან ნებისმიერ მეტოქესთან მხოლოდ გამარჯვებას ელის. რასაკვირველია, ეს დანიის ნაკრებთან ამხანაგურ შეხვედრასაც ეხება, მაგრამ, როგორც სპეციალისტი, ის სვამს კითხვას: არის კი ინგლისის დღევანდელი ნაკრები ის გუნდი, რომლისგანაც შეიძლება ქომაგი ბევრს ელოდეს? ამის შემდეგ რაიტს პრემიერლიგის გუნდებში უცხოელ მოთამაშეთა რაოდენობის ამსახველი სტატისტიკა მოჰყავს და მსჯელობასაც სწორედ მასზე დაყრდნობით იწყებს:

*„ვის დაავიწყდება, რა მწარედ დავმარცხდით შარშან, მსოფლიოს ჩემპიონატზე გერმანიის ნაკრებთან? რასაკვირველია, არავის. მაშინ ყველამ დაუყოვნებლივ მოითხოვა ქირურგიული ჩარევა, რათა უახლოეს დიდ შეჯიბრებაში ინგლისის ნაკრებმა ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძოლოს, მაგრამ შეგვწევს კი ამის ძალა თუ უბრალოდ ბრმა რწმენას ვართ აყოლილები? მე თუ მკითხავთ, თუ ინგლისურ ფეხბურთში არაფერი შეიცვლება, 2012 წლის ევროპის ჩემპიონატზე ხეირს არ უნდა ველოდოთ. შეხედეთ ფაბიო კაპელოს გუნდს. ჩვენ წინაშე მოყირჭებული ფეხბურთელები არიან, ისევ და ისევ ძველი გვარები გვესმის. შესაბამისად, ძველებური იმედგაცრუებისთვის უნდა მოვემზადოთ კიდეც. ყველაზე მეტად კი ის მაღიზიანებს, რომ ამას შარშან, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ვხვდებოდი. ყველამ თქვა, რომ გერმანიასთან 4:1 წაგება დაუშვებელი იყო, მაგრამ ამ წინადადების იქით საქმე არ წასულა.*

*ჩახედეთ სტატისტიკას. პრემიერლიგის ფეხბურთელთა ორი მესამედი უცხოელია. „არსენალში" ინგლისელთა მონაწილეობა 12,4 პროცენტს არ აღემატება. 15 საუკეთესო ბომბარდირიდან ინგლისელი მხოლოდ სამია. როგორ უნდა ვუმკურნალოთ ამას?"*

რაიტი ამბობს, რომ სწორედ უცხოელთა ასეთი მოზღვავების გამო აქვს კაპელოს ხელ-ფეხი შეკრული, მოზღვავება კი იმან განაპირობა, რომ პრემიერლიგა, უპირველეს ყოვლისა, კომერციული შეჯიბრებაა. გამარჯვებასა და ფულს დახარბებულ კლუბებს ინგლისელი მოთამაშის აღზრდაზე დროის ხარჯვა ეზედმეტებათ და პირდაპირ უცხოეთში ყიდულობენ მზა ვარსკვლავებს.

როგორ გინდა **რომან აბრამოვიჩის** ტიპის ბიზნესმენებს ინგლისელის აღზრდა აიძულო? ეს გამორიცხულია. ამიტომაც, რაიტი ფიქრობს, რომ ახალგაზრდა ინგლისელი ფეხბურთელების „ჩელსისა" და „მანჩესტერ სიტის" სათადარიგოთა სკამზე ჯდომას მათი პრემიერლიგის სუსტ და ჩემპიონშიპის გუნდებში გაყიდვა და იქ თამაში სჯობია. ამის კარგი მაგალითი **დენიელ სტარიჯია.**

და კიდევ, რაიტის აზრით, ყველაფერს ყმაწვილთათვის უზარმაზარი ხელფასების დანიშვნა აფუჭებს და ითხოვს, 25 წლამდე ახალგაზრდების დიდი ფულით გარყვნას რაიმე ხერხით ბოლო მოეღოს. კაცმა დიდი შემოსავალი ჯერ უნდა დაიმსახუროს.

ამბები

## კლუბთა მეგობარი ფაბიო

ინგლისის ნაკრების თავკაც **ფაბიო კაპელოს** ძალიან უნდა დანიასთან დღევანდელი ამხანაგური შეხვედრის შემდეგ პრემიერლიგის კლუბების მწვრთნელებთან დაპირისპირება აიცილოს თავიდან. იტალიელს მწარე გამოცდილება აქვს - ნოემბერში, საფრანგეთის ნაკრებთან შეხვედრაში „ლივერპულის" კაპიტანი **სტივენ ჯერარდი** დაშავდა, რასაც საქმის გარჩევები მოჰყვა. ახლა კაპელო ამბობს:

*„ბოლო პერიოდში ფეხბურთელებმა ძალიან ბევრი ითამაშეს, მათი კალენდარი გადატვირთული იყო. მე კი, მგონი, ამ ერთ შეხვედრაში ერთბაშად ხუთი გუნდის მომზადება მიხდება. ვალდებულიც ვარ კლუბებს დავეხმარო".*

დანიელებთან შეხვედრაში ინგლისის ნაკრებს 6 ფეხბურთელის შეცვლის უფლება აქვს. ამ ექვს კაცში აუცილებლად მოხვდებიან „არსენალის" მოთამაშეები **ჯეკ უილშირი** და **თეო უოლკოტი.** მიზეზი: „მეთოფეთა" თავკაცი **არსენ ვენგერი** სანაკრებო შეხვედრებს გამორჩევით ვერ იტანს.

## რეინა იუნაიტედში?

„ლივერპულის" ესპანელმა მეკარემ **პეპე რეინამ** სენსაციური განცხადება გააკეთა. ის, ფაქტობრივად, „მანჩესტერ იუნაიტედში" 20 მილიონ ფუნტად გადასვლას დაჰყაბულდა. უფრო სწორად, მან, ზაფხულში, „ენფილდიდან" „ოლდ ტრეფორდზე" გადასვლა არ გამორიცხა.

მას მერე, რაც „იუნაიტედის" ჰოლანდიელმა მეკარემ **ედვინ ვან დერ სარმა** განაცხადა, რომ კარიერას ამთავრებს, ინგლისში დაირხა ხმები, თითქოს **ფერგიუსონი** „ლივერპულისგან" რეინას გამოსყიდვას აპირებს. გოლკიპერს კონტრაქტში უწერია, რომ მისი „ენფილდიდან" გამოსყიდვა 20 მილიონი ფუნტი ღირს. ესპანეთის ნაკრებში გამოძახებულმა რეინამ რადიო Onda Cero-ს მიერ პირდაპირ დასმულ კითხვაზე ასე უპასუხა:

*„დიახ, ვან დერ სარი სეზონის დამთავრების შემდეგ ფეხბურთიდან მიდის და „მანჩესტერ იუნაიტედი", რასაკვირველია, მის შემცვლელს ეძებს. მე ამაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ. ჩემგან, როგორც „ლივერპულთან" კონტრაქტით შეკრული კაცისგან, რაიმეს თქმა ალოგიკურიც იქნებოდა. რასაკვირველია, მეც, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვას, ძალიან მინდა ვთამაშობდე გუნდში, რომელიც ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძვის და იმარჯვებს. ჩვენ, „ლივერპულიც" ვისახავთ მაღალ მიზნებს როგორც ჩემპიონთა ლიგაში, ასევე პრემიერლიგაში, მაგრამ სამწუხაროდ არაფერი გამოგვდის".*

კითხვაზე, იმ შემთხვევაში, თუ „წითლები" ოთხეულში ვერ შევლენ და ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლებას ვერ მოიპოვებენ, დატოვებს თუ არა გუნდს, რეინამ უპასუხა:

*„ტყუილს არ ვიტყვი, ჩემპიონთა ლიგაში თამაში ძალიან მინდა და თუ „ლივერპული" პრემიერლიგაში შესაბამის ადგილზე ვერ გავა, შეიძლება დავტოვო კიდეც იქაურობა".*

## აი, მიზეზი, გულო ჩემო...

„ბლექპულის" შოტლანდიელი ვარსკვლავი **ჩარლი ადამი** ამბობს, რომ გუნდის დატოვება ამბიციის დასაკმაყოფილებლად უნდოდა და არა ფულისთვის. მას მერე, რაც იანვარში მისი „ლივერპულში", „ტოტენჰემში" ან „ასტონ ვილაში" გადასვლიდან არაფერი გამოვიდა, გადაწყდა, რომ ზაფხულში კლუბი მას აუცილებლად გაყიდის. ადამმა თქვა:

*„რასაკვირველია, ჩემი შემოსავალი წარმოუდგენელად გაიზრდებოდა, მაგრამ ნამდვილ სპორტსმენს, დიდ გუნდში, უპირველეს ყოვლისა კარგი ფეხბურთის თამაშისთვის უნდა უნდოდეს გადასვლა. ისეთ კლუბში გადასვლა, სადაც დიდ ხელფასს დამინიშნავენ, მაგრამ არ მათამაშებენ, მე არ მაინტერესებს".*

## ავრამის დღეობა

„ვესტ ჰემის" მწვრთნელმა **ავრამ გრანტმა** განაცხადა, რომ 56-ე დაბადების დღეს არ გადაიხდის. მოგეხსენებათ, „ჩაქუჩებმა" პრემიერლიგის ბოლო ტურში უშუალო კონკურენტ „ბირმინგემთან" 1:0 წააგო, რის შემდეგაც პრეს-კონფერენციაზე ებრაელმა სპეციალისტმა ბრძანა:

*„მორჩა, გამორიცხულია. დაბადების დღის აღნიშვნის გუნებაზე არ ვარ. დღეს ძალიან მოღუშული დღეობა გამომივიდა".*

თუმცა, ამ სიტყვების მიუხედავად, 12 საათის შემდეგ, გვიან ღამით, პაპარაცებმა „ვესტ ჰემის" თავკაცს ლონდონის ერთ-ერთ კაზინოსთან გადაუღეს სურათი. ის კაზინოდან გამოდიოდა და, ამბობენ, უკმაყოფილოც არ ჩანდაო.

ჩელსი



ფაბრეგასი (მარჯვნივ) „ჩელსიში"?

# აბრამოვიჩის ლურჯი გეგმები

ინგლისური პრესა წერს, რომ „ჩელსის" რუსი მეპატრონე **რომან აბრამოვიჩი** ზაფხულში „არსენალის" კაპიტნის, **სესკ ფაბრეგასის** ყიდვას შეეცდება. აბრამოვიჩი ფაბრეგასში 50 მილიონი ფუნტის გადახდას ფიქრობს. დღევანდელი კურსით ეს 59,42 მილიონი ევროა. მილიარდერი რთული ამოცანის წინაშე დგას - „ბარსელონას" უნდა აჯობოს, „ბარსა" კი, მოგეხსენებათ, სესკის მშობლიური გუნდია. ბრიტანეთში მიაჩნიათ, რომ თუ „ჩელსი" ესპანელის შეძენას შეძლებს, ეს „ლივერპულისგან" **ფერნანდო ტორესის** ყიდვაზე უფრო გასაკვირი ტრანსფერი იქნება. მოგეხსენებათ, „ლურჯებმა" 9 დღის წინ ტორესშიც 50 მილიონი ფუნტი გადაიხადეს. როგორც ჩანს, „ჩელსის" თავკაცობა მიიჩნევს, რომ ფაბრეგასი **ფრენკ ლემპარდთან** ერთად ნახევარდაცვაში განსაკუთრებულ წყვილს შექმნის.

„ბარსელონა" ფაბრეგასის ყიდვას გასულ ზაფხულს ცდილობდა. ფეხბურთელსაც ძალიან უნდოდა მშობლიურ ქალაქში დაბრუნება. მან კარგა ხანს იჯიუტა, „არსენალს" დაჟინებით სთხოვდა გათავისუფლებას, მაგრამ „მეთოფეებმა" დაიჩემეს, კაპიტანს 60 მილიონ ფუნტზე ნაკლებად არ გავყიდითო, შემდეგ კი ჩრდილოლონდონელთა თავკაცმა **არსენ ვენგერმა** ფეხბურთელი პირისპირ დაისვა, დაითანხმა და დატოვა. ინგლისურ პრესაში გამოქვეყნებული წერილების მიხედვით, ფაბრეგასს ამ ისტორიამ გული ატკინა. ნახევარმცველს ეგონა, რომ „ბარსა" მის ყიდვას მეტად მოინდომებდა და „არსენალს" გატეხდა, სინამდვილეში კი ყველაფერი სესკისა და მისი მენტორის, ვენგერის პირისპირ შეხვედრაზე გადაწყდა. ფაბრეგასის ოცნება, ეთამაშა კერპის **პეპ გვარდიოლას** ხელმძღვანელობით, გუნდში, სადაც გამოდიან მისი მეგობარი **ჟერარდ პიკე** და ისეთი ვარსკვლავები, **ანდრეს ინიესტა** და **ლეო მესი** რომ არიან, სულ ცოტა ერთი წლით გადაიდო. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ბოლო დროს, პრესაში, აქა-იქ გამოჩნდა ეჭვნარევი პუბლიკაციები, რომ კატალონიელები არც მომავალ ზაფხულს გადაიხდიან ისეთ ფასს, როგორსაც „მეთოფეები" მოითხოვენ.

როგორც ჩანს, სწორედ ამ მომენტით სარგებლობას აპირებს „ჩელსის" პატრონი და მოლაპარაკებათა მაგიდასთან თავისი კოზირით, დიდძალი ფულით მიჯდომას გეგმავს. მაგრამ, თუ საკითხს მორალისა და ერთგულების კუთხით შევხედავთ, იბადება კითხვა: რამდენად დასაშვებია, რომ ფაბრეგასმა ლონდონი გადაკვეთოს და „არსენალიდან" „ჩელსიში" გადავიდეს? თუ გავითვალისწინებთ, რომ 23 წლის ვარსკვლავი არსენ ვენგერს მეორე მამად მიიჩნევს და ცხოვრებაში გამოყვანისთვის უზომოდ ემადლიერება, ასეთი რამ იოლად წარმოსადგენი ნამდვილად არ უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში „არსენალის" ფანებს სწორედ ამის იმედი აქვთ, მაგრამ... განა ორი კვირის წინ „ლივერპულის" ფანებს არ ჰქონდათ ტორესის ერთგულების იმედი?

ახლა, რაც შეეხება მწვრთნელს... „ჩელსის" ბანაკიდან გამოვიდა ხმა, რომ აბრამოვიჩი **კარლო ანჩელოტის** გაშვების შემდეგ ჰოლანდიელი **გუს ჰიდინკის** მიყვანას გეგმავს. შეგახსენებთ, რომ ჰიდინკისთვის „სტემფორდ ბრიჯი" უცხო ადგილი არ არის. 2009 წელს ის სამი თვის განმავლობაში წარმატებით edგა „ლურჯებს" სათავეში. ჯერჯერობით, აბრამოვიჩი ჰიდინკს **ფრენკ არნესენის** ადგილს უმზადებს. შეგახსენებთ, რომ დანიელი არნესენი დასავლეთლონდონურ კლუბში სპორტულ დირექტორად მუშაობს და ზაფხულზე კონტრაქტი უმთავრდება. სხვა სიტყვებით, აბრამოვიჩი ანჩელოტის კიდევ ერთი წლით დატოვებს თანამდებობაზე, მაგრამ შემცვლელსაც ამთავითვე მიუსვამს გვერდით.

არნესენის ადგილზე რუს მილიარდერს თავიდან ბარსელონელი **ჩიკი ბეგერისტაინის** მიყვანა უნდოდა, მაგრამ უარი მიიღო. უარის სავარაუდო მიზეზი ის არის, რომ ყველამ იცის: „ჩელსიში" ერთპიროვნული მმართველი მისი მეპატრონეა და სხვებს გადაწყვეტილებების თავისუფლად მიღების საშუალება ნაკლებად ეძლევათ. იყო „ვესტ ჰემის" ახლანდელი თავკაცის, „ლურჯების" ყოფილი მწვრთნელის, **ავრამ გრანტის** ვარიანტიც, მაგრამ ჰიდინკი მას „ჩელსის" ქომაგთა შორის პოპულარობით სჯობს.

გუს ჰიდინკმა 2010 წელს რუსეთის ნაკრების მწვრთნელობას დაანება თავი და თურქეთის ეროვნული გუნდი ჩაიბარა, მაგრამ უკვე დიდი კრიტიკის ობიექტად იქცა. საქმე ის არის, რომ ჰოლანდიელის ხელმძღვანელობით თურქებმა სამი მოგების შემდეგ სამი შეხვედრა წააგეს და თუ მარტში ავსტრიასთანაც დამარცხდებიან, მწვრთნელს სამსახურის დატოვება მოუწევს.

დაბოლოს, კიდევ ერთი „ლურჯი თემა": ფერნანდო ტორესი „სტემფორდ ბრიჯზე" მიღებულ იარებს იშუშებს. მოგეხსენებათ, კვირას ლონდონში „ჩელსიმ" „ლივერპულს" უმასპინძლა. ეს ესპანელი ფორვარდის დებიუტი გახლდათ ახალი გუნდის შემადგენლობაში, რომელიც მან ულიმღამოდ ჩაატარა, მაგრამ ამ დღეს მისი გასაჭირი მარტო ამით არ შემოიფარგლა: მას მერსისაიდელი ფანების ნასროლი საგნების აცილება და ლანძღვის მოსმენაც დასჭირდა. დღეს 26 წლის ფორვარდი ესპანეთის ნაკრებთან ერთად კოლუმბიელებთან სათამაშოდ ემზადება და ჟურნალისტებთან ასე ლაპარაკობს:

*„ბოლო ხუთი დღე საშინელი მქონდა და ახლა, ესპანეთის ნაკრებში, მეგობრებთან ერთად ვისვენებ. მინდა გადავერთო. კარგად მესმის რასაც გრძნობენ „ლივერპულის" ფანები. მე თავად ვიყავი ფანი და მათ განცდას კარგად ვხვდები, მაგრამ კლუბი ფეხბურთელზე მნიშვნელოვანია. ფეხბურთელები მოდიან და მიდიან. დარწმუნებული ვარ, გავა დრო და ეს ხალხი მომხდარს უფრო სამართლიანად შეაფასებს".*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალიის ნაკრები



არცხნიდან: კასანო, პაცინი და მოტა

# მატრი ახდენილ ოცნებებზე

## მოტა: 100%-იანი იტალიელი ვარ

ორშაბათიდან მოყოლებული იტალიის ეროვნული ნაკრები გერმანიასთან ამხანაგური მატჩისთვის ემზადება. თუმცა, მზადება ამას ნაკლებად ეთქმის, რადგან "აძურა" დორტმუნდში გასამართ თამაშამდე მხოლოდ ორი დღით ადრე შეიკრიბა. ტრადიციულად, იტალიის ნაკრები ფლორენციაში მდებარე "კოვერჩანოს" საწვრთნელ ბაზაზე ემზადება, მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნეთ, საამისო დრო ამჯერად უბრალოდ არ იყო. "აძურა" პირდაპირ გერმანიაში გაემგზავრა და როგორც **ჩეზარე პრანდელი** აცხადებს, თამაშამდე მხოლოდ სამ ვარჯიშს ჩაატარებს. ჟურნალისტთა განსაკუთრებულ ყურადღებას დებიუტანტები იწვევენ, მათ შორის "იუვენტუსის" თავდამსხმელი **ალესანდრო მატრი**. მოვუსმინოთ ახალგაზრდა ფორვარდს, რომლის ცხოვრებაშიც ამ ზამთარს ძალიან ბევრი რამ შეიცვალა:

*"ის, რაც ბოლო კვირებში ჩემს თავს ხდება, ნამდვილი სასწაულია. ეს ზღაპარია, რომელიც მინდა ძალიან დიდხანს გაგრძელდეს. ათიოდე დღის წინ ტურინის "იუვენტუსში" ამოვყავი თავი, სადაც შესანიშნავად მიმიღეს, რასაც ეროვნულ ნაკრებში გამოძახება მოჰყვა. "სკუადრა აძურაში" თამაშზე მხოლოდ ოცნება თუ შემეძლო და ხანდახან საკუთარ თავს ვეკითხები, ნუთუ ეს მართლა მოხდა? – დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩეზარე პრანდელის, რომელმაც ნდობა გამომიცხადა და ყველაფერს ვილონებ, რომ გაცემული ავანსები გავამართლო. იმედი მაქვს, გერმანიასთან თამაში მომიწევს, მაგრამ ასეც რომ არ მოხდეს, უკვე ბედნიერი ვარ, რომ ნაკრებში მიწვევა მივიღე – ეს რაღაც ახლის დასაწყისია".*

მას შემდეგ, რაც ალესანდრო მატრი "იუვენტუსში" გადავიდა, იტალიაში ერთი ამბავია ატეხილი – "ბიანკონერის" გულშემატკივრები ამტკიცებენ, რომ მატრი **ჯამპაოლო პაცინიზე** მაგარი ფორვარდია, რასაც რა თქმა უნდა "ინტერისტები" არ ეთანხმებიან. დავაში ჟურნალისტებიც კი ჩაერთვნენ და ამ თემას ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგული სპორტული გადაცემაც კი მიეძღვნა. მატრი ამ საკითხზე დიპლომატიურად საუბრობს:

*"პაცინი სულ სხვა სტილის ფორვარდია და არ მიმაჩნია სწორად, როდესაც ჩვენი შედარება ხდება. ის ტიპური ცენტრფორვარდია და ბრწყინვალედ აგვირგვინებს შეტევებს, მე კი უკნიდან თამაშიც მიყვარს და რაც მთავარია, მეხერხება. მთავარი კი ის არის, რომ ნაკრებში ერთად ვასპარეზობთ და იმედია, ძლიერ ტანდემს შევქმნით. ჯამპაოლოსთან ვმეგობრობ, შესანიშნავი ადამიანია და მიხარია, რომ "სკუადრა აძურაში" ერთად მოგვიწევს თამაში. პაცინი ეროვნული გუნდისთვის უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელია, მთავარი ეს არის და ვფიქრობ, ეს "იუვენტუსის" ქომაგებსაც უნდა ახარებდეთ".*

სანამ სანაკრებო თემას განვაგრძობდეთ, კიდევ ერთ საკითხთან დაკავშირებით მოვუსმინოთ "იუვენტუსისა" და იტალიის ნაკრების ახალდგამომცხვარ თავდამსხმელს: *"რა თქმა უნდა, არ მესიამოვნა, როდესაც სარდინიაში მისტვინეს და რბილად რომ ვთქვათ, ცივად შემხვდნენ. "კალიარისთვის" ყველაფერი გავაკეთე, რაც შემეძლო და დღემდე ამ გუნდის გულშემატკივრად ვრჩები. თუმცა, არ შემეძლო "იუვენტუსში" გადასვლაზე უარი მეთქვა, რადგან გრანდში თამაშზე ბავშვობიდან ვიცნებობდი. დიდი მიზნები მაქვს დასახული და მთელი ჩემი კარიერის განმავლობაში "კალიარიში" ნამდვილად ვერ ვიასპარეზებდი – იმედია, სარდინიელი გულშემატკივრები ამას ადრე თუ გვიან გააცნობიერებენ. იქნებ, ერთ მშვენიერ დღეს დავბრუნდე კიდეც მშობლიურ გუნდში, ამას ნამდვილად არ გამოვრიცხავ".*

ყურადღება არც ჩეზარე პრანდელის აკლია, რომელმაც თავის კომენტარში დიდი დრო **ანტონიო კასანოზე** საუბარს დაუთმო: *"გერმანელებს ძალიან დიდი მოტივაცია აქვთ, რადგან მათ კარგად ახსოვთ 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გამართული პაექრობა. მას შემდეგ იტალიის ნაკრებში ძალიან ბევრი რამ შეიცვალა - პრაქტიკულად მთელი შემადგენლობა და გვსურს დავამტკიცოთ, რომ ამ თაობასაც შეუძლია დიდი გამარჯვებების მოპოვება. მიმაჩნია, რომ იოახიმ ლიოვს ერთ-ერთი უძლიერესი ნაკრები ჰყავს მსოფლიოს მასშტაბით და მათთან გასვლაზე თამაში ნამდვილად წაგვადგება. თუმცა, ამ პაექრობის მხოლოდ მოსამზადებელ ჭრილში განხილვა არ შეიძლება, რადგან იტალიისა და გერმანიის დაპირისპირება ყოველთვის პრინციპულ ხასიათს ატარებდა და ასეა ახლაც. იქნება თუ არა ძირითადში კასანო? – ამას თამაშის დღეს გაიგებთ და კარგი იქნება თუ შემადგენლობაზე აღარ დამისვამთ კითხვებს. ანტონიოსთან პერსონალურად არ მისაუბრია, რადგან რაც სათქმელი იყო, უკვე ითქვა. კარგად იცის, რომ შეცდომის დაშვების უფლება აღარ აქვს და მუხლჩაუხრელად უნდა იშრომოს. მასზე მთელი იტალია უდიდეს იმედებს ამყარებს და მჯერა, რომ ეს ბოლომდე აქვს გაცნობიერებული".*

ბედნიერია **ტიაგო მოტა**, რომელიც ასევე პირველად გამოიძახეს ეროვნულ ნაკრებში და როგორც თავად აცხადებს, ერთი სული აქვს, როდის მოირგებს ცისფერ მაისურს: *"ამ განცდას ვერაფერი შეედრება, ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ მეორედ დავიბადე. ბავშვობიდან ვოცნებობ ნაკრებში თამაშზე და უბედნიერესი ადამიანი ვარ, რომ ჩეზარე პრანდელიმ შრომა დამიფასა. ოღონდ, არ იფიქროთ ბრაზილიის ეროვნულ გუნდზე ვოცნებობდი, არამც და არამც – თავიდანვე იტალიის ღირსების დაცვა მსურდა, რადგან მამაჩემი მუდმივად იმას მიმეორებდა, რომ ჩვენ იტალიელები ვართ. დიახ, ბრაზილიაში დავიბადე, მაგრამ განა აქვს მნიშვნელობა ადამიანი სად დაიბადება? – ჩემი აზრით, ეს მეათეხარისხოვანია. 100%-იანი იტალიელი ვარ, დედითაც და მამითაც და ყოველთვის მიკვირს, როდესაც ჩემზე როგორც ნატურალიზებულ ფეხბურთელზე, ისე წერენ. იმედი მაქვს, გერმანიასთან თამაში მომიწევს და ვპირდები გულშემატკივარს, რომ თავს არ დავზოგავ".*

**ლაშა ნიკლაური**

ამბები

# ბეილი ციხეში?

მიონხენგლადბახის „ბორუსიას" იმპულსურ მეკარე **ლოგან ბეილის** ორი წლით თავისუფლების აღკვეთის საფრთხე ემუქრება. საქმე იმაშია, რომ ბეილიმ 2008 წლის 6 მაისს (მაშინ გენკში თამაშობდა) ლიეჟის ერთ-ერთი რესტორნის წინ იჩხუბა და ორ ადამიანს ცხვირი გაუტეხა. ამ უქმეებზე ლოგანი სასამართლოს წინაშე წარდგა და აღიარა, რომ მართლაც იჩხუბა და ორი ადამიანი დაასისხლიანა. სასამართლო პროცესი 16 მაისს განახლდება. ბეილის და მის ადვოკატს იმედი აქვთ, რომ „გლადბახის" მეკარე მხოლოდ ფულად ჯარიმას გამოჰკრავს ხელს.

# კრისტიან შულცი მგლებში?

გაზეთ „ჰანოვერ ალგემაინეს" ცნობით, ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ „ჰანოვერის" მცველი **კრისტიან შულცი** ზაფხულში „ვოლფსბურგს" მიაშურებს. დღევანდელი გადასახედიდან ეს აშკარად უკან გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა, რადგან „ჰანოვერი" მე-4 ადგილზეა, „ვოლფსბურგი" კი მე-14 პოზიციაზე იმყოფება, მაგრამ შულცს „მგლებში" გაცილებით მაღალ ხელფასს ჰპირდებიან, ვიდრე ფინანსურად შეჭირვებული „ჰანოვერი" უხდის.

*„თუ ჭკვიანი ადამიანია, წესით, „ჰანოვერში" უნდა დარჩეს, მაგრამ ხომ იცით, ფულს ყველაფერი შეუძლია. პირადად მე ძალიან მეწყინება, თუ შულცი დაგვტოვებს,"* - ეს „ჰანოვერის" თავკაც **მირკო სლომკას** სიტყვებია.

# მარიკა ლაბადიას გაურბის

როგორც ჩანს, „შტუტგარტის" რუმინელ თავდამსხმელ **ჩიპრიან მარიკას** შვაბურ კლუბში დარჩენა აღარ უნდა. ფორვარდმა „ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, ორივე მხარისთვის უმჯობესი იქნება, რომ ზაფხულში ჩვენი გზები გაიყოსო. რუმინელი პირველ რიგში შვაბთა ახალი მწვრთნელის, **ბრუნო ლაბადიას** ტაქტიკური ხედვითა და ზოგადად საფეხბურთო ფილოსოფიითა უკმაყოფილო. მისი თქმით, ლაბადია თავდამსხმელებს ზედმეტად ხშირად სთხოვს უკან დახევას და დაცვისთვის დახმარებას.

*„ზარმაცი არ ვარ, პირიქით, ყოველთვის ვამბობდი და ახლაც გავიმეორებ, რომ გუნდური მოთამაშე ვარ და არც დაცვისთვის მიხმარება მეთაკილება, მაგრამ ლაბადია ნამეტანს ითხოვს. ცენტრფორვარდი უკან ხშირად არ უნდა იხევდეს. მოკლედ, ლაბადიასთან დიდხანს ვერ გავძლებ,"* - აცხადებს მარიკა.

**გოტფრიდ ლენცი**



ჩიპრიან მარიკა

ბაიერნი

# რეკორდმაისტერი დენთის კასრზე

## მიუნხენურ კლუბში ფეთქებადი ვითარებაა

იანვრის დასაწყისში, როცა მიუნხენის „ბაიერნი" მეორე წრისთვის მოსამზადებელი შეკრებიდან დაბრუნდა (ბავარიელებმა შეკრება ყატარში გაიარეს), რეკორდმაისტერში ძალიან კარგი განწყობა იყო. მთავარი მწვრთნელი **ლუის ვან გაალი**, ფეხბურთელები და ხელმძღვანელები დღენიადაგ იმეორებდნენ, რომ მეორე წრეში „ბაიერნი" „შემოდგომის ჩემპიონ" „დორტმუნდს" მაგრად შეუტევდა და წნეხის ქვეშ მოაქცევდა, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა და ბავარიულ გრანდში ახლა ყველა უკმაყოფილოა.

ყველაზე დიდი უკმაყოფილება კლუბის ხელმძღვანელებს ეტყობათ. ბოსები ვერაფრით ეგუებიან იმას, რომ 21 ტურის შემდეგ „ბაიერნი" დორტმუნდის „ბორუსიას" 15 ქულით ჩამორჩება, რაც იმას ნიშნავს, რომ რეკორდმაისტერი ამ ეტაპზე თო. საქმე იმაშია, რომ მანამდე „ბაიერნის" ხელმძღვანელებმაც იგივე თქვეს. თერთმეტი დღის წინ კი ლუისი რეკორდმაისტერის ლეგენდარულმა ფეხბურთელებმა, **ოლივერ კანმა** და **მეჰმეთ შოლმაც** გააკრიტიკეს - **მარკ ვან ბომელი** არ უნდა გაეყიდაო.

უკმაყოფილოები არიან ის ფეხბურთელებიც, რომლებიც სათადარიგოთა სკამს ხეხავენ და ის მოთამაშეებიც, რომლებსაც ვან გაალი თავიანთ საყვარელ პოზიციებზე არ ათამაშებს. მაგალითად, **ბასტიან შვაინშტაიგერი** არ მალავს, რომ გამთამაშებლობა არ მოსწონს და საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე თამაში უნდა. **თომას მიულერს** კი ფლეიმეიქერობა უნდა, არ მოსწონს ის, რომ ლუისი ამ ბოლო დროს უმეტესად ფლანგზე ათამაშებს. ჰოლანდიელ სპეციალისტს აწ უკვე „ბაიერნის" სათადარიგო მეკარე **ჰანს-იორგ ბუტმაც** შეუტია - ძირითადი შემადგენლობიდან აბსოლუტურად უმიზეზოდ ამომაგდო, რის გამოც შეურაცხყოფილი ვარო. სკამზე ჯდომის გამო ვან გაალზე გაბრაზებულები არიან ბრენო, **დანიელ ვან ბუიტენი** და **მიროსლავ კლოზეც**. მათთან ერთად, დღენიადაგ წუწუნებს თურქი ნახევარმცველი **ჰამით ალთინთოფიც**, რომელსაც ვან გაალი მხოლოდ მაშინ ენდობა, როცა **ფრანკ რიბერი** ან **არიენ რობენი** ვერ თამაშობენ. არადა, როცა ალთინთოფი მოედანზეა, თითქმის ყოველთვის კარგად თამაშობს.



ბაიერნში ყველა უკმაყოფილოა: შვაინშტაიგერიც, ლამიც, მიულერიც, ვან გაალიც...

არა მარტო ჩემპიონობისთვის ვერ იბრძვის, არამედ, მეორე ადგილისთვის ბრძოლაშიც არაა კარგ მდგომარეობაში.

*„ჩემპიონობა უნდა დავივიწყოთ. ახლა ყველაზე მთავარი ის არის, მაქსიმუმი გავაკეთოთ იმისათვის, რომ მინიმალურ მიზანს მაინც მივაღწიოთ, ანუ, გავიდეთ მეორე ადგილზე. ახლა სეზონის ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდია, როცა ძალიან ბევრი რამ უნდა გადაწყდეს,"* - ეს სპორტული დირექტორის, **კრისტიან ნერლინგერის** სიტყვებია.

უკმაყოფილოა მწვრთნელიც. ვან გაალმა „კიოლნთან" წაგების (2:3) შემდეგ პირდაპირ თქვა, განრისხებული, იმედგაცრუებული და შეურაცხყოფილი ვარო. ჰოლანდიელი არ მალავს, რომ შეგირდებს კონცენტრაციის დაკარგვას და გაზულუქებას ატყობს. გუშინდელი ვარჯიშის შემდეგ, ლუისთან რიგითი გულშემატკივარი მიიჭრა და მკაცრად ჰკითხა, რას ფიქრობდი, როცა ნახევარდაცვის ცენტრი **პრანიჩსა** და **ოტლს** ანდე, **ტიმოშჩუკი** დაცვაში ათამაშე, ხოლო მცველი **ბრენო** კი სულაც სკამზე დასვიო. ვან გაალს არ უყვარს, როცა მის საქმეში ერევიან და გაბრაზებულ ფანს მკვახედ მოუჭრა, თქვენ თუთიყუში ხარ-

ერთი სიტყვით, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ რეკორდმაისტერში ფეთქებადი სიტუაციაა, „ბაიერნი" დენთის კასრზე ზის და თუ ასე გაგრძელდა, ვან გაალი ჯერ „ჩემოდნებზე გადაჯდება", მერე კი აუცილებლად მოხსნიან. კაპიტან **ფილიპ ლამის** თქმით, მიუნხენურ გრანდს ბუნდესლიგაში ქულების დაკარგვის უფლება აღარ აქვს. ამასობაში, რეკორდმაისტერს ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალი და „ინტერთან" უმნიშვნელოვანესი მატჩებიც კარს მოადგა...

**გოტფრიდ ლენცი**

სავარაუდო ტრანსფერი

# იუვე ბეკს არ ეშვება

ტურინის „იუვენტუსს" „ჰოფენჰაიმის" მარჯვენა მცველის, **ანდრეას ბეკის** შეძენა რომ უნდა, ეს ინფორმაცია საიდუმლო დიდი ხანია აღარ არის. ტურინელებს ახალგაზრდა მარჯვენა უკანახაზელის გადაბირება იანვარშიც უნდოდათ და მზად იყვნენ, „ჰოფესთვის" ბეკის სანაცვლოდ 6 მილიონი ევრო გადაეხადათ, მაგრამ „სოფლელების" ხელმძღვანელებმა ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს, პერსპექტიული მცველი კი „იუვეს" არაფრისდიდებით არ დაუთმეს. თუმცა ახალი ინფორმაციით, „იუვენტუსი" „ჰოფენჰაიმზე" მორიგი იერიშის მიტანას ზაფხულში აპირებს და როგორც ირკვევა, ტურინელები გაცილებით უკეთ იქნებიან მომზადებულები.

„რაინ ნეკარ ცაითუნგის" ინფორმაციით, „იუვე" მზადაა, „ჰოფეს" ზაფხულში 8 მილიონი ევრო გადაურიცხოს. ფაქტია, რომ „ბებერ ქალბატონს" ახალი მარჯვენა მცველი ძალიან სჭირდება და ფაქტია ისიც, რომ „იუვეს" თავკაც **ლუიჯი დელნერის** ვერცხლისწყალივით მოძრავი ანდრეას ბეკი, რომელიც გერმანიის ნაკრების გაფართოებულ სიაშიცაა, ძალიან მოსწონს. თვითონ ფეხბურთელი ამბობს, „ჰოფენჰაიმში" თავს ძალიან კარგად ვგრძნობ, მაგრამ ყველა ხვდება, რომ „სოფლელებს" მისი შენარჩუნება ძალიან გაუჭირდებათ, რადგან „იუვენტუსი" სულ სხვა კალიბრია...

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● გერმანიის ნაკრები. იტალიასთან ამხანაგური მატჩის წინ



მარიო გიოტცე დღეს გერმანიის ნაკრებში მეორე მატჩს ჩაატარებს

# გერმანელი დელ პიერო ნერვიულობს

## 18 წლის მარიო გიოტცესთვის დღეს დიდი დღეა

გერმანიისა და იტალიის ნაკრების ამხანაგური დაპირისპირების წინ, რომელიც დღეს საღამოს დორტმუნდში გაიმართება, გერმანელთა მხრიდან ყურადღების ცენტრში 18 წლის ნახევარმცველი **მარიო გიოტცეა**. პირველ რიგში იმიტომ, რომ უნიჭიერესი ფეხბურთელი საკუთარი პუბლიკის წინაშე ითამაშებს (მარიო ხომ დორტმუნდის „ბორუსიას" ფეხბურთელია) და თანაც, გიოტცე ბრწყინვალე ფორმაშია. ახალგაზრდა დორტმუნდელი ძალიან კარგ სეზონს ატარებს. ყურადღება არც მანამდე აკლდა, მაგრამ „შალკესთან" მატჩის შემდეგ, რომელიც დორტმუნდელებმა მართალია ვერ მოიგეს, მაგრამ მარიომ ძალიან კარგად ითამაშა. არა მარტო დორტმუნდში, არამედ მთელ გერმანიაში დიდი თუ პატარა გიოტცეზე ლაპარაკობს. სწორედ ამიტომ, გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** ჟურნალისტების წინაშე ფეხბურთელთაგან სწორედ მარიო გამოიყვანა. იტალიასთან მატჩი გიოტცესთვის მეორე იქნება გერმანიის ნაკრებში და ახალგაზრდა ფეხბურთელს აშკარად ეტყობა, რომ ცოტა ნერვიულობს. ლიოვმა კი თქვა, ამ ბიჭს ერთი რამე შევამჩნიე - როცა ნერვიულობს, მაშინ უფრო კარგად თამაშობს, ვიდრე მაშინ, როცა მშვიდადააო.

გერმანია-იტალია დორტმუნდში... რა გასაკვირია, რომ საფეხბურთო გერმანიას ეს მაშინვე 2006 წლის მუნდიალს, უფრო სწორად, მის ნახევარფინალს ახსენებს. მაშინ ბუნდესგუნდმა „სკუადრა აძურასთან" ძალიან მტკივნეული მარცხი განიცადა (**გროსოს** და **დელ პიეროს** გოლები 119-ე და 120-ე წუთებზე). მარიო გიოტცე მაშინ 13 წლის იყო, მატჩს სახლში, ტელევიზორში უყურა და ვერ წარმოიდგენდა, რომ ხუთი წლის შემდეგ დორტმუნდში გერმანია ისევ შეხვდებოდა იტალიას, თვითონ ბუნდესგუნდის განაცხადში იქნებოდა.

სხვათა შორის, ჩვენი გერმანელი კოლეგები გიოტცეს თამაშის სტილით არა რომელიმე ლეგენდარულ გერმანელ ფეხბურთელს, არამედ იტალიელ **ალესანდრო დელ პიეროს** ამსგავსებენ და მასზე ამბობენ, რომ სტილით არც ერთ სხვა გერმანელ ფეხბურთელს არ ჰგავს. ლეგენდარული **მათიას ზამერის** თქმით, თუკი გიოტცე შეიძლება რომელიმე გერმანელ მოთამაშეს მიამსგავსო, მხოლოდ **ანდრეას მიოლერს**, რომელიც ასევე არატიპური გერმანელი ფეხბურთელი იყო. გიოტცე ისეთივე ტექნიკური, მოქნილი და მსუბუქია, როგორიც დელ პიერო იყო თავის საუკეთესო წლებში.

*„ერთი მხრივ ვნერვიულობ და ამას ვერც დავმალავ, მაგრამ ნერვიულობას ის ფაქტი აბათილებს, რომ იტალიას დორტმუნდში ვეთამაშებით. ეს კი ჩემი მშობლიური ქალაქი და სტადიონია,"* - აცხადებს 18 წლის ფეხბურთელი, რომელსაც უდიდეს მომავალს უწინასწარმეტყველებენ და იქვე დასძენს, *ძირითად შემადგენლობაში ალბათ არ ვითამაშებ, მაგრამ მოედანზე ცოტა ხნითაც რომ გავიდე, ეს ჩემთვის უდიდესი ბედნიერება იქნებაო.* მარიოს ის ფაქტიც ამშვიდებს, რომ გერმანიის ნაკრების 21-კაციან განაცხადში (**მარიო გომესი** ნაკრებს ტრავმის გამო გამოაკლდა) მის გარდა კიდევ ოთხი დორტმუნდელია: **მატს ჰუმელსი, მარსელ შმელცერი, კევინ გროსკროიტცი** და დებიუტანტი **სვენ ბენდერი.**

*„მარიო გიოტცე ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი ტალანტია მათ შორის, ვინც გერმანიას ოდესმე ჰყოლია. ეს არის ფეხბურთელი, რომელიც 18 წლის ასაკშიც კი სრულყოფილ ფეხბურთს თამაშობს. რაც მთავარია, მარიო პიროვნულადაც ძალიან მომწონს და აქედან გამომდინარე, ასი პროცენტით დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ის დიდ ფეხბურთს ითამაშებს,"* - ეს ბუნდესმწვრთნელ ლიოვის სიტყვებია.

იტალიასთან მატჩით გერმანია ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩებისთვის იწყებს მზადებას, თუმცა ბუნდესგუნდში არავინ მალავს, რომ „სკუადრა აძურასთან" დაპირისპირება საფეხბურთო გერმანიისთვის გაცილებით მეტია, ვიდრე ერთი უბრალო ამხანაგური მატჩი.

*„მეტსაც გეტყვით, ბევრისთვის ეს თამაში უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე 26 მარტს კაიზერსლაუტერნში დაგეგმილი ოფიციალური მატჩი ყაზახეთთან და ვფიქრობ, რომ ეს აბსოლუტურად ლოგიკურია, რადგან გერმანიისა და იტალიის დაპირისპირება არ შეიძლება მხოლოდ ტესტმატჩი იყოს,* - ეს ბუნდესგუნდის მენეჯერ **ოლივერ ბირჰოფის** სიტყვებია, რომელიც იქვე დასძენს, - *ყველამ ვიცით, რომ იტალიის ნაკრებს სერიოზული პრობლემები აქვს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ „სკუადრა აძურა" სუსტია. იტალია უდიდესი, ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო საფეხბურთო ქვეყანაა და მერე რა, რომ ჩეზარე პრანდელის გუნდში ახლა უმეტესად გამოუცდელი ფეხბურთელები ჰყავს. იტალიაში თაობათა ცვლის პროცესი მიმდინარეობს, კანავაროს, დელ პიეროს და პირლოს თაობა „აძურასთვის" უკვე წარსულია და მინდა ვთქვა, რომ ახალ ფეხბურთელებს დიდი პოტენციალი აქვთ."*

### იტალია-გერმანია 14:7

რაც შეეხება იტალიისა და გერმანიის ნაკრები გუნდების დაპირისპირებების სტატისტიკას: ამ მხრივ იტალიელებს საგრძნობი უპირატესობა აქვთ და ფაქტია, რომ „სკუადრა აძურა" ბუნდესგუნდისთვის ერთ-ერთი ყველაზე არასასურველი მეტოქეა. თავად განსაჯეთ: 1923 წლიდან გამართული 29 ჯახიდან, გერმანელებს მხოლოდ შვიდი აქვთ მოგებული. იტალიამ კი გერმანიის დამარცხება 14-ჯერ შეძლო (8 მატჩი ფრედ დასრულდა). შესაბამისად, ბურთების შეფარდებაშიც იტალიის უპირატესობა იკვეთება: 44:33. აღსანიშნავია, რომ გერმანიის ნაკრებს მხოლოდ ინგლისთან აქვს ერთი წაგებით მეტი. იტალია და გერმანია უკანასკნელად ერთმანეთს სწორედ 2006 წლის მუნდიალის ნახევარფინალში შეხვდნენ, რომლის შესახებაც ზემოთ ვისაუბრეთ.

ის მართლაც ძალიან ემოციური და საინტერესო თამაში იყო, მაგრამ ისტორიას იტალიისა და გერმანის გაცილებით მძაფრი დუელიც ახსოვს. საუბარია 1970 წელს მექსიკაში გამართული მუნდიალის ნახევარფინალზე, რომელიც იტალიელებმა 4:3 მოიგეს. ეს იყო შეხვედრა, რომელიც შემდგომში საუკუნის მატჩად მოინათლა.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**გერმანია (4-2-3-1):** ნოიერი - ლამი, მერტეზაკერი, ბადშტუბერი (ან ჰუმელსი), შმელცერი - ხედირა, შვაინშტაიგერი - თ. მიულერი, იოზილი, პოდოლსკი - კლოზე.

**იტალია (4-3-2-1):** ბუფონი - კასანი, რანოკია, კიელინი, კრიშიტო - აკვილანი, დე როსი, პალომბო - კასანო, როსი - პაცინი.

**არბიტრი:** ერიკ ბრამჰაარი (ჰოლანდია)

● ვოლფსბურგი

# დროებითი თანამშრომელი პიერი

## ლიტბარსკიმ დიეგო მოკვეთა და განაჩენს ელის: ზაფხულიდან რანგნიკი ან ფავრი?

მაშ ასე: როგორც მოსალოდნელი იყო, „ვოლფსბურგის" ხელმძღვანელებმა „ჰანოვერთან" განცდილი მარცხის (0:1) შემდეგ, აბსოლუტურად ლოგიკური ნაბიჯი გადადგეს და გუნდის მთავარი მწვრთნელი **სტივ მაკლარენი** თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ინგლისელი სპეციალისტი გერმანიაში დიდხანს რომ ვერ „იბალახებდა", ეს სეზონის დასაწყისშიც გამოჩნდა და ტურიდან ტურამდე მტკიცდებოდა. „ვოლფსბურგს" საკმაოდ კარგი შემადგენლობა ჰყავს და კლუბის ბოსებს, უფრო სწორად, მფარველ „ფოლკსვაგენის" კონცერნს ფული არასდროს ენანება ახალ ფეხბურთელებში თუ ძვირად ღირებულ შეკრებებში, მაგრამ „მგლებს" შედეგი არ ჰქონდათ. ყოველ შემთხვევაში, არ ჰქონდათ ისეთი შედეგი, როგორიც გერმანიის ექსჩემპიონს შეეფერება.

ამრიგად, „ვოლფსბურგს" დროებით გერმანიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი, 80-იანი წლების ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე, ყველასათვის კარგად ნაცნობი და ბევრისთვის საყვარელი, 50 წლის **პიერ ლიტბარსკი** მიხედავს, რომელიც აქამდე მაკლარენის ასისტენტი იყო. 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა გუნდი პირველად გუშინ ავარჯიშა და პირველივე ვარჯიშის შემდეგ საკმაოდ საინტერესო გადაწყვეტილება მიიღო: ლიტბარსკიმ განაცხადიდან **დიეგო** ამოშალა. მიზეზი, როგორც მიხვდით, „ჰანოვერთან" ვერგამოყენებული პენალტი, უფრო სწორად, **პატრიკ ჰელმესისთვის** თერთმეტმეტრიანის დარტყმის უფლების არდათმობაა. მატჩის წინ გადაწყდა, რომ **ედინ ჯეკოს** წასვლის შემდეგ, პენალტისტი ახალწვეული ჰელმესი იქნებოდა და დიეგომ ამ უკანასკნელს მაინც არ დაარტყმევინა თერთმეტმეტრიანი. სწორედ ამიტომ, ლიტბარსკიმ გადაწყვიტა, ბრაზილიელი დასაჯოს - დიეგო ბუნდესლიგის მომდევნო ტურში, „ჰამბურგთან" არ ითამაშებს. პიერმა თქვა, რომ გამთამაშებელს განაცხადში 23-ე ტურში (19 თებერვალს, ფრაიბურგთან მატჩში) დააბრუნებს. გამორიცხული არც ისაა, რომ ფეხბურთელს ფულადი ჯარიმაც დააკისრონ.

### პიერმა სტივს უკბინა

მაკლარენი უპირატესობას 4-2-3-1 ტაქტიკურ სქემას ანიჭებდა, რაც არც „ვოლფსბურგის" გულშემატკივრებს მოსწონდათ, არც მენეჯერ **დიტერ ჰიონესს** და არც თვითონ ფეხბურთელებს. ჰიონესს ურჩევნია, რომ გუნდმა ორი თავდამსხმელით ითამაშოს და რაკი „მგლებს" დიეგოს სახით ძალიან ძვირად ღირებული გამთამაშებელი ჰყავთ, ფაქტია, რომ სქემა 4-1-2-1-2 უნდა იყოს, ანუ, რომბისებური 4-4-2. დიტერი ბედნიერია იმით, რომ ლიტბარსკი სწორედ ორი ფორვარდით თამაშს ამჯობინებს. საინტერესოა, ვინ შეცვლის გამთამაშებლის პოზიციაზე დიეგოს „ჰამბურგთან" შეხვედრაში - გამორიცხული არაა, რომ ამ თამაშში პიერმა გუნდი სულაც კლასიკური 4-4-2-ით ათამაშოს, ანუ, ფლეიმეიქერის გარეშე. თუმცა თავდამსხმელების უკან თამაში ახალწვეულ **თუნჯაი სანლის, აშკან დეჟაგას** და **თომას კალენბერგსაც** შეუძლიათ.

ლიტბარსკის პირველივე ვარჯიში უმძიმესი გამოუვიდა და ფეხბურთელებს ის დრო გაახსენდათ, როცა „ვოლფსბურგს" **ფელიქს მაგათი** ავარჯიშებდა. პიერის თქმით, გუნდში ბევრი რამ არის შესაცვლელი. ამ სეზონში შეცდომების დაშვების უფლება არ გვაქვსო, ამბობს პიერი და ჯერ კიდევ აქვს იმის იმედი, რომ ცხრილში 21-ე ტურის შემდეგ მე-12 ადგილზე მყოფი „ვოლფსბურგი" ევროპის ლიგის საგზურის მოპოვებას, ანუ, საუკეთესო ხუთეულში მოხვედრას შეძლებს. პიერი სერიოზულად უნდა ჩაუჯდეს ვიდეოანალიზებს - ლიტბარსკი ამბობს, მაკლარენი ამას საერთოდ არ აკეთებდაო. *„ხშირი იყო შემთხვევები, როცა ვარჯიში ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული, როცა ზოგიერთი ფეხბურთელი უკვე მანქანაში იჯდა. ამიერიდან ასეთი რამ გამორიცხულია,"* - მკაცრია ლიტბარსკი. ჰიონესის თქმით კი, მას ახლა სრული ძალაუფლება აქვს და შეუძლია ისე იმოქმედოს, როგორც უნდა. დიტერი იმასაც ამბობს, რომ პიერს სეზონის ბოლომდე მთავარი მწვრთნელის პოსტზე მუშაობა განაღდებული აქვს.

რა იქნება მომდევნო სეზონში? ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, დიტერ ჰიონესმა უკვე დაიწყო მოლაპარაკებები როგორც „ჰოფენჰაიმიდან" წამოსულ **რალფ რანგნიკთან**, ისე, ბერლინის „ჰერტას" ყოფილ თავკაც **ლუსიენ ფავრთან**. „შპიგელის" ინფორმაციით, თუ ლიტბარსკიმ იმედები ვერ გაამართლა, ჰიონესის პირველი არჩევანი რანგნიკი იქნება.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



„ვოლფსბურგის" ახალმა მწვრთნელმა პიერ ლიტბარსკიმ (მარჯვნივ) დიეგო გუნდიდან ერთი მატჩით მოკვეთა

ეროვნული ბიბლიოთეკა



● ფურია როხა. ესპანეთი-კოლუმბიის წინ

# მე თქვენ გაჩვენებთ კრიზისს

## ტორესი სასტარტოში არ იქნება!

დღეს, ევროპაში ყველაზე ბოლოს, მაშინ, როცა საქართველოში შუაღამე გადავა, მსოფლიოს ჩემპიონი ესპანეთის ნაკრები კოლუმბიას „სანტიაგო ბერნაბეუზე“ უმასპინძლებს. სირცხვილი და თავის მოჭრა! პლანეტის ნომერ პირველი გუნდი, რომელმაც ახლახან „სპორტული ოსკარი“ მიიღო, სამი თამაშია მოუგებლად ასპარეზობს.

ახალი აღიარებით დავიწყებთ - ორშაბათს „ფურია როხას“ ლაურეუსის პრიზი, ანუ „სპორტული ოსკარი“ გადაეცა, როგორც 2010 წლის საუკეთესო სპორტული გუნდი! ეს ცერემონიალი აბუ დაბიში გაიმართა. ესპანეთის ნაკრებმა იტალიურ „ინტერს“ გაასწრო, რომელმაც შარშან „ტრიპლი“ გააკეთა: მოიგო ჩემპიონთა ლიგა, სკუდეტო და იტალიის თასი. სხვათა შორის, ამ ამბიდან 24 საათში ესპანელთა თავკაც **ვისენტე დელ ბოსკეს** ოფიციალურად გადასცეს მარკიზის ტიტული და მადრიდული ტიტული „გრან კრუს დე მაიო“. მოკლედ, დელ ბოსკე ჯერაც მუნდიალის მონაგარით ტკბება, თუმცა, თავად უკეთ უწყის, რომ ეს ყველაფერი წარსულის დამსახურებისთვის მიიღო და ახლა თავიდან მოუწევს ბევრი რამის დამტკიცება მასაც და მის გუნდსაც.

მაშინ, როცა „ფურია როხას“ ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს „ბანკეტიდან ბანკეტზე“ იწვევენ, ესპანურ და ევროპულ მედიაში არ წყდება ლაპარაკი კრიზისზე. ესპანეთის ნაკრებმა უნაკლოდ კი დაიწყო ევრო-2012-ის შესარჩევი კამპანია, მაგრამ სამ ამხანაგურ თამაშში მიჯრით ერთიც ვერ მოიგო, მოიგო კი არა ორჯერ ძალიანაც შერცხვა - დიდი ანგარიშებით წააგო არგენტინისა და პორტუგალიის ნაკრებებთან. დელ ბოსკემ იცის, რომ ამ შეხვედრებში „ფურია როხა“ ვერ იყო მოწოდების სიმაღლეზე, მაგრამ არ აღიარებს, რომ ეს კრიზისის ნიშანია: *„სამი ამხანაგური მატჩი ვითამაშეთ, ვერ მოვიგეთ ვერც ერთი. სხვებმა კარგად ითამაშეს, ჩვენ კი - არა, რომელ ჭკუათმყოფელ მწვრთნელს გაუხარდება ეს, მაგრამ სულაც არ ვფიქრობ, რომ ეს რაიმე კრიზისზე მიუთითებს. მე შორს ვარ ამ აზრისგან. ჩვენ უნდა შევეცადოთ, რომ მსგავსი მატჩები, რაც არგენტინასთან და პორტუგალიასთან შეგვემთხვა, აღარ გამეორდეს მომავალში. გარწმუნებთ, ბიჭები მზად არიან, რომ დაამტკიცონ, ერთეული შემთხვევები არ ნიშნავს, კრიზისს. არ დაგავიწყდეთ, რომ ჩვენ ვემზადებით მარტის უმნიშვნელოვანესი მატჩებისთვის ევრო-2012-ის შესარჩევ ეტაპზე“*, - განაცხადა გუშინ ვისენტე დელ ბოსკემ.

დელ ბოსკეს გარდა მედიას ნაკრებიდან გუნდის კაპიტანი **იკერ კასილიასი** და ნახევარმცველი **სერხიო ბუსკეტსი** წარუდგნენ. ბარსელონელმა გუნდის სურვილი გადმოგვცა, მსოფლიოს ჩემპიონები აპირებენ კოლუმბიასთან კარგი თამაშით დაამტკიცონ, რომ იმსახურებენ პლანეტაზე საუკეთესო სპორტული გუნდის წოდებას. *„არგენტინისა და პორტუგალიის დამარცხება გულით გვსურდა, მაგრამ არ გამოვიდა. ახლა ჩვენ გაორმაგებული ენერგიით ვეკვეთებით კოლუმბიას, არ ვიძახი, რომ არგენტინისა და პორტუგალიის ჯავრის ამოყრა მათზე გვურს. ჩვენ უბრალოდ გვინდა, დავამტკიცოთ, რომ მართლა ვიმსახურებთ საუკეთესოს წოდებას. ძალიან კარგად ვიცით, რომ კოლუმბიის ნაკრებიც არ არის საჩუქარი და ის ხვალ ბევრ პრობლემას შეგვიქმნის. ნაკრებში დიდებული სიტუაციაა, ბიჭებს შორის ურთიერთგაგებაა. ჩვენ ყველანი ერთი ქვეყნის შვილები ვართ, ერთ ნაკრებში ვთამაშობთ და ერთ ინტერესი გვაქვს. ნაკრებში დადებითი განწყობაა, ყველაფერი ძალიან კარგად იქნება“*, - განაცხადა ბუსკეტსმა და, ვფიქრობთ, კატალონიაში მისი ფრაზა ზოგიერთში დიდ უკმაყოფილებას გამოიწვევს. „ბარსელონას“ ნახევარმცველმა იმაზეც ილაპარაკა, რომ ეს გუნდი არა მხოლოდ ევრო-2012-ისთვის ემზადება, არამედ ნაწილი ფეხბურთელებისა ლონდონის ოლიმპიადაზეც ფიქრობს: *„გაისად ორივეგან მსურს თამაში, ევროპის ჩემპიონატზეც და ოლიმპიურ თამაშებზეც. არ ვიცი, რამდენად მოხერხდება ეს, ალბათ ამის შესახებ მოლაპარაკებაც მექნება, თუმცა უდიდესი სურვილი მაქვს ორივეგან ვითამაშო. ყველაფერი მომავალი სეზონის ბოლოს გაირკვევა, თუმცა, ვიცი, ფიზიკურად ამას შევძლებ. ფეხბურთის თამაშზე უარის თქმა არ შემიძლია“*, - განაცხადა ბუსკეტსმა.

იკერ კასილიასმა ეროვნულ ნაკრებში თავდამსხმელი **დავიდ ვილია** გამოარჩია და ახლანდელი წარმატებების საწინდარად „ელ გუახეს“ თამაში მიიჩნია. შეგახსენებთ, რომ ვილიას დღეს შეუძლია რაულის რეკორდის დამხობა - ახლა მას და „რეალის“ ცოცხალ ლეგენდას ეროვნული ნაკრების მაისურით 44-44 გოლი აქვთ გატანილი, ერთიც და „ელ გუახე“ „ფურია როხას“ ერთპიროვნული ბომბარდირი და რეკორდსმენი იქნება: *„დავიდი ჩვენი გუნდის შეუცვლელ ნაწილად იქცა ბოლო წლებში. „სპორტინგიდან“ ის მეტეორივით შემოიჭრა საფეხბურთო სამყაროში და მისი კარიერა სწრაფი ტემპით მიდის წინ. ჩვენ ყველანი შევხარით მის წარმატებებს და ვილიასგან კიდევ უფრო მეტს ველით უახლოეს მომავალში. ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე ესპანეთის ნაკრების წარმატების ერთ-ერთი შემოქმედი ვილია იყო“*, - შეაქო რეკორდსმენი თანაგუნდელი კასილიასმა.

კასილიასმა ნაკრების ბოლოდროინდელ წარუმატებლობებზეც ილაპარაკა: *„არგენტინასთან და მექსიკასთან მატჩები დაგეგმილი არ იყო, ჩვენ სათანადოდ ვერ განვეწყეთ, მაშინ, როცა მეტოქეებისთვის მსოფლიოს ჩემპიონთან დაპირისპირება დამატებითი სტიმულია. ამიტომაც, უნდა ვიყოთ კონცენტრირებულნი და ფრთხილნი“*, - ასრულებს აზრს „რეალის“ გოლკიპერი.



ესპანელები სპორტული ოსკარის გადაცემაზე

კოლუმბიის ნაკრების შემადგენლობაში ითამაშებს პრიმერას წარმომადგენელი - „ატლეტიკოს“ მცველი **ლუის პერეა**. კოლუმბიელ ფეხბურთელთაგან სწორედ ის წარუდგა მედიას: *„ესპანეთის ნაკრები იშვიათ გუნდთაგანია, რომელიც კარგ ფეხბურთს თამაშობს. სხვა ნაკრებები უფრო მიზანდასახულ, კონტაქტურ თამაშს გვთავაზობენ. ესპანეთის ნაკრები კი უპირატესობას კომბინაციებს ანიჭებს. ის დიდებულად დაკომპლექტებული გუნდია. ძალიან კარგია, რომ „სანტიაგო ბერნაბეუზეა“ თამაში, ამ ისტორიულ არენაზე. ჩვენ 90 წუთის განმავლობაში ვიბრძოლებთ, რათა კოლუმბიის სახელი და დროშა არ შევარცხვინოთ. გვინდა, რომ „კოპა ამერიკამდე“ კიდევ ბევრი მოვუმატოთ. ესპანელებთან მოგებაზეც ვფიქრობთ, რატომაც არა? ჩვენ დასაკარგი არაფერი გვაქვს, თუკი მოვიგებთ, საქვეყნო აღიარებას მივიღებთ“*, - განაცხადა „ატლეტიკოს“ მცველმა.

სხვათა შორის, ესპანეთისა და არგენტინის ფეხბურთის მამები ძალიან ახლოს არიან ახალი ამხანაგური მატჩის დასათქმელად. საქმეში... ინდოეთის ფეხბურთის ასოციაცია ჩაერია. ინდოელები სექტემბერში კალკუტაში მინიტურნირის მოწყობას აპირებენ, ისინი უკვე შეუთანხმდნენ არგენტინელებს, მეორე გუნდი კი ესპანეთის ნაკრები იქნება ან პორტუგალია. ინდოეთის ფეხბურთის ასოციაციის გენერალურმა მდივანმა **უტპალ განგულიმ** ისიც დააყოლა, რომ ესპანეთის ნაკრებთან უფრო ახლოს არიან ხელშეკრულების გაფორმებასთან: *„მოლაპარაკებები გრძელდება. ეს იქნება ფანტასტიკური მატჩი, თითქმის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი. ეს იქნება ისტორიული დღე კალკუტასა და მთელ ინდოეთში“*.

ესპანეთის ნაკრებმა გუშინ ბოლოჯერ ივარჯიშა ბაზაზე, „მარკას“ ჟურნალისტებმა გამოჩხრიკეს და დაადგინეს, რომ დელ ბოსკე არ უპირებს „ჩელსის“ ახალწვეულ **ფერნანდო ტორესს** სასტარტო შემადგენლობაში დაყენებას.

„მარკას“ ვერსიით, ესპანეთის ნაკრების თერთმეტეული ასეთი იქნება: *კასილიასი, სერხიო რამოსი, ალბიოლი, პიკე, კაპდევილა, ბუსკეტსი, ჩაბი ალონსო, ჩავი, ინიესტა, ვილია, პედრო*

● ბარსელონა




პეპი 2012 წლამდე რჩება

RENOVADO ანუ გაახანგრძლივა, ასეთი სათაური ამშვენებს დღევანდელ „მარკას“. ლაპარაკია, „ბარსელონას“ მთავარ მწვრთნელ **ხოსეპ გვარდიოლაზე**, რომელმაც ბევრი იფიქრა, თუ ცოტა, გადაწყვიტა, კონტრაქტის გახანგრძლივება „ბარსელონასთან“. გვარდიოლა ყოველთვის ფრთხილად ეკიდებოდა ამ საკითხს, 40 წლის სპეციალისტს სეზონის ბოლომდე ჰქონდა „ბლაუგრანასთან“ კონტრაქტი და ის მომხრე იყო შემდეგი ფორმულის: ხელშეკრულება ყოველი სეზონის ბოლოს გახანგრძლივდეს. პეპი ამას მოტივაციის მუდმივად შენარჩუნების სურვილით ხსნიდა, თუმცა მისი სიფრთხილე აძლიერებდა ეჭვს, რომ გვარდიოლას მართლა უჭირავს ინგლისისკენ თვალი, სადაც „მანჩესტერ იუნაიტედში“ სერ **ალექს ფერგიუსონის** მემკვიდრედ მიაჩნიათ.

და აი, „ბარსელონას“ ოფიციალურ ვებგვერდზე ვკითხულობთ: *„ბარსელონა“ აცხადებს, რომ კლუბმა მიაღწია შეთანხმებას და ხოსეპ გვარდიოლა კიდევ ერთი სეზონით გაახანგრძლივებს ხელშეკრულებას. გვარდიოლა 2012 წლის 30 ივნისამდე კლუბში რჩება. კონტრაქტზე ხელის მოწერის ცერემონიალი, რამდენიმე დღეში გაიმართება“*.

ხოსეპ გვარდიოლა 2008 წელს გახდა „ბარსას“ თავკაცი, როცა **ფრანკ რაიკაარდი** შეცვალა. მას შემდეგ „ბლაუგრანამ“ არნახულ წარმატებას მიაღწია - ორჯერ მოიგო პრიმერა, ერთი კოპა, ორჯერ ესპანეთის სუპერთასი, ჩემპიონთა ლიგა, უეფას სუპერთასი, მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი. 2009 წელს პეპი თითქმის ყველა გამოცემის მიხედვით გახდა წლის საუკეთესო მწვრთნელი.

● ტურის რჩეულნი

## მესი და რონალდო, ისევ ერთად

GOAL.COM-მა გამოაქვეყნა 22-ე ტურის სიმბოლური ნაკრები, ტურის საუკეთესო ფეხბურთელად „ატლეტიკოს“ კარში ჰეთთრიკის ავტორი **ლეო მესია**. დღეს მხოლოდ სიმბოლურ ნაკრებში მოხვედრილთა სიას შემოგთავაზებთ: *ტონიო (რასინგი) - ანდონი ირაოლა (ბილბაო), ჟერარდ პიკე (ბარსელონა), მიგელ ფლანიო (ოსასუნა) - მესუთ იოზილი (რეალი), ტინო კოსტა (ვალენსია), ხაიმე გავილანი (ხეტაფე), სისკო მუნიოსი (ლევანტე) - ადრიან კოლუნგა (ხეტაფე), ლიონელ მესი (ბარსელონა), კრიშტიანო რონალდო (რეალი).*

● სამწვრთნელო ცვლილება

## ახალი მსხვერპლი პორტუგალია

პრიმერას 22-ე ტურმა მორიგი მწვრთნელი შეიწირა - სანტანდერის „რასინგმა“ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ **მიგელ ანხელ პორტუგალი** თანამდებობიდან გათავისუფლებულია. კანტაბრიელები ჩემპიონატში სუსტად ასპარეზობენ, მე-17 ადგილზე არიან და მხოლოდ 1 ქულით უსწრებენ გასავარდნ ზონაში მყოფ „ლევანტეს“. 55 წლის პორტუგალი მეორედ ეთხოვება „რასინგს“, პირველად ის 2006-07 წლების სეზონში ედგა კლუბს სათავეში. 2009 წლის ნოემბერში „რასინგმა“ **ხუან კარლოს მანდია** მოხსნა და პორტუგალი მთავარ მწვრთნელად დააბრუნა, მაშინ მას 2-წლიანი კონტრაქტი გაუფორმეს, თუმცა ახლა 7-მატჩიანი მოუგებელი სერია არ აპატიეს.

ამბობენ, რომ პორტუგალი კანტაბრიული კლუბის ახალი მეპატრონის, ინდოელი **აჰსან ალი საიედის** უშუალო მითითებით მოხსნეს. ფეხბურთელობის პერიოდში პორტუგალს „რეალში“ უთამაშია და 1980 წელს ესპანეთის ჩემპიონიც გახდა.

„მარკა“ გათავისუფლებული მწვრთნელის სავარაუდო შემცვლელის ვინაობასაც გვთავაზობს - ლაპარაკია, **მარსელინო გარსია ტორალზე**, 45 წლის სპეციალისტზე, რომელიც „რასინგის“ ყოფილი ფეხბურთელია, 2007-08 წლების სეზონში კი ამ გუნდს უკვე წვრთნიდა ერთხელ. ბოლოს მარსელინო „სარაგოსას“ თავკაცი იყო, 2009 წლის ნოემბერში ის მოხსნეს და მას შემდეგ უმუშევარია. მეორე კანდიდატად **ხოსე ლუის მენდილიბარსაც** განიხილავენ.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**



მარსელინო „რასინგის“ ახალი მესაჭე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიონი


იოან გურკუფი

# ტულალანი რჩება, ლორისი ორჭოფობს

## რას აპირებს იოან გურკუფი?

საფრანგეთის მრავალგზის ჩემპიონი "ლიონი" ჯერჯერობით უშედეგოდ ცდილობს წინა წლების დიდების აღდგენას. საამისოდ მან "ბორდოში" ბრწყინვალედ მოასპარეზე **იოან გურკუფიც** გადაიბირა, მაგრამ ის ვერა და ვერ მოერგო ახალ გარემოს. მთავარ მწვრთნელ **კლოდ პუელსა** და ფეხბურთელს შორის იდეალური ურთიერთობა რომ არ არის, ეს საიდუმლოს არავისთვის წარმოადგენს. სწორედ ამიტომ ბევრს არ გაჰკვირვებია, როცა პრესაში ფეხბურთელის მიერ მწვრთნელის კრიტიკა მოისმინა. გურკუფმა მეორე დღესვე მოიწვია სპეციალური პრესკონფერენცია, სადაც განაცხადა, რომ მისი სათქმელი მასმედიელებმა დაამახინჯეს. *"მე მხოლოდ პუელისა და ბლანის მეთოდების შედარება მთხოვეს და მეც ვთქვი, რომ ამ ორ მწვრთნელს სხვადასხვა ხედვა და განსხვავებული მეთოდები აქვს. დიახ, აღვნიშნე, რომ ბლანის საფეხბურთო ფილოსოფია ჩემთან უფრო ახლოს დგას. ეს იყო და ეს. მე პუელთან არავითარი კონფლიქტი არ მაქვს და საერთოდაც, "ლიონში" თავს ბედნიერად ვგრძნობ,"* – განაცხადა იოან გურკუფმა.

ლიგა 1-ის ოფიციალური საიტი იუწყება, რომ "ლიონის" ერთ-ერთი ლიდერი **ჟერემი ტულალანი** კლუბთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას აპირებს. 27 წლის საყრდენი ნახევარმცველი უკვე მეხუთე სეზონს ატარებს ამჟამინდელ კლუბში, სადაც თავს მართლა ძალზე კომფორტულად გრძნობს. ჟერემის მოქმედი ხელშეკრულება "ლიონთან" 2012 წელს იწურება. როგორც ჩანს, მხარეთა შორის შეთანხმება უახლოეს დღეებში გაფორმდება. *"მალე ხელს მოვაწერთ ახალ კონტრაქტს, რომელსაც 2015 წლამდე ექნება ძალა. პრინციპულ შეთანხმებას მხარეებმა უკვე მივაღწიეთ და ფორმალობებსაც მალე მოვაგვარებთ. მსოფლიოს ჩემპიონატზე განცდილი კრახის შემდეგ სერიოზული დეპრესია მქონდა, რა დროსაც კლუბის ხელმძღვანელობა ბოლომდე გვერდით დამიდგა. მათ შეეძლოთ ეს არ გაეკეთებინათ, რისთვისაც მათი მადლიერი ვარ. საპასუხოდ მე მათ ერთგულ სამსახურს ვპირდები,"* – განაცხადა ჟერემი ტულალანმა.

სამაგიეროდ "სტად დე ჟერლანის" დატოვებას გეგმავს "ლიონისა" და საფრანგეთის ნაკრების კარის დარაჯი **უგო ლორისი.** მისი განცხადებით, უცხოეთში კარიერის გაგრძელება ჯერ გადაწყვეტილი არ აქვს და საბოლოო სიტყვის თქმას ჯერ არც ჩქარობს. თუმცა მისით დაინტერესებული კლუბების წინადადებებს აუცილებლად მოისმენს. *"მსმენია, რომ ჩემით "მანჩესტერ იუნაიტედია" დაინტერესებული. ბუნებრივია, როცა ამხელა კლუბში შენზე ფიქრობენ, ძნელია ხელის ერთი მოსმით უარის თქმა,"* – განაცხადა გოლკიპერმა.

რომა

# ახალი კონტრაქტები


კლაუდიო რანიერი

"ჯალოროსიში" სერიოზულად ფიქრობენ გუნდში სტაბილური გარემოს ჩამოყალიბებაზე, რისი წინაპირობაც კვალიფიციური მწვრთნელისა და წამყვანი ფეხბურთელების შენარჩუნებაა. იტალიური Corriere dello Sport-ის ინფორმაციით, ხელმძღვანელობა **კლაუდიო რანიერისთვის** კონტრაქტის ერთი წლით გაგრძელებას გეგმავს, თუმცა თავად მწვრთნელი შედარებით ხანგრძლივ ხელშეკრულებას ითხოვს. პრესა ვარაუდობს, რომ ამის მიუხედავად მხარეთა შორის შეთანხმება, წესით, მალე უნდა შედგეს.

რომაელები წამყვან ფეხბურთელებთანაც გეგმავენ ახალი კონტრაქტების დადებას. საამისოდ პირველი ნაბიჯი ფრანგ **ფილიპ მექსესთან** გაფორმებული ხელშეკრულება უნდა იყოს. "ჯალოროსის" ხელმძღვანელობა მასთან საქმის მოგვარებას იმიტომ ეშურება, რომ არა და არ წყდება ხმები მექსეთი ევროგრანდების დაინტერესების შესახებ. Tutto Mercato-ს ცნობით, 28 წლის ფრანგი თანახმაა მარადიულ ქალაქში კიდევ ხუთი წელიწადი გაატაროს, თუმცა ამისთვის გაზრდილ ხელფასსა და ბონუსად ხუთ მილიონ ევროს ითხოვს. მოსალოდნელია, რომ შეთანხმება მხარეთა შორის ამ შემთხვევაშიც არ უნდა გაჯანჯლდეს.

ამბები

## ჩაქუჩების ჩაქუჩი ფეხზე დადგა

"ვესტ ჰემის" გერმანელმა ნახევარმცველმა **თომას ჰიტცლშპერგერმა** ჯერ კიდევ სეზონის დაწყებამდე მიღებული ბარძაყის მძიმე ტრავმა მოიშუშა და უახლოეს დღეებში უკვე შეეძლება მინდორზე გასვლა, - გვამცნობს "დეილი მეილი". მოსალოდნელია, რომ ლონდონელთა ჩაქუჩად წოდებული საყრდენი ხანგრძლივი პაუზის შემდეგ დღეს "ვესტ ჰემის" დუბლებში პირველად გააგორებს ბურთს.

გეტყვით, რომ ფეხბურთელმა ტრავმა 2010 წლის 11 აგვისტოს დანია-გერმანიის (2:2) შეხვედრაში მიიღო, რის გამოც მან შეხვედრის ჩამთავრებაც კი ვერ შეძლო. ახდა ლონდონელთა ექიმების ყველაზე პესიმისტური პროგნოზები და თითქმის თვე-ნახევრიანი უშედეგო ლოდინის შემდეგ, ოქტომბერში, მათ გერმანელს ოპერაცია გაუკეთეს. აღდგენითმა პროცესმა მთელი 4,5 თვე წაილო.

## ბექჰი კიდევ ორი კვირით

ინგლისის ნაკრების ყოფილი კაპიტანი **დევიდ ბექჰემი** ამჟამად ლონდონში იმყოფება და ფორმის შესანარჩუნებლად "ტოტენჰემთან" ერთად ვარჯიშობს. "დეზების" ბანაკში ის კიდევ ორი კვირა გაჩერდება და ოკეანის გაღმა 22 თებერვალს გაემგზავრება. "ლოს ანჯელეს გალაქსის" განკარგულებაში ის 24 თებერვალს უნდა გამოცხადდეს.

აქვე გეტყვით, რომ "ტოტენჰემის" კაპიტან **ლედლი კინგს** დაზიანებულ საზარდულზე გერმანიაში ოპერაცია უკვე გაუკეთეს. ყველაზე ოპტიმისტური გათვლებით ის ფეხბურთს ოთხი თვის თავზე შეიძლება დაუბრუნდეს, რაც თავისთავად გამორიცხავს მიმდინარე სეზონში ლედლის მინდორზე გამოჩენას.

## რუსები პორტსმუთს უმიზნებენ

რუსული კონსორციუმი Convers Sport Initiative პრემიერლიგიდან წინა სეზონში გავარდნილი "პორტსმუთის" შეძენას გეგმავს. ამის თაობაზე CSI-ის ინგლისელმა ბიზნესპარტნიორმა **კრის ეიკერსმა** განაცხადა. *"ჩვენი ფირმა საფეხბურთო ბიზნესით არის დაინტერესებული და უკვე რა ხანია, შესაფერისი კლუბის მოძებნას ვცდილობთ. რამდენიმე ვარიანტი განიხილება, მათ შორის "პორტსმუთისაც". თუმცა საკუთარ თავს ვერ მივცემ უფლებას დეტალებზე ვილაპარაკო,* - განუცხადა ვებგვერდ Portsmouth.co.uk-ის ეიკერსმა. *"თუკი მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდება, ჩვენი კომპანია ძალებს არ დაზოგავს, რათა კლუბი რაც შეიძლება წარმატებული იყოს. ის ჩვენი პრიორიტეტი გახდება,"* – დაამატა თავის მხრივ კომპანიის რუსმა მეწილე **ვლადიმირ ანტონოვმა.**

შეგახსენებთ, რომ "პორტსმუთი" ჯერ კიდევ წინა სეზონის დაწყებამდე იყო რუსი ბიზნესმენის საკუთრებაში - "პომპეებს" **არკადი გაიდამაკი** ფლობდა.

## ნესტა ფეხზე დადგა

"მილანის" 34 წლის ცენტრალურმა მცველმა **ალესანდრო ნესტამ** გუშინ დატოვა ლაზარეთი და გუნდთან ერთად სრული დატვირთვით ივარჯიშა, - გვამცნო Football Italia-მ. მან მცირე დაზიანება 23 იანვარს "ჩეზენასთან" დაპირისპირებისას მიიღო.

## შკრტელი ნაკრებიდან დაითხოვეს

სლოვაკეთის ნაკრების დაცვის ბურჯმა **მარტინ შკრტელმა** "ჩელსი"-"ლივერპულის" დაპირისპირებაში მცირე ტრავმა მიიღო, თუმცა სანაკრებო შეკრებაზე მაინც დროულად გამოცხადდა. სლოვაკ ექიმებს დაზიანება არ გამოპარვიათ. სამწვრთნელო შტაბმა ფეხბურთელის ჯანმრთელობის რისკის ქვეშ დაყენება მიზანშეუწონლად მიიჩნია და მარტინს უფლება მისცა სამკურნალოდ ლივერპულს დაბრუნებულიყო.

მანჩესტერ სიტი


შონ რაიტ-ფილიპსი

# რაიტ-ფილიპსის ბოლო შანსი

## სიტის ბადეში თევზები კიდევ გაებმებიან

"მანჩესტერ სიტის" გარემარბ **შონ რაიტ-ფილიპსს** კლუბი უკანასკნელ შანსს მისცემს ძირითად გუნდში დასამკვიდრებლად. ამისთვის მას ძალზე "მარტივი" დავალება მისცეს: სათანადოდ უნდა შეცვალოს ტრავმირებული **ადამ ჯონსონი.** მიმდინარე სეზონში შონი პრაქტიკულად მიჯაჭვულია სათადარიგოთა სკამს. მას კარიერის სხვა კლუბში გაგრძელება სურდა, თუმცა "ქალაქელებმა" მის ტრანსფერზე უარი თქვეს, რადგან იმ პერიოდისთვის ჯონსონი უკვე სერიოზულად იყო დაშავებული. **რობერტო მანჩინის** თანაშემწე **დევიდ პლატი** აცხადებს, რომ ვინგერის გაშვებაზე სამწვრთნელო შტაბმა შეგნებულად თქვა უარი, რათა ამით გუნდისთვის დამატებითი პრობლემები არ შეექმნათ. ბოლო ტურის შეხვედრაში რაიტ-ფილიპსმა შეცვლაზე ითამაშა "ვესტ ბრომვიჩთან" და სიმართლე ითქვას, საკმაოდ კარგი შთაბეჭდილებაც დატოვა. მანჩინი კიდევ გეგმავს ფეხბურთელისთვის სათამაშო დროის გამოყოფას. ამის შესახებ მან "სქაი სპორტსს" განუცხადა: *"მას შეუძლია ადამ ჯონსონის სრულფასოვანი შემცვლელი გახდეს. სამწუხაროა, რომ ჩემს გუნდში არსებული არნახული კონკურენციის გამო იანვრამდე რაიტ-ფილიპსი ხშირად რჩებოდა განაცხადს მიღმა. თუმცა ახლა თავდადებით მუშაობს და აშკარაა, რომ მას შეუძლია გუნდს სისწრაფე და შემტევი პოტენციალი შემატოს. ჩვენ არც ისეთი სულელები ვართ, რომ ვერ გავისიგრძეგანოთ, რა დახმარება შეუძლია მას გაუწიოს გუნდს სეზონის ბოლომდე".*

26 წლის შვეიცარიელი ნახევარმცველი **გიოქჰან ინლერი** 2007 წლიდან "უდინეზეში" ასპარეზობს. იტალიური პრესის ცნობით, მისით რამდენიმე სერიოზული ევროპული კლუბია დაინტერესებული. დიდი შანსია, ზაფხულში ფრიულელებმა ერთ-ერთი ლიდერი დაკარგონ კიდეც. ლაპარაკია "ნაპოლის", "ინტერის", "ჰამბურგის", "ვოლფსბურგისა" და "მანჩესტერ სიტის" ინტერესზე. თუკი საქმე უხვ სატრანსფერო წინადადებაზე მიდგება, გამარჯვებულის ვინაობას ალბათ ფეხბურთით დაინტერესებული პატარა ბავშვიც გამოიცნობს - გააჩნია რამდენად დაჟინებით მოითხოვს ფეხბურთელის შეძენას "სიტის" თავკაცი რობერტო მანჩინი.

არსენალი

# არსენალი ჩივის


ჯეიმს ში

"არსენალის" იმედის მომცემმა კარის დარაჯმა, 19 წლის **ჯეიმს შიმ** კლუბთან კონტრაქტი ერთი წლით გაახანგრძლივა, გვამცნობს ESPN. ალბათ მხოლოდ "მეთოფეების" თავგადაკლულ ფანებს მოეხსენებათ მისი ავან-ჩავანია, ამიტომ ორიოდე სიტყვით მოგახსენებთ მის შესახებ. ის "ემირითსზე" 2009 წელს გამოჩნდა და მას მერე დუბლების პირველი მეკარის სტატუსით სარგებლობს. მიუხედავად იმისა, რომ ძირითად გუნდთან მას მხოლოდ ეპიზოდური შეხება აქვს, **ალმუნიასა** და **ფაბიანსკის** ტრავმების გამო ბოლო ხანს ის ძირითადი გუნდის განაცხადში მუდმივად ხვდება, კლუბში ფეხბურთელზე დიდ იმედებს ამყარებენ.

"არსენალის" იურისტები ფრანგული France 2-ის წინააღმდეგ სარჩელს ამზადებენ. აღნიშნულმა კომპანიამ "ნიუკასლი"-"არსენალის" (4:4) დასრულების შემდეგ გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს სამართალდამცავებმა მატჩის მიმდინარეობის გამო ეჭვი აიღეს და საქმის გამოძიება უკვე დაიწყეს. სკოტლენდ იარდის წარმომადგენლებმა აღნიშნული გაიკვირვეს და ყველაფერი უარყვეს. "მეთოფეების" განზრახვის შესახებ კი უკვე გამცნეთ.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული სპორტი

● აურზაური კორტების გამო

# მე ნუ მომცხებენ ჩირქს...

„კვირის პალიტრამ“ 31-იანვარი-6 თებერვლის ნომერში გამოაქვეყნა წერილი სათაურით „მე ნუ მცხებთ ჩირქს“, რომელსაც ასეთი ქვესათაური ჰქონდა: „ვინ გადააგდო ალექსანდრე მეტრეველი“. პუბლიკაცია სანაპიროზე „დინამოს“ კორტების გაყიდვის თაობაზე დატრიალებულ ამბებს ეხებოდა. ამ ამბებში კი სახელოვანი ვეტერანი ჩოგბურთელის სახელი და მისი ოჯახის წევრები არიან მოხსენიებული.

„კვირის პალიტრას“ უამრავი მკითხველი ჰყავს და მათ ისიც კარგად იციან, რომ ჩვენი გაზეთიც ამ საგამომცემლო სახლშია გაერთიანებული. ჰოდა, გასულ კვირაში არ წყდებოდა სატელეფონო ზარები. გვთხოვდნენ ზემოხსენებული წერილი „ლელოში“ გადმოგვებეჭდა, რომ სპორტული სამყაროსთვის გამხდარიყო ცნობილი კორტებთან დაკავშირებული მოვლენები. პრობლემა მასალის გადმობეჭდვა, ცხადია, არ იყო, მაგრამ „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომრის გამოსვლას დაველოდეთ იმ იმედით, რომ იქნებ გამოხმაურება მოჰყოლოდა პუბლიკაციას, ჩვენ კი მკითხველისთვის უფრო სრული ინფორმაციის მიწოდების შესაძლებლობა მოგვეცემოდა. მაგრამ ასე არ მოხდა. ამიტომ ახლა ვბეჭდავთ წერილს, დასკვნებს კი მკითხველი თავად გამოიტანს.

კვირის პალიტრა

ყოველკვირეული გაზეთი

თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე აწ უკვე დანგრეული საჩოგბურთო კორტების გამო შესაძლოა სკანდალი დაიწყოს. ეს ტერიტორია რამდენჯერმე გაიყიდა. გავრცელებული ინფორმაციით, კორტები თავდაპირველად კერძო პირებმა შეისყიდეს, სამიოდე წლის წინ კი ობიექტი აქციონერებისგან დავით კოდუამ გამოისყიდა, მაგრამ, როგორც ამბობენ, ქონება მასაც გააყიდვინეს(?!).

ამ ტერიტორიაზე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელით იურიდიული მომსახურების ცენტრი შენდება. დავით კოდუასთან ვაჭრობის დროს ზოგიერთმა აქციონერმა მაქინაციებს მიმართა, მსხვერპლი კი ჩოგბურთში ევროპისა და საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი ალექსანდრე მეტრეველი გახდა: „ხმა გაავრცელეს, თითქოს აქციონერებს შორის პირველი მე დავთანხმდი კორტების გაყიდვას და ამის შემდეგ დაუთმიათ სააქციო წილები სხვებს. ჩანს, ის არ კმარა, რომ ქართული ჩოგბურთი დაასამარეს, ახლა მეც იმავეს მიპირებენ. ამიტომაც ვთხოვ „კვირის პალიტრას“ ქართველი საზოგადოებისთვის მათქმევინოს, რომ მე, ჩოგბურთელი ალექსანდრე მეტრეველი, მთელი სიცოცხლე ვცდილობდი და ვცდილობ, ვიყო ღირსეული ადამიანი. ასეთივე სულისკვეთებით აღვზარდე ორი ვაჟი და არასოდეს გამომიყენებია ვინმეს სახელი ბოროტად. ამიტომაც ვითხოვ, დაუმსახურებლად ჩირქს ნუ მცხებენ“.




მეტრეველების ოჯახის განმარტებით, სკანდალი მას შემდეგ დაიწყო, რაც ჩოგბურთელის ვაჟმა და ამავე დროს კოლეგა აკა მეტრეველმა ერთ-ერთი ტელეარხით გამოსვლისას თქვა, ჩოგბურთის კორტების გაყიდვა საბოლოოდ ჩაკლავს საქართველოში ჩოგბურთის აღორძინების იმედსო.

აკა მეტრეველი: „მეორე დღესვე მომივიდა ხმა, განაწყენებულ დავით კოდუას უთქვამს, მეტრეველებმა ამხელა ფული აიღეს, შევთანხმდით, რომ იქ კორტები აღარ აშენდებოდა და ახლა რაღაზე სწყდებათ გულიო. ვიცი, რომ მამამ, როგორც აქციონერმა (დაახლოებით აქციების 12%-ს ფლობდა), ამ ვაჭრობიდან მხოლოდ თავისი წილი აქციების ღირებულება აიღო - 30.000 დოლარი. სწორედ ასე გვითხრა ჩვენი ოჯახის ნდობით აღჭურვილმა პირმა თენგიზ გელეიშვილმა (ჩემი უფროსი ძმის სიმამრი, როგორც ოჯახის ნათესავი და ერთ-ერთი აქციონერი, იურიდიულად იყო ნდობით აღჭურვილი პირი), წესითა და კანონით ეს გეკუთვნოდათო. გამიკვირდა, რადგან ოჯახში ერთმანეთისთვის დამალული არაფერი გვაქვს. სასწრაფოდ დავურეკე მამას უცხოეთში და...“

ალექსანდრე მეტრეველი: „აკას ზარმა გამაოგნა, რას ამბობ, რა თანხა-მეთქი. სასწრაფოდ ჩამოვედი თბილისში და შევხვდი დავით კოდუას. როგორც მითხრა, ჩემი სახელით მისთვის დიდი თანხა მოუთხოვიათ, ოდენობაც ვერ დავაზუსტე, ხან მილიონი ითქვა, ხან 800.000, ხან უფრო ნაკლები... ამ ამბავმა თავზარი დამცა. მომატყუეს მე და ჩემი სახელით მოატყუეს კოდუაც.

კორტების გაყიდვის ამბავი თავიდანაც ნათესავმა მაცნობა, მითხრა, გაიყიდა და შენი წილი აქციების დაკავებას აზრი არ აქვსო. მეც დავთანხმდი. თუმცა, ჩემი ნება რომ ყოფილიყო, ამას არ დავუშვებდი. ეს იყო ისტორიული ობიექტი, აქ დავიწყე კარიერა როგორც ჩოგბურთელმა. ამ კორტებსა და ქართული ჩოგბურთის ისტორიაზე ფილმიც გადავიღეთ.

კოდუასთან შეხვედრის შემდეგ ჩემს ნათესავ თენგიზ გელეიშვილს ვთხოვე, აეხსნა, რა მოხდა და სად წავიდა ფული. როგორც მითხრა, დავით კოდუასთან მოლაპარაკებისას ჩემი სახელი არავის უხსენებია, მაგრამ თავად მეორე პარტნიორ, ბიზნესმენ გურამ სვანიძესთან ერთად მართლაც აუღია დიდი ფული. ეს თანხა გურამს სჭირდებოდა, თქვენ კი ყველას თქვენ-თქვენი წილი მოგეცითო(!), მითხრა. არადა, წესით, თანხა სააქციო წილების მიხედვით უნდა განაწილებულიყო. მტკივნეულია, რომ ასეთ მაქინაციაში ჩემი ოჯახის წევრია გახვეული. დავით კოდუას რომ ვუთხარი, მხოლოდ 30.000 დოლარი მომიტანეს-მეთქი, გაოცდა, 35 ათასი მარტო იმას მივეცი, ვისაც 1 პროცენტი აქცია ჰქონდაო“.

დავით კოდუა: „მე, როგორც კერძო პირმა, გამოვისყიდე „დინამოს“ კორტები და მისი მიმდებარე ტერიტორია. ხმას ავრცელებენ, თითქოს მომატყუეს. არავის მოვუტყუებივარ. ტერიტორიის შესყიდვა სააქციო საზოგადოებისგან, აქციონერებისგან დავიწყე. ერთნაირი წილების მფლობელნი ჯგუფებად გაერთიანდნენ. ჯგუფს, რომელშიც ალექსანდრე მეტრეველი იყო, მისი მძახალი თენგიზ გელეიშვილი ხელმძღვანელობდა. ის მოდიოდა მოლაპარაკებაზე. მითხრა, მხოლოდ ალექსანდრეს 150.000 დოლარი უნდაო. იმ კაცს პატივს ვცემ და რახან მისი ნდობით აღჭურვილი პირი მელაპარაკებოდა, გადავუხადე. კორტებში სულ 14 მილიონი დოლარი გადავიხადე, გელეიშვილს კი მისი ჯგუფის აქციონერებისთვის, მგონი, მილიონ შვიდასი ათასი მივეცი. ოდენობა ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ დაახლოებით ეს თანხა უნდა იყოს.

ამის შემდეგ თითქოს ისევ მეტრეველები განაწყენებულან, ჩოგბურთის კორტებს რატომ აუქმებენო. მე ის ტერიტორია იმ პირობით არ მიყიდია, რომ აუცილებლად კორტებს გავაკეთებდი. ამიტომაც თავად არც ამ პირობით გამიყიდია.

თუ არ სურდათ კორტების გაუქმება, ჩემთვის 14 მილიონად კი არა, ბევრად ნაკლებად უნდა მოეყიდათ ტერიტორია და გაკეთდებოდა კორტებიც.

ჩემი გაკეთებულია გადახურული კორტები ბავშვებისთვის, მაგრამ ამაზე არავინ ლაპარაკობს. იქიდან ერთი თეთრიც არ ამიღია. ჩემი შვილებიც იქ დადიან. დასანანია, რომ ინვესტორებთან მოლაპარაკებები ჩაიშალა, თორემ უნდა გამეკეთებინა სასტუმრო კომპლექსი, გასართობი ცენტრი, კაფეები, ტყე-პარკი, შემიძლია ეს ყველაფერი ოფიციალური პროექტის სახით წარმოგიდგინოთ. პროექტს ველარ ვახორციელებდი და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ შემომთავაზა, მიმეყიდა მისთვის უფრო ნაკლებ ფასად. მივყიდე(?!). ვიმეორებ, თენგიზ გელეიშვილის წინადადებას იმიტომაც დავთანხმდი ულაპარაკოდ, რომ ალექსანდრე მეტრეველს დიდ პატივს ვცემ“.

„კვირის პალიტრა“ თენგიზ გელეიშვილსაც დაუკავშირდა, თუმცა ის არც სატელეფონო ზარებს პასუხობს და არც მოკლე ტექსტურ შეტყობინებას.

**ეკა ლომიძე**

● ჩოგბურთი

# ცუდი კენჭისყრა და მარცხი ფიფიასთან

დღეს მიდლენდში იწყება ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი 100-ათასიანი საპრიზო ფონდით. მისურის შტატში ჩვენი პირველი ჩოგანი **ანა ტატიშვილიც** (129) იმყოფება, რომელსაც კენჭისყრამ არ გაუმართლა - პირველივე წრეში ანას მეტოქედ პირველ ნომრად განთესილი ამერიკელი **ვარვარა ლეპჩენკო** (75) ეყოლება. შარშან ტატიშვილმა ორჯერ წარუმატებლად სცადა ლეპჩენკოს დამარცხება, თუმცა კი ორივეჯერ ნამდვილი ბრძოლა გაუმართა.

წყვილთა თანრიგში ქართველი ამერიკელ **ჯემი ჰემპტონს** (133) შეუწყვილდა.

მალიორკაში (ესპანეთი) ზედიზედ მეორე 10-ათასიანი ტურნირი დაიწყო. შეგახსენებთ, რომ პირველი შეჯიბრება 19 წლის **ეკა გორგოძემ** მოიგო. ახლა ეკას პირველი მეტოქე ბულგარელი **იულია სტამატოვაა**. **სოფიო ქვაცაბაია** უკვე გამოვარდა, მან მე-6 ნომრად განთესილ ქართული წარმოშობის რუს **ნანული ფიფიასთან** (363) წააგო - 3:6, 2:6.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ნანული ფიფია

● ტრაგედიის ექო




# კანადური ტელევიზია CBC-ი ნოდარ ქუმარიტაშვილის დაღუპვის მიზეზებს უბრუნდება

ქართველი მოციგავის ნოდარ ქუმარიტაშვილის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ მისი სიკვდილის მიზეზებზე კანადური ტელევიზია ალაპარაკდა. ადგილობრივ ჟურნალისტებს ხელში ჩაუვარდათ სკანდალური მიმოწერა ვანკუვერის ოლიმპიური კომიტეტის საორგანიზაციო კომიტეტისა და საციგაო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის წევრებს შორის, სადაც დაფიქსირებულია, რომ უისტლერის საციგაო ტრასა გაუმართავი იყო და ამას შესაძლოა სპორტსმენის მძიმედ დაშავება ან სიკვდილი გამოეწვია. CBC-ის ეთერში გასულ გადაცემაში აღნიშნულია, რომ ამის შესახებ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ინსპექციამაც არაერთი კრიტიკული შენიშვნა მიიღო. სპეციალისტები შეშფოთებულნი იყვნენ იმ სიჩქარით, რომელსაც სპორტსმენები ავითარებდნენ და ამის შესახებ VANOC-ს ჯერ კიდევ 2009 წლის მარტში აცნობეს. თუმცა, როგორც ჩანს, თამაშების ორგანიზატორებმა ყველა გაფრთხილება უყურადღებოდ დატოვეს.

კანადური ტელევიზიის ეთერში გასული მასალების დეტალებით დაინტერესდა ქართული მხარეც. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ოფიციალურ კომენტარში ნათქვამია, რომ საქმის დეტალებში კარგად გარკვევის შემდეგ სავარაუდოდ უახლოეს პერიოდში სოკ-ში, საერთაშორისო ფედერაციასა და „ვანკუვერი 2010“-ის საორგანიზაციო კომიტეტში გაიგზავნება შეჯერებული წერილი, სადაც მოვითხოვთ ახსნა-განმარტებებს, რომ თუ ეს ფაქტი სიმართლეს შეესაბამება, მაშინ ოფიციალურ დასკვნაში, რომელსაც სამივე მხარე ხელს აწერს, რატომ არ არის ნახსენები. პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე **გიორგი ასანიძე** აცხადებს, რომ ქართული მხარე დიდ ინტერესს იჩენს აღნიშნული საკითხის მიმართ და ადასტურებს, რომ შენიშვნები ტრასის გაუმართაობასთან დაკავშირებით მართლაც ბევრი იყო ამ ტრაგედიამდე, თუმცა არ მოხდა მათი გათვალისწინება, რამაც საბოლოოდ სპორტსმენის დაღუპვა გამოიწვია.

12 თებერვალს ნოდარ ქუმარიტაშვილის დაღუპვიდან ზუსტად ერთი წელი შესრულდება.

**სეოკ-ის პრესსამსახური**

● ძიუდო

# ბუდაპეშტისთვის გუნდი ცნობილია

ძიუდოისტ ვაჟთა ნაკრები გუშინ დილით დაბრუნდა საფრანგეთიდან, სადაც პარიზის „დიდ მუზარადზე“ იჭიდავა და **ამირან პაპინაშვილის** (60) მიერ მოპოვებული ერთი ბრინჯაო გამოაყოლა ხელს, საღამოს კი **პეტერ ზაიზენბახერმა** 12-13 თებერვალს ბუდაპეშტში, მსოფლიოს თასზე წამსვლელი გუნდი დაასახელა: **ბეთქილ შუკვანი** (60), **ალექსანდრე იაკობაშვილი** (66), **ზებედა რეხვიაშვილი** (73), **დავით კარბელაშვილი** (81), **ლაშა გურული**, **საბა გავაშელიშვილი** (90), **ნოდარ მეტრეველი** (+100).

საუნგრეთო სია ადრევე ჩამოიწერა, თუმცა მოგვიანებით მასში ტრავმებმა და ავადმყოფობამ გარკვეული კორექტივები შეიტანა. კერძოდ, წინასწარ განაცხადში თბილისის მსოფლიოს თასის გამარჯვებული **ამბაკო ავალიანიც** (73) იყო, მაგრამ ნეკნი სტკივა და ზაიზენბახერმა ამიტომ ამოაგდო გუნდიდან. თვითონ ავალიანს ძალიან კი სურს უნგრეთში ჭიდაობა, მაგრამ მწვრთნელი ურჩევს, ტრავმა ბოლომდე მოირჩინოს და არ გარისკოს. ავადმყოფობის გამო არ გვეყოლება მონაწილე 100-ში - იქ **დავით ლორიაშვილს** უნდა ეჭიდავა, მაგრამ შეუძლოდ გახდა და ვერ მიდის.

მთავარ სიახლედ გუნდში რეხვიაშვილის დაბრუნება მიგვაჩნია, რომელიც საქართველოს პირველობაზე პრიზიორებში ვერ მოხვდა. მაშინ ეს დიდწილად მსაჯების შეცდომამაც განაპირობა, თუმცა არა მგონია, ავსტრიელზე ამას ემოქმედა. სავარაუდოდ, მან რეხვიაშვილს შანსი ნიჭიერების გამო მისცა. საერთოდ, ზაიზენბახერი ამ შეჯიბრებაზე შანსს ახალგაზრდებს აძლევს.

შეგახსენებთ, რომ მისი კონტრაქტის თანახმად, ავსტრიელმა მსოფლიოს ჩემპიონატიდან ოქრო უნდა ჩამოიტანოს - თვითონ იძლევა ამის პირობას, სხვა შედეგი კი წარუმატებლობად ჩაითვლება და ხელშეკრულებაც შეწყდება. ევროპაზე მთლად ოქრო არაა დაკვეთილი, მაგრამ სხვა სინჯის მედლები უნდა იყოს. თუ მსოფლიოზე ოქროს მოიპოვებს ანუ მისი გეგმა გაამართლებს, მაშინ ნაკრების სათავეშიც დარჩება და გუნდიც ოლიმპიადისთვის ისევ მისი გეგმით გააგრძელებს მზადებას.

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

# ფინიშამდე ორი ტურით ადრე

თვრამეტი წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობაზე გუშინ მე-7 ტურის შეხვედრები გაიმართა. კვლავ წარმატებით ითამაშა **მერი არაბიძემ**, რომელმაც შავი ფიგურებით **ნატო იმნაძეს** მოუგო და 6,5 ქულით, ფაქტობრივად, პირველობა გაინაღდა, რადგან შეჯიბრების დამთავრებამდე ორი ტურით ადრე იგი უახლოეს მდევრებს — **ლიკა კობეშავიძეს** და გუშინ მის მძლეველ **ნანი უნაფქოშვილს** 1,5-1,5 ქულით უსწრებს. 4,5-4,5 ქულა მოაგროვეს **ნათია ჯალაბაძემ, ანა კუჭავამ** და **ანა შამათავამ**, რომლებმაც გუშინ **ლიზი ტრაპაიძე, თეკლა მაჭარაშვილი** და **მარიამ ჭოლაძე** დაამარცხეს.

ვაჟების გათამაშების ცხრილის სათავეში 5,5-5,5 ქულით ერთბაშად სამი მოჭადრაკე მოექცა: **ზურაბ ჯავახაძე, ნოდარ ლორთქიფანიძე** და **ირაკლი ბერაძე**. მეწინავეებს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებიან **გიორგი ნიკოლაშვილი** და **გიორგი სიბაშვილი**, ხოლო **გიგლა ბენიძეს, შალვა ნადირაშვილსა** და **კახაბერ წერეთელს** 4,5-4,5 ქულა აქვთ. დღეს მე-8 ტურში სწორედ მეწინავეთა პაექრობები იწვევს განსაკუთრებულ ინტერესს: **გოგონები.** ჯალაბაძე-არაბიძე, უნაფქოშვილი-კუჭავა, ჭოლაძე-კობეშავიძე, შამათავა-იმნაძე. **ვაჟები.** ნიკოლაშვილი-ჯავახაძე, ლორთქიფანიძე-ბენიძე, ბერაძე-ნადირაშვილი, წერეთელი-სიბაშვილი.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო




ნაზი პაიკიძე

# აეროფლოტი და ევროების ცვენა

მოსკოვის სასტუმრო „გამა-დელტაში" დაიწყო მოჭადრაკეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი - „აეროფლოტის" მეათე ღია პირველობა, რომლის საერთო საპრიზო ფონდი 160 ათასი ევროა. პირველ ადგილზე გასული მოჭადრაკე 20 ათასით, მეორე-მეხუთეადგილოსნები, შესაბამისად, 10000, 7000, 4000 და 3000 ევროთი დაჯილდოვდებიან. ფულად პრიზებს მეექვსე-ოცდამეათე ადგილებზე გასულნიც მიიღებენ, ოღონდ უფრო მცირე რაოდენობით.

A ჯგუფში პირველობისთვის შვეიცარიული სისტემით 9 ტურად უმთავრესად 2500 და უფრო მაღალი რეიტინგის მქონე მოჭადრაკეები იბრძოლებენ, როგორებიც არიან **გატა კამსკი** (აშშ, 2730), **სერგეი მოვსესიანი** (სომხეთი 2721), **დმიტრი იაკოვენკო** (რუსეთი, 2718), **მაქსიმ ვაშიე-ლაგრავი** (საფრანგეთი, 2715), **ნიკიტა ვიტიუგოვი** (რუსეთი, 2709) და სხვები. სულ 74 დიდოსტატი. ორგანიზატორებმა რამდენიმე გამონაკლისი დაუშვეს და უძლიერესთა ჯგუფში თამაშის უფლება მისცეს ქალთა შორის მსოფლიოს ექსჩემპიონ **ალექსანდრა კოსტენიუკს** (რუსეთი, 2498), **ნატალია პოგონინას** (რუსეთი, 2472) და **ნაზი პაიკიძეს** (საქართველო, 2455). A ჯგუფში საპრიზო ადგილებისთვის კიდევ ერთი ქალბატონი იბრძოლებს - ჩინელი **იუ ვენიუნი** (2514).

გუშინ პირველი ტურის პარტიები გაიმართა. გაუწყებთ ზოგიერთი საინტერესო შეხვედრის შედეგს: ნაზი პაიკიძე რუს პაველ მალეტინს (2621) დაუზავდა; ალექსანდრა კოსტენიუკი-ივან სალგადო ლოპესი (ესპანეთი, 2626) 0:1, სანან სიუგიროვი (რუსეთი, 2626)-ნატალია პოგონინა 1:0. რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი, 2681)-ანდრეი დევიატკინი (რუსეთი, 2573) 1:0, ედუარდო იტურისაგა (ვენესუელა, 2611)-გატა კამსკი 0:1, ტიგრან პეტროსიანი (სომხეთი, 2604)-ნიკიტა ვიტიუგოვი 1:0, სტანისლავ ნოვიკოვი (რუსეთი, 2568)-მიხეილ ქობალია (რუსეთი, 2666) 0:1.

ყაიმზე შეთანხმდნენ: სერგეი მოვსესიანი-იუ იანგვი (ჩინეთი, 2607), ევგენი რომანოვი (რუსეთი, 2606)-დმიტრი იაკოვენკო, მაქსიმ ვაშიე-ლაგრავი-დმიტრი ბოჩაროვი (რუსეთი, 2605), ემილ სუტოვსკი-ვასილიოს კოტრონიასი (საბერძნეთი, 2599), ძუნ ჟაო (ჩინეთი, 2599)-ევგენი ტომაშევსკი (რუსეთი, 2695), ჩანდა სანდიპანი (ინდოეთი, 2641)-ალექსანდრ დანინი (რუსეთი, 2538), იგორ ლისიი (რუსეთი, 2635)-იუ ვენიუნი.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო

# გიგა ყუფარაძეს საერთაშორისო ოსტატობა მიენიჭა

ანტალიაში ფიდეს საპრეზიდენტო საბჭოს სხდომაზე სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს უმაღლესი საჭადრაკო წოდებები მიენიჭათ. მათ შორის, ვინც საერთაშორისო ოსტატობა დაიმსახურა, გახლავთ 23 წლის ქუთაისელი ეროვნული ოსტატი **გიგა ყუფარაძე**, სხვადასხვა ასაკში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი. წლეულს იგი მონაწილეობდა ეროვნულ ჩემპიონატში, რომელიც ნოკაუტსისტემით გაიმართა. ყუფარაძემ (2395) პირველ წრეში 2010 წლის საქართველოს ჩემპიონი **მერაბ გაგუნაშვილი** (2619) დაამარცხა, მეორე წრეში საქართველოს 2009 წლის ჩემპიონ **თორნიკე სანიკიძეს** (2559) 2:0 მოუგო, მომდევნო ორი შეხვედრა კი **ლევან ფანცულაიასთან** (2610) და **ლუკა პაიჭაძესთან** (2483) დათმო და მეოთხე ადგილს დასჯერდა, რაც მის კარიერაში უმაღლესი მიღწევაა.



**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო

სამთო თხილამურობა

# იასონის დასანანი მეათე

22 წლის **იასონ აბრამაშვილმა** კარგად იასპარეზა გერმანულ ბად ვიზეში, სადაც რიგით მეორე სლალომში საბოლოოდ მე-10 ადგილი დაიკავა. პირველი ცდის შემდეგ იასონი მე-6 ადგილზე იყო და ლიდერს წამით ჩამორჩებოდა, მაგრამ მეორე ცდის ფინიშზე შეცდომა დაუშვა, ამიტომაც მე-10 ადგილს და 37,45 ქულას დასჯერდა. კარგად გამოვიდა **კოტე ვახტანგიშვილიც**, რომელმაც მე-14 ადგილი დაიკავა (47,06 ქულა). **ბიძინა ქართველიშვილი** და **ალექსი ბენიაიძე** პირველ ცდას ვერ გაცდნენ.

გუშინ სამმა ქართველმა სამთომოთხილამურემ იტალიურ აბეტონეში გიგანტურ სლალომში იასპარეზა. ალექსი ბენიაიძე მე-40 ადგილზე გავიდა, კოტე ვახტანგიშვილი - 66-ზე ადგილზე, ხოლო ბიძინა ქართველიშვილმა ვერ დაასრულა ტრასა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

იასონ აბრამაშვილი


საქართველოს სპორტისა და სპორტის მუშაკთა პროფესიული კავშირი თანაგრძნობას უცხადებს სპორტის დამსახურებულ მუშაკს, შრომისა და სპორტის ვეტერანს შოთა ბუაძეს **მეუღლის** გარდაცვალების გამო.

*პანაშვიდი: 10-11.02. 16 საათიდან; გამოსვენება 12.02. 14 საათზე. მისამართი: ვაჟა ფშაველას გამზირი III კვ. XVIII კორპ; I სადარბაზო.*

ლელოელები სამძიმარს უცხადებენ ამავე გაზეთის კორესპონდენტს სალომე ხარატიშვილს **მამის** გარდაცვალების გამო.


ჯანმრთელობის ფასი რა არის...

# კვამლი, რომელსაც ჯანმრთელობა მიაქვს



ნიკოტინის წინააღმდეგ ბრძოლას ყველგან, საზოგადოებრივი ხასიათი აქვს და, ამდენად, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემაა. ჩვენს ქვეყანაში, მაგალითად, თამბაქოს ნაწარმის რეკლამა კატეგორიულად იკრძალება. სიგარეტს არასრულწლოვანი ვერ იყიდის. თამბაქოს მოწევა აკრძალულია ბევრ ადგილებში.

უფროსებო: დღენიადაგ ყურადღებით იყავით, რომ ბავშვმა მოწევა არ დაიწყოს. მოზარდს ადრეულ ასაკშივე ჩაუნერგეთ თამბაქოს მიმართ ზიზღი, აუხსენით, განუმარტეთ, რომ სიგარეტის მოწევა დიდობას სრულებითაც არ ნიშნავს!

სიგარეტი არანაკლებ ზიანს აყენებს იმათ, ვინც თვითონ არ ეწევა, მაგრამ გამუდმებით უხდება თამბაქოს ბოლის ყლაპვა. ასეთ ხალხს მედიცინა პასიურ მწეველებს უწოდებს. ცნობილია, რომ თამბაქოს წვის პროდუქტის 25 პროცენტი მწეველის ფილტვებში ჩადის, 25 პროცენტი კი ჰაერში რჩება. ე.ი. მწეველი თავის თავსაც გამოუსწორებელ ზიანს აყენებს და გარემოსაც გვარიანად აბინძურებს. სიგარეტის ბოლით გაჟღენთილ ოთახში ყოფნა არამწეველისთვის უსიამოვნო შეგრძნებას იწვევს (პირის ღებინება, მოთენთილობა, თავის ტკივილი), რასაც, სამწუხაროდ, მწეველი ვერ ამჩნევს, ვერ გრძნობს, ან კიდევ ყურადღებას არ აქცევს. იგი დარწმუნებულია, რომ მისი საქციელი საზოგადოებაში ყოფნისა და ქცევის ნორმებს არ ეწინააღმდეგება.

**ადამიანი, რომელიც ყოველდღიურად 9 სიგარეტის ბოლს ყლაპავს, სიცოცხლეს საშუალოდ 5 წლით იმოკლებს, 10-19 სიგარეტის მწეველი - 5,5 წლით, 20-30 სიგარეტისა - 6,2 წლით, 40 სიგარეტისა კი - 8,3 წლით**

თამბაქოს ბოლი საერთო დისკომფორტის პირველი მიზეზია. ასეთ სახიფათო მეზობლობას განსაკუთრებით მწვავედ განიცდიან ასთმითა და ალერგიით დაავადებულნი. თამბაქოს ბოლი პასიურ მწეველს უფრო აწუხებს, ვიდრე ნამდვილ მწეველს. ავტომანქანის სალონში დაგროვილ ბოლში ერთ საათს ყოფნა, ფაქტობრივად სამი სიგარეტის მოწევას უდრის.

თამბაქოს ბოლისადმი განსაკუთრებით მგრძნობელობას იჩენენ ბავშვები. ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემების თანახმად, მწეველი მშობლების შვილებს (განსაკუთრებით ერთ წლამდე) ფილტვების დაავადება ხშირად უჩნდებათ. ასეთ ბავშვებზე ამბობენ, რომ დღე-ღამის განმავლობაში ისინი, ფაქტობრივად ხუთამდე სიგარეტს სწევენო.

ბავშვი პასიური მეწველი შეიძლება გახდეს დაბადებამდეც. ასი ახალშობილიდან, რომელთა დედებიც დღეში ხუთ სიგარეტს ეწევიან, ოთხი დაბადების პირველსავე დღეს იღუპება. მწეველი დედის შვილები სამჯერ უფრო ხშირად ხდებიან ავად. ამასთან, მათ დაბადებიდანვე დაზიანებული აქვთ სასუნთქი გზები.

სპეციალისტთა მტკიცებით თამბაქოს სუნზეც კი ახალშობილს პირის ღებინება ეწყება, დიდი ოდენობით ბოლის შესუნთქვა კი გულის მუშაობას და სისხლის მიმოქცევას აფერხებს.

სტატისტიკის თანახმად, მწეველ მამაკაცს ცოლი არამწეველზე ოთხი წლით ადრე უკვდება. იაპონელი პროფესორი ხირაიანა 14 წლის განმავლობაში სწავლობდა ნიკოტინის დამღუპველ ზემოქმედებას ადამიანის ორგანიზმზე და ბოლოს იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ფილტვის კიბოთი ქალების დაავადების მიზეზი ხშირად მწეველი მეუღლე გახლავთ. მეტიც, იაპონელი სპეციალისტის აზრით, ავთვისებიანი სიმსივნით ქალთა დაავადების პროცენტი პირდაპირ კავშირშია მამაკაცების მიერ მოწეული სიგარეტის რაოდენობასთან.

ინგლისელ ექიმთა ასოციაციის მონაცემებით, ყოველი მოწეული სიგარეტი სიცოცხლის ხანგრძლივობას საშუალოდ 5,5 წუთით ამცირებს. ადამიანი, რომელიც ყოველდღიურად 9 სიგარეტის ბოლს ყლაპავს, სიცოცხლეს საშუალოდ 5 წლით იმოკლებს, 10-19 სიგარეტის მწეველი - 5,5 წლით, 20-30 სიგარეტისა - 6,2 წლით, 40 სიგარეტისა კი - 8,3 წლით.

ადამიანი არ უნდა ეწეოდეს - ეს მთავარია. მაგრამ ვინც ამას ვერ ახერხებს, კიბოსსაწინააღმდეგო საერთაშორისო კავშირი რამდენიმე წესს სთავაზობს. არ არის გამორიცხული, რომ ამ წესების დაცვით მწეველმა სიგარეტს თავი დაანებოს:

1. დღის განმავლობაში მოწეული სიგარეტების რაოდენობის ზუსტი აღრიცხვა. ვეცადოთ, რომ ყოველ მომდევნო დღეს ეს რაოდენობა უმნიშვნელოდ მაინც შევამციროთ.
2. მოწევის დროს სიგარეტის ბოლი ღრმად არ ჩაისუნთქოთ. კარგია თუ ასეთ ჩასუნთქვათა რიცხვი თანდათანობით შემცირდება.
3. უზმოზე არავითარ შემთხვევაში არ მოსწიოთ. არ მოსწიოთ ჭამისა და სითხის მიღების დროს.
4. ჩასუნთქვებს შორის სიგარეტს პირში ნუ დაიტოვებთ.
5. არავითარ შემთხვევაში არ მოსწიოთ სიგარეტი ბოლომდე; ნიკოტინი და კანცეროგენული ნივთიერებანი თავს, როგორც წესი, სიგარეტის ბოლოში იყრიან.
6. ნუ მოსწევს სიგარეტს სიარულის დროს, კიბეზე ასვლისას. სუნთქვა ასეთ შემთხვევაში განსაკუთრებით ინტენსიურია და კანცეროგენები ფილტვების ნებისმიერ ნაწილში შედარებით ადვილად აღწევენ.
7. ნუ მოსწევთ დიდი ფიზიკური დატვირთვის დროს.
8. ეცადეთ უპირატესობა ფილტრიან სიგარეტს მიანიჭოთ.
9. პერიოდულად მოაწყვეთ შესვენებები (არ მოვწევ ორშაბათამდე, თვის ბოლომდე, ახალ წლამდე და ა.შ.).
10. ნუ მოსწევთ, როცა მოწევა არ გინდათ.

ამ წესების დაცვით ადამიანმა შეიძლება თამბაქოს თავი დაანებოს. ეს განსაკუთრებით ეხება იმათ, ვინც დღეში 20 სიგარეტზე მეტს ეწევა. სიგარეტის წევას მეტწილად ნებისყოფის მქონე, მიზანდასახული ხალხი ანებებს თავს, მაგრამ, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს ასეთ ნაბიჯს ისინი ნელ-ნელა, თანდათანობით დგამენ: ჯერ მორალურად და ფიზიკურად ემზადებიან, მოწეული სიგარეტის რაოდენობას თანდათან ამცირებენ, კონტროლს ეჩვევიან და გადამწყვეტ ნაბიჯს ამის შემდეგ დგამენ.

**„ლელოს" საკონსულტაციო საბჭო**



## კალათბურთი

ინტერვიუ გიორგი ცინცაძესთან

# სანიკიძე ტექნიკაში მოიკოჭლებს?

## მოედნის ხედვა არ მაქვს? რუსებს ვერ დავეთანხმები!



**გიორგი ცინცაძემ** ესტონურ „ტარტუ როკში" დაბრუნების წინ „ლელოსთან" ინტერვიუში თქვა - ბალტიისპირეთში იმიტომ მივდივარ, რომ საქართველოს ნაკრებისთვის მოვემზადოო.

მართლაც, მას 2009-10 წლების სეზონი ჩაუვარდა, რაც ნაკრებში მის გამოსვლასაც დაეტყო. ჰოდა, გიორგი ძველ ნაცნობებში ტარტუელებში დაბრუნდა, რათა სათამაშო პრაქტიკა საკმარისი ჰქონოდა და ლიდერობა გაეხსენებინა.

მიმდინარე სეზონის დასაწყისში ცინცაძეს მწვრთნელი ძველებურად ვერ ენდობოდა, თუმცა ბოლო დროს მდგომარეობა გაუმჯობესდა და გიორგიც ძველ პოზიციებს იბრუნებს.

კალათბურთის ფედერაციის საიტზე გამოქვეყნდა ინტერვიუ ცინცაძესთან, რომელიც ჩვენი გაზეთის მკითხველსაც დააინტერესებს.

**- გიორგი, „როკში" ხელმეორედ დაბრუნებულს რა ვითარება დაგხვდა?**

- კლუბში ახალი მოთამაშეები არიან. სიტუაციაც შეცვლილია. მწვრთნელს სხვანაირი ხედვა და ტაქტიკა აქვს. ზაფხულიდან ტრავმა გამომყვა, შემდეგ მეორე ფეხიც ვიტკინე, მაგრამ ახლა თავს კარგად ვგრძნობ და ნელ-ნელა მდგომარეობა უკეთესობისკენ იცვლება.

**- რამდენად დიდი სხვაობაა მაშინდელ და ახლანდელ „როკს" შორის?**

- დიდი სხვაობაა. ადრე გამოცდილი კალათბურთელები თამაშობდნენ, ახლა მეტი ახალგაზრდაა, რომლებიც უფრო ემოციურები არიან.

**- ფორმაში ნელ-ნელა შედიხარ და თამაშს უმატებ. კმაყოფილი ხარ პროგრესით?**

- ოპტიმალურ ფორმაში არ ვარ, მაგრამ ტრავმა თამაშში ხელს მიშლიდა, ახლა ფეხი ნაკლებად მაწუხებს, რაც უკეთესად თამაშის შესაძლებლობას მაძლევს. ზაფხულისთვის სასურველ ფორმაში ჩავდგები.

**- ახლახან, ბალტიის ლიგაზე „რუდუპისის" წინააღმდეგ 22 წუთში 18 ქულით „ტარტუ როკის" ბომბარდირი გახდი, ხოლო „ლიეპაიასთან" 7 პასი შეასრულე...**

- „რუდუპისის" წინააღმდეგ შეტევაზე ვიყავი კონცენტრირებული, ხოლო „ლიეპაიასთან" პასებზე მქონდა აქცენტი გადატანილი... ვფიქრობ, გუნდის გამარჯვებაში გარკვეული წვლილი შევიტანე და რაც მთავარია, ორივე მატჩი მოვიგეთ.

**- ბალტიის თასზე „როკს" რა მიზნები აქვს?**

- პლეი ოფში გასვლის დიდი შანსი გვაქვს და ვნახოთ, რა გამოგვივა. მთავარია, რომელ ადგილს დავიკავებთ, სასურველია მესამე ადგილს არ ჩამოვცდეთ, ანუ შევინარჩუნოთ პოზიცია, რომელზეც ახლა ვიმყოფებით. ერთი თამაში გასვლაზე გველის, ერთი - შინ. სტუმრად მოგება, ალბათ, გაგვიჭირდება, მაგრამ ამ ორივე მატჩში გამარჯვებას დიდი მნიშვნელობა აქვს.

**- ესტონეთის ჩემპიონატზე რას იტყვი?**

- ერთი-ორი გუნდია, რომელთანაც დაძაბული თამაშები გვაქვს, დანარჩენებთან თუ გაგვიჭირდა, ეს უკვე ჩვენი პრობლემაა და იმას არ ნიშნავს, რომ ისინი გვჯობიან. წესით, ფინალში უნდა ვითამაშოთ.

**- „როკის" მწვრთნელ ინდრიკ ვესპაანუს როგორ დაახასიათებდი. როგორი დამოკიდებულება აქვს შენ მიმართ?**

- მწვრთნელთან მხოლოდ საქმიანი ურთიერთობა მაქვს. ინდრიკს ახლა განსხვავებული შეხედულება აქვს კალათბურთზე, ვიდრე ადრე. ახალგაზრდებზე, სწრაფ შეტევებზე და ღია თამაშზე აკეთებს აქცენტს. შესაძლოა იმიტომ, რომ თვითონაც ახალგაზრდაა (30 წლისაა).

**- ნაკრების თემაზე გადავიდეთ: 30 იანვარს ჩატარდა ევროპის ჩემპიონატის წილისყრა. რას იტყვი ჩვენს ჯგუფზე და რა აზრისა ხარ მეტოქეებზე?**

- სასურველ ჯგუფში მოვხვდით. ჩემი აზრით, მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი გვაქვს, მაგრამ, ალბათ, სხვებიც ჩემნაირად ფიქრობენ და რთული ბრძოლები გველის. მოშვების უფლება არც ერთ გუნდთან გვაქვს, ყველასთან 100 პროცენტით უნდა დავიხარჯოთ, განსაკუთრებით რუსეთთან. ამ ნაკრებთან მატჩს მხოლოდ სპორტული მნიშვნელობა არ აქვს და თუკი გავიმარჯვებთ, მთელ საქართველოს ძალიან გავახარებთ. მთავარია, ჯანმრთელად ვიყოთ, ტრავმებმა ხელი არ შეგვიშალოს და ვფიქრობ, ყველასთვის ანგარიშგასაწევი ძალა ვიქნებით.

**- რა არის საქართველოს ნაკრების მთავარი მიზანი ევრობასკეტზე?**

- ჯგუფიდან გასვლა. მეორე ჯგუფურ ეტაპზე კი ერთი თამაშის მოგებაც დიდი შედეგი იქნება. მთავარია, პირველი ეტაპი დავძლიოთ. დებიუტისთვის ესეც მიღწევად ჩაითვლება.

**- ამ თემაზე ნაკრების სხვა წევრებს თუ ესაუბრე?**

- ტელეფონით ველაპარაკე ვიქტორ სანიკიძეს და ზაზა ფაჩულიას. ისინი გახარებულები იყვნენ. ვფიქრობთ, გაგვიმართლა, კენჭისყრამ თავისი საქმე გააკეთა, ახლა ჯერი ჩვენზეა.

**- ნაკრების ნატურალიზებულ ამერიკელ ტორინ გრინზე რას ფიქრობ, როგორ მოერგო ის გუნდს და უნდა ველოდეთ თუ არა მისგან ბევრად უკეთესს თამაშს?**

- გრინი გასულ შესარჩევზე ჩვენი ნაკრების დებიუტანტი იყო. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, კარგად ითამაშა და ძალიან დაგვეხმარა. მომავალ წელს, ალბათ, უკეთესად, თავისუფლად ითამაშებს, და უცხოდაც არ იგრძნობს თავს. ვფიქრობ, ევრობასკეტზე უფრო შედეგიანი იქნება.

**- კენჭისყრას ბევრი გამოხმაურება მოჰყვა. სააგენტო სპორტს.რუ-მ ჩვენ ნაკრებზე ვრცელი სტატიაც გამოაქვეყნა, სადაც შენს მინუსებსა და პლუსებზეც გამახვილდა ყურადღება. თუ გაეცანი ამ მასალას და იზიარებ თუ არა რუსი ჟურნალისტის შეხედულებებს?**

- როგორ ჩანს, სტატიის ავტორს ჩვენი შარშანდელი თამაშები ჰქონდა ნანახი, სადაც მე აშკარად არ ვიყავი ფორმაში. 5 თვე გუნდიდან გუნდში მოგზაურობას მოვანდომე. ამასთან ტრავმა მაწუხებდა და ჩემი შესაძლებლობის მეოთხედსაც ვერ ვავლენდი. რაც შეეხება იმას, რომ მოედნის ხედვა არ მაქვს, ამაში ვერ დავეთანხმები. ჩემი პლუსი სწორედ მოედნის ხედვაა. ასევე ვერ გავიზიარებ იმ აზრს (და არა მარტო მე), რომ სანიკიძეს ტექნიკა აკლია, ან მსროლელი არ გვყავს. მანუჩარ მარკოიშვილის დონის მსროლელი რუსებს ნამდვილად არ ჰყავთ.

**- საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატზე რას ფიქრობ?**

- საკალათბურთო სუპერლიგას ყოველთვის ვადევნებ თვალყურს. ყველა ტურის შემდეგ ვეცნობი მატჩების ანგარიშებსა და სტატისტიკას. სასიხარულოა, რომ ჩემპიონატში 11 გუნდი მონაწილეობს. მისასალმებელია, რომ მოთამაშეებს ხელფასები ურიგდებათ. როდესაც არ ფიქრობ საარსებო წყაროზე და ხელფასს თავის დროზე ილებ, მაშინ მთლიანად თამაშზე ხარ კონცენტრირებული და მაქსიმალურად იხარჯები. ამას წინათ საქართველოს თასის ფინალს ვუყურე, რომელიც ძალიან კარგად იყო ორგანიზებული. მესიამოვნა, ამდენი ხალხი რომ ესწრება თამაშებს. იმედია, ერთ დროს მეც დავბრუნდები.

**- შენს მომავალ გეგმებზე გვიამბე...**

- სეზონის ბოლომდე „ტარტუში" ვარ. თურქეთიდან მქონდა შემოთავაზება, მაგრამ ვერ წავედი. ევროპის ჩემპიონატზე თუ კარგად ვიასპარეზებთ, ნაკრების წევრებს, ალბათ, კარგი შემოთავაზებები გვექნება.

**- გიორგი, შენი ესტონური სკანდალიც უნდა ვახსენოთ, ავტოავარიას ვგულისხმობ...**

- სერიოზული არაფერი მომხდარა. ეს ყველაფერი ჟურნალისტებმა გააბუქეს.

**- იმ ქვეყნებს შორის სადაც გითამაშია, რომელ ქვეყანას ანიჭებ უპირატესობას?**

- ესტონეთი მომწონს, მართალია, აქ ძალიან ცივა, მაგრამ კარგი ქვეყანაა. საქართველოში ემოციური ხალხი ცხოვრობს, აქ - მშვიდი და ცხოვრებაც წყნარად მიედინება. ადრე სხვანაირად ვფიქრობდი, მაგრამ ახლა, ვთვლი, რომ თბილისი ყველაზე მაგარი ქალაქია და მის გარდა ვერსად ვიცხოვრებდი.

**- რომელია შენი საოცნებო კლუბი, რომელ ქვეყანაში გსურს თამაში?**

- „ბარსელონა". ქალაქიც ძალიან მიყვარს, ფეხბურთშიც და კალათბურთშიც მთელი ოჯახით ამ გუნდს ვგულშემატკივრობ. „ბარსაში" თამაში ჩემი ოცნებაა.

■ ■ ■

გუშინ **გიორგი ცინცაძემ** ესტონეთის ჩემპიონატში „ვორუსთან" მატჩი მეტად ეფექტურად დაიწყო და ასევე რომ გაეგრძელებინა, არაერთ რეკორდს მოხსნიდა. თუმცა...

მოდით, ჯერ ვთქვათ რა გააკეთა „ბუმ" (გიორგის მეტსახელი) პირველ მეოთხედში. მან მატჩი ორქულიანით გახსნა, შემდეგ სამიანი ჩააგდო (5:0), ამას კიდევ ორი ზუსტი შორეული ტყორცნა მოჰყვა და „ტარტუ როკმა" პირველი პერიოდი 32:10 მოიგო. ცინცაძემ ამ მეოთხედში 4-დან 2 ორქულიანი, 3-დან 3 სამიანი ჩააგდო და 13 ქულას 1 პასი მიამატა. მწვრთნელმა **ინდრიკ ვესპაანუმ** ასეთი სტარტის შემდეგ „ვორუ" დაინდო და სამი წამყვანი კალათბურთელი, ცინცაძე, **პაადე** და **ეზიუკვუ** ალარ დატვირთა. ასე რომ, გიორგის წუთზე მეტი ქულა შერჩა - 13 ქულა 10 წუთში.

„როკმა" გამანადგურებელი ანგარიშით იმარჯვა - 116:43.

ესტონეთის ჩემპიონატში ტარტუელებს 23 მატჩიდან 21 აქვთ მოგებული და სატურნირო ცხრილის სათავეში არიან.

18-წლამდელთა ჩემპიონატი

# ავერსი ჯერაც უძლეველია

| ორბი-ავერსი | 59:86 |
|---|---|

12:17, 17:19, 9:21, 21:29

**ორბი:** მეგრელაძე (1ქ), დიდებულიძე (9ქ, 9მ), ჯავახიშვილი (4ქ), გუგეშაშვილი, ლოლიშვილი (13ქ, 7მ, 3ჩ), გივიაშვილი (2ქ), ანანიაშვილი (3ქ), მეგრელაძე (3ქ), ჟორჟოლიანი (13ქ, 4ჩ), მაჭარაძე, ზაქარიძე (11ქ, 8მ, 2დ)

**ავერსი:** ნადირაძე (3ქ, 6მ), ბაქრაძე, იაკობიძე (10ქ, 7მ), თევზაძე (2ქ), გაბისონია (27ქ, 9მ, 3პ, 5ჩ, 2დ), სამნიაშვილი (3ქ), ფეიქრიშვილი (2ქ, 7მ, 4პ, 4ჩ), თუთიაშვილი (11ქ), კვანტალიანი (16ქ, 8მ), ხეთაგური (12ქ).

| სოხუმი-ზაზა | 66:68 |
|---|---|

11:17, 17:20, 20:17, 18:14

**სოხუმი:** ჩოჩია (8ქ), ლუდუშაური (6ქ, 3პ), გაფრინდაშვილი, დოლიძე, ძიძიგური (13ქ), როგავა (8ქ, 7მ, 3პ, 2დ), გოლეთიანი, ორმოცაძე (5ქ, 7მ, 3პ, 7ჩ), მეგენეიშვილი (11ქ), ბულიავა (15ქ, 17მ, 5ჩ, 2დ).

**ზაზა:** გულმაგარაშვილი (20ქ, 8მ, 6პ, 4ჩ), ეზიაშვილი, გორდულაძე (10ქ, 6პ), კოსტავა, კეჟერაშვილი (2ქ), კენჭიაშვილი (15ქ, 5მ), გელაზონია (10ქ, 14მ), მჭედლიშვილი (4ქ, 6მ, 4ჩ), ქილიფთარი, ბალდავაძე (7ქ).

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ავერსი | 4 | 4 | 0 | 334/233 | 8 |
| 2. ქუთაისი | 4 | 3 | 1 | 309/253 | 7 |
| 3. სოხუმი | 4 | 2 | 2 | 322/264 | 6 |
| 4. ზაზა | 4 | 2 | 2 | 243/277 | 6 |
| 5. ნაკრები-95 | 3 | 2 | 1 | 206/179 | 5 |
| 6. რუსთავი | 3 | 2 | 1 | 225/189 | 5 |
| 7. ორბი | 4 | 1 | 3 | 261/333 | 5 |
| 8. ფოთი | 4 | 0 | 4 | 229/334 | 4 |
| 9. თბილისი | 2 | 0 | 2 | 92/159 | 2 |

საინტერესოდ მიმდინარეობს საქართველოს 18-წლამდელთა ჩემპიონატი. ურთიერთშეხვედრამდე „სოხუმი" „ზაზას" ერთი მოგებით უსწრებდა.

სოხუმელებს მთავარი დამრტყმელი ძალა, ცენტრალური თავდამსხმელი **გეგა მესხი** აკლდათ, რომელიც ავადმყოფობის გამო **ლიკა ქაჯაიას** გუნდს ვერ დაეხმარა. ტანმაღალი მესხის არყოფნით ისარგებლეს **ზურაბ სამხარაძის** „ზაზას" კალათბურთელებმა და სოხუმელთა შეტევის ძირითად იარაღად ფარქვეშეთი შეარჩიეს. „ზაზას" რიგებში **შოთა გელაზონია** გამოირჩეოდა, რომელმაც ანგარიშზე 14 მოხსნა და 10 ქულა ჩაიწერა.

პირველი მეოთხედი „ზაზამ" 17:11 მოიგო, ხოლო დიდი შესვენებისთვის უკვე 11 ქულით ლიდერობდა. მესამე მეოთხედში სოხუმელებმა თამაშში გარდატეხა შეიტანეს, მაგრამ „ზაზას" კალათბურთელებმა დიდი სიმტკიცე გამოიჩინეს და მესამე მეოთხედი ლიკა ქაჯაიას გაწვრთნილმა გუნდმა მხოლოდ 3 ქულით მოიგო.

გადამწყვეტ მეოთხედში სოხუმელებს 8 ქულის გაბათილება მართებდათ, რაც ერთი შეხედვით იოლი მისია ჩანდა, რაკი „ზაზას" ლიდერები პერსონალური ჯარიმების ლიმიტის გამო მოედნიდან ბოლო წუთებში გავარდნენ. ლიკა ქაჯაიას შეგირდებმა შანსი ვერ გამოიყენეს. „ზაზამ" დამსახურებულად მოიგო. გამარჯვებულებს **გელა გულმაგარაშვილმა** ულიდერა, რომელმაც 20 ქულა და 8 მოხსნა მიითვალა. წაგებულთაგან კი **ოთარ ბულიავა** გამოირჩა - 15 ქულა და 17 მოხსნა.

იმავე დღეს 18-წლამდელთა ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი „ავერსი" „ორბს" დაუპირისპირდა და წაუგებელი სერია განაგრძო - 86:59.

„ფარმაცევტებმა" გადამწყვეტი უპირატესობა მესამე პერიოდში მოიპოვეს და მეოთხე რაუნდში მეტოქისთვის თამაშის შემობრუნების უფლება არ მიუციათ.

„ავერსის" წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა **გიორგი გაბისონიამ**, რომელმაც ყველა კომპონენტში იყოჩაღა: 27 ქულა, 9 მოხსნა, 3 პასი, 5 ჩაჭრა, 2 დაფარება.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

თურქეთი

საერთაშორისო ტურნირი

# სლოვენიასთანაც...

8 თებერვალი

| სლოვენია-საქართველო | 89:56 |
|---|---|

14:6, 23:20, 33:12, 19:18

**საქართველო:** ამირხანაშვილი (9ქ, 6მ, 2პ), ლილუაშვილი (10ქ), ჯაყელი (2ქ), ქობალავა (2ქ, 4მ), აბულაძე (8ქ), დარახველიძე (22ქ, 7მ, 2პ, 2დ), პულუზაშვილი (3მ), ღურწკაია (1ქ), ლომთაძე (2ქ).

**საქართველოს** კადეტთა ნაკრები ჩინეთთან და ირანთან წაგებების შემდეგ სლოვენიას დაუპირისპირდა. ჩვენი გუნდისგან მოგებას არავინ ელოდა, ღირსეულად წაგება სანატრელად გაგვხდომია. სლოვენიელებმა 33 ქულის სხვაობით, 89:56 მოგვიგეს და თავად განსაჯეთ, წაგება ღირსეულია თუ არა.

ქართველ კადეტებს ძალიან უჭირთ ფარქვეშ. მათ მოხსნებში ამჯერად 29:52 დათმეს. ეს კარგად გამოიყენეს სლოვენიელებმა, რომლებმაც 28-დან 25 ორქულიანი ჩააგდეს (ასეთი გრაფიკული სურათი მოგვცა თურქულმა საიტმა). ქართველებმა კი - 17. როცა ესა თუ ის გუნდი სამწამიან ზონაში მეტოქეს ვერ უმკლავდება, აქცენტს პერიმეტრიდან ტყორცნებზე აკეთებს ხოლმე. მაგრამ ქართველ 16-წლამდელებს ვერც ამ კომპონენტში გამოუვიდათ რამე - 14-დან ერთი სამიანი გამოიყენეს.

**ბექა დარახველიძეს** რომ არ ეთამაშა, სლოვენიელები გაცილებით დიდი სხვაობით მოიგებდნენ. ბექამ 22 ქულა, 7 მოხსნა და 2-2 პასი-დაფარება მიითვალა. მის გარდა 10-ქულიან ზღვარს **ზეზვა ლილუაშვილი** ასცდა. მან 10 ქულა ჩააგდო.

საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები ჯგუფურ ტურნირს ბულგარეთთან მატჩით დაასრულებს. შეხვედრა დღეს, 9 თებერვალს თბილისის დროით 22 საათზე დაიწყება.






ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთა თასი

# ათი ფრანგი და ოთხი არგენტინელი ესპანეთის ნაკრებში

ერთა თასის გათამაშებაში საქართველოს ნაკრების მომდევნო მეტოქე, ესპანეთის ეროვნული გუნდი მზადებას შეუდგა. „ლომების" ფრანგმა თავკაცმა **რეჟის სონემ** 24 მორაგბეს უხმო. მას პირველ ტურში, შინ რუსეთის ნაკრებთან მარცხის შემდეგ, გუნდის შემადგენლობაში ცვლილებები არ განუხორციელებია. ამდენად უნდა ვივარაუდოთ, რომ სწორედ ეს ოცდაოთხეულია ესპანელთა ძირითადი ბირთვი და მინიმუმ უახლოეს ორ წელინადს მათთან მოგვიწევს ჭიდილი.

წლეულს ესპანეთის ნაკრები საგრძნობლად სახეცვლილი გუნდია. ფრანგმა მწვრთნელმა გასაძლიერებლად ათ ფრანგ, ოთხ არგენტინელ, თითო-თითო იტალიელ, ინგლისელ და ქართველ მორაგბეებს უხმო. რამდენად წაადგება ასეთი პოლიტიკა ესპანური რაგბის განვითარებას, ძნელი სათქმელია. იბერიელები ამ ნაბიჯის გადადგმისგან თავს დიდხანს იკავებდნენ. როგორც ჩანს, სხვა გამოსავალი ვერაფერი ნახეს და იტალიის მაგალითს მიჰბაძეს.

„გაძლიერებულმა" ესპანელთა ნაკრებმა პირველი მატჩი, როგორც უკვე ვთქვით, რუსეთის ნაკრებთან წააგო. მეორე ტაიმის დასაწყისისთვის ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები 22:3-ს იგებდნენ. მასპინძლებმა ხელი მხოლოდ ამის შემდეგღა გამოიღეს, მათ სამი ლელო გაიტანეს, თუმცა მატჩის გადარჩენა ვეღარ შეძლეს - 24:28.



ესპანეთის ნაკრები

საქართველოს ნაკრები ესპანელ ლომებს ასევე საგრძნობლად სახეცვლილი დაუხვდება. პირინეელებთან არ ითამაშებენ შერკინების პირველი ხაზის ძირითადი მოთამაშეები, **დავით ზირაქაშვილი** (კლერმონი), **აქვსენტი გიორგაძე** (კასტრი) და **დავით ხინჩაგიშვილი** (ბრივი). მათ ადგილს შედარებით ახალგაზრდა, მაგრამ უკვე საკმაოდ გამოცდილი მოთამაშეები დაიკავებენ, **ვასილ კაკოვინი** (ბრივი), **ანტონ ფეიქრიშვილი** (კასტრი) და **ბექა შეყლაშვილი** (აჟენი) საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში რეგულარულად თამაშობენ.

დანაკლისია ტრავმირებული **ბესო უდესიანი**. მის ნაცვლად **რიჩი დიქსონმა** რუმინული „ფარულის" მესამეხაზელი **ლაშა თავართქილაძე** იხმო. ნაკრებს დაემატა ასევე მეორეხაზელი **ილია ზედგინიძეც**.

შეგახსენებთ, რომ შარშან საქართველოს ნაკრებმა ესპანეთის ეროვნული გუნდი თბილისში 17:9 დაამარცხა. 2009 წელს კი მადრიდში, ურთიერთშეხვედრებში სარეკორდო ანგარიშით 55:11 მოუგო.

**საქართველოს ნაკრები**

პირველი ხაზი: ანტონ ფეიქრიშვილი (კასტრი), ვასილ კაკოვინი (ბრივი), ბექა შეყლაშვილი (აჟენი), ირაკლი ნატრიაშვილი (სტიაუა), ჯაბა ბრეგვაძე (ვისოლი/ყოჩები).

მეორე ხაზი: ლევან დათუნაშვილი (ფიჟაკი), შალვა სუთიაშვილი (მასი), ვახტანგ მაისურაძე (სენ ნაზერი), ილია ზედგინიძე (სენ რაფაელი)

მესამე ხაზი: გია ლაბაძე (ლა სეინი), გიორგი ჩხაიძე (მონპელიე), ლაშა თავართქილაძე (ფარული), ზვიად მაისურაძე (ლოკომოტივი).

№9: ბიძინა სამხარაძე (სტიაუა), ირაკლი აბუსერიძე (ოსერი).

№10: ლაშა მალაღურაძე (ბეზიე), მერაბ კვირიკაშვილი (ფიჟაკი)

№12-13: დავით კაჭარავა (ნიცა), თედო ზიბზიბაძე (პერიგო), ირაკლი გიორგაძე (ლავორი).

№11-14: ლექსო გუგავა (ლელო), ირაკლი მაჩხანელი (მაკონი), ბექა ურჯუკაშვილი (ფიჟაკი), ირაკლი ჩხიკვაძე (აია)

№15: ბესიკ ხამაშურიძე (აია).

**ესპანეთის ნაკრები**

მარტინ ერედია (კოსტა დელ სოლ), იგნასიო გუტიერესი, დიეგო ალვარესი (ენტრეპინარესი), სანტიაგო ფერნანდესი (ალკობენდასი), მარტინ ასენა, მეთიუ კუკი, როდრიგო მარტინესი (სამივე -ლა ვილა), მატიას ტუდელა (ორდისია), ფდერიკო ნეგრილო (ბისკაია), უნაი ლასა (ბერა ბერა), გაუტიერ გიბუინი (ბორდო), სერხიო სევილია (კლერმონი), ხესუს რეკუერდა, ხუან კანო (ორივე -ლილი), სივაინ ანტეკუერა, დავით გურგენაძე (ორივე-ორტეზი), ადრიენ აისტარანი, ანდონი ხორახურია (ორივე-ბიარიცი), მარტინ აუსკუი (დაქსი), ბენატ აუსკუი (ტიროსი), მატიო ამორო (ბეზიე), მატიო როსა (ორიაკი), ხესუს მორენო (ლიდსი), პიერ ბელსუნი (კოლომიე).

**ერთა თასი**

**II ტური. 12 თებერვალი**

საქართველო-ესპანეთი, რუსეთი-პორტუგალია, უკრაინა-რუმინეთი

**III ტური. 26 თებერვალი**

პორტუგალია-საქართველო, რუმინეთი-რუსეთი, ესპანეთი-უკრაინა

**IV ტური. 12 მარტი**

საქართველო-რუმინეთი, ესპანეთი-პორტუგალია, უკრაინა-რუსეთი

**V ტური. 19 მარტი**

რუსეთი-საქართველო, რუმინეთი-ესპანეთი, პორტუგალია-უკრაინა.

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 1 | 1 | 0 | 0 | +59 | 5 |
| 2. პორტუგალია | 1 | 1 | 0 | 0 | +7 | 4 |
| 3. რუსეთი | 1 | 1 | 0 | 0 | +4 | 4 |
| 4. ესპანეთი | 1 | 0 | 0 | 1 | -4 | 1 |
| 5. რუმინეთი | 1 | 0 | 0 | 1 | -7 | 1 |
| 6. უკრაინა | 1 | 0 | 0 | 1 | -59 | 0 |

ექვსი ერი



დამიენ ტრაი

# მარკ ლივერმონს ტრაის იმედი აქვს

საფრანგეთის ნაკრები ექვსი ერის გათამაშების მეორე ტურში სტუმრად, დუბლინში ითამაშებს ირლანდიის ეროვნულ გუნდთან. „ლე ბლეს" თავკაცმა **მარკ ლივერმონმა** რამდენიმე იძულებითი ცვლილება განახორციელა.

შოტლანდიასთან მატჩში მხარი დაიშავა და სეზონს ბოლომდე ველარ ითამაშებს შუამარბი **მაქსიმ მერმოსი.** მის პოზიციაზე ლივერმონმა გადაწყვიტა **დამიენ ტრაი** ათამაშოს, რომელიც „სკოტებთან" ფულბეკად გაისარჯა. აღსანიშნავია, რომ ტრაის ბოლო სამ მატჩში სამ სხვადასხვა პოზიციაზე მოუწევს თამაში. ნოემბერში ტრაი „ვოლაბებთან" მატჩში მგეზავი იყო, „ნარშავებთან", როგორც უკვე ვთქვით, ფულბეკი, ახლა კი შუამარბობაც მოუწევს.

ფულბეკად ლივერმონმა **კლემან პუატრენო** დააყენა, რომელიც წინა მატჩში სათადარიგოთა სკამზე იჯდა. ასევე თადარიგში მყოფი **ლუკ დუკალკონის** ნაცვლად ვეტერანი **სილვენ მარკონე** ითამაშებს.

*„გუნდის თამაშს სტაბილურობა დაეტყო. ვფიქრობ, დამიენ ტრაი კარგადაა ფიზიკურად მომზადებული. მან შესანიშნავად გაართვა თავი ფულბეკის მოვალეობას და შეუძლია, იმავე წარმატებით სხვა პოზიციებზეც ითამაშოს"* - თქვა მარკ ლივერმონმა.

საფრანგეთი: **15. კლემან პუატრენო, 14. იოან უგე, 13. ორელიან რუჟერი, 12. დამიენ ტრაი, 11. მაქსიმ მედარი, 10. ფრანსია ტრინდუკი, 9. მორგან პარა. 1. ტომა დომინგო, 2. ვილიამ სერვა, 3. ნიკოლა მასი, 4. ჟულიენ პიერი, 5. ლიონელ ნალე, 6. ტიერი დუსოტუარი, 7. ჟულიენ ბონერი, 8. იმანოლ არინორდოკი.**

**16. გულემ გირადო, 17. სილვენ მარკონე, 18. ჟერომ ტიონი, 19. სებასტიან შაბალი, 20. დიმიტრი იაშვილი, 21. იანიკ ჟოზიონი, 22. ვენსან კლერი.**

# უელსელებს ჰუკი ნარუჭდევებათ

უელსის ნაკრებს სტუმრად, „მერიფილდზე" მძიმე მატჩი ელის შოტლანდიის ეროვნულ გუნდთან. ინგლისთან საკუთარ მოედანზე წაგებულ შეხვედრაში დაშავდა მგეზავი **სტივენ ჯოუნზი,** რომელსაც **უორენ გეთლენდის** გადაწყვეტილებით **ჯეიმზ ჰუკი** შეცვლის.

ალსანიშნავია, რომ ჰუკს ამ პოზიციაზე 2009 წლის ექვსი ერის გათამაშების შემდეგ ალარ უთამაშია. „პომებთან" ის ფულბეკად გაისარჯა.

*„ცხადია, ამით გარკვეულ რისკზე მივდივართ. ჯეიმზს დიდი ხანია მგეზავად არ უთამაშია. თუმცა, მას შესანიშნავი შანსი აქვს დაამტკიცოს, რომ ძალიან ნიჭიერი მორაგბეა. ვფიქრობ, ის დაკისრებულ მოვალეობას ბრწყინვალედ შეასრულებს"* - იმედოვნებს უორენ გეთლენდი.

ფულბეკის პოზიციიდან ნარშავებს **ლი ბირნი** შეუტევს, ყოფილი კაპიტანი **რაიან ჯოუნზი** კი ტრავმირებული მესამეხაზელის, **ენდი პაუელის** ადგილს დაიკავებს.

ალსანიშნავია, რომ უელსელებმა ბოლო 20 წლის განმავლობაში „მერიფილდზე" მხოლოდ სამჯერ მოიგეს.

უელსი: **15. ლი ბირნი, 14. მორგან სტოდარტი, 13. ჯიმი რობერტსი, 12. ჯონათან დევისი, 11. შეინ ვილიამსი, 10. ჯეიმზ ჰუკი. 1. პაულ ჯეიმზი, 2. მეთიუ რისი, 3. კრეიგ მიტჩელი, 4. ბრედლი დევისი, 5. ალუნ ვინ ჯოუნზი, 6. დენ ლიდიატი, 7. სემ ვერბარტონი, 8. რაიან ჯოუნზი.**

**16. რიჩარდ ჰიბარი, 17. ჯონ იაპი, 18. ჯონათან თომასი, 19. ჯოშ ტურნბული, 20. ტევის კნოლი, 21. სტივენ ჯოუნზი, 22. რის პრისტლენდი.**

ლეგიონერები

# კავთიძე და კომპანია ელიტისკენ მიიწევენ

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, მეორე დივიზიონში მე-20 ტურის შეხვედრები გაიმართა. გათამაშების ლიდერმა, **გურამ კავთიძის** „ლიონმა" შინ მორიგი გამარჯვება მოიპოვა „ბორდოსთან" - 21:13 და უახლოეს მდევარ „ალბის" უკვე ექვსი ქულით უსწრებს. კავთიძე სათადარიგოთა შორის იყო და თამაშში მე-60 წუთიდან ჩაერთო.

„ალბი" კი, რომელიც დიდხანს ლიდერობდა, შინ მოულოდნელად დამარცხდა „პოსთან" - 26:29. „ლიონისთვის" ექვსქულიანი უპირატესობა საკმაოდ სერიოზული ჰანდიკაპია. მიუხედავად იმისა, რომ რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ათი ტური დარჩა და ყველაფერი შეიძლება მოხდეს, ვფიქრობთ, ჩვენებურის გუნდი ასეთ შანსს ხელიდან არ გაუშვებს. შეგახსენებთ, რომ პირველ ადგილზე გასული გუნდი ავტომატურად მიიღებს პირველი დივიზიონის საგზურს.

**მამუკა მაგრაქველიძისა** და **ირაკლი მირცხულავას** „ტარბმა", რომელიც პლეი ოფში მოხვედრის შანსს ჯერ კიდევ ინარჩუნებს, სტუმრად წააგო „ოშთან" - 12:15. მაგრაქველიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 54-ე წუთზე შეცვალეს, მირცხულავა განაცხადში არ იყო.

**II დივიზიონი**

**XX ტური**

**მონ დე მარსანი-ნარბონი 34:6, სენტ ეტიენი-კოლომიე 18:24, ალბი-პო 26:29, ორიაკი-კარკასონი 41:21, ოინაქსი-დაქსი 18:12, გრენობლი-ექსი 67:18, ოში-ტრაბი 15:12, ლიონი-ბორდო 21:13.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ლიონი - 71 ქულა, 2. ალბი - 65, 3. გრენობლი - 61, 4. ბორდო - 55, 5. მონ დე მარსანი - 51, 6. ოში -50, 7. ოიონაქსი - 48, 8. კარკასონი - 48, 9. პო - 47, 10. ტარბი - 46, 11. ორიაკი - 46, 12. ნარბონი - 42, 13. კოლომიე - 36, 14. დაქსი - 33, 15. ექსი - 32, 16. სენტ ეტიენი - 13.**

ესპუართა ლიგაში სატურნირო ცხრილის პირველი ორი საფეხური ისევ ქართველ მორაგბეთა გუნდებს უკავიათ. **ლევან ჩილაჩავასა** და **კონსტანტინე მიქაუტაძის** „ტულონის" საშინაო მატჩი **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიესთან" დიდთოვლობის გამო გადაიდო.

ტულონელებს 38 ქულა აქვთ და პირველ ადგილზე არიან. ისინი ექვსი ქულით უსწრებენ **ვიქტორ კოლელიშვილისა** და **გიორგი ჯიმშელაძის** „კლერმონს", რომელმაც სტუმრად წააგო **გიორგი მენაბდიშვილის** „გრენობლთან" - 31:23. კოლელიშვილი და მენაბდიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყვნენ.

**ესპუართა ლიგა**

**XII ტური**

**აჟენი-ბაიონი 26:12, გრენობლი-კლერმონი 31:23, ტულუზი-პერპინიანი 19:17, ბურგუენი-პო 20:16, ტულონი-მონპელიე (გადაიდო).**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ტულონი - 38 ქულა, 2. კლერმონი - 32, 3. აჟენი - 28, 4. პერპინიანი - 27, 5. ტულუზი - 27, 6. გრენობლი - 27, 7. ბურგუენი - 25, 8. პო - 25, 9. ბაიონი - 23, 10. მონპელიე - 20.**

ზე რაგბი

# მაკქოუ ექვსი კვირა დაისვენებს

ახალი ზელანდიის ნაკრების კაპიტანმა **რიჩი მაკქოუმ** სერიოზული ტრავმა მიილო და ზე რაგბის გათამაშებაში ექვსი კვირის განმავლობაში ვერ იასპარეზებს.

მაკქოუ ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზთან" ერთად ვარჯიშისას დაშავდა. მას ფეხზე ოპერაცია უნდა გაუკეთონ. როგორც ექიმები ამბობენ, საჭირო გახდება ძვალზე ხრახნისის მიმაგრება.

*„ტრავმა, ცხადია, ძალიან მძიმეა, მაგრამ არ მგონია, დიდხანს შემაწუხოს. ოპერაციის შემდეგ რეაბილიტაციას გავივლი და, ვფიქრობ, „კრუსეიდრზს" მალე დავუბრუნდები"*, - თქვა მაკქოუმ.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური სპორტი

## სამთო-სათხილამურო სპორტი

### მსოფლიოს ჩემპიონატი



ახალი ჩემპიონი

# არც ვონი, არც რიში, პირველი ოქრო ავსტრიისაა

გერმანიის სახელგანთქმულ კურორტ გარმიშ-პარტენკირხენში გუშინ მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყო. მედლების პირველი კომპლექტი ქალებმა სუპერგიგანტში გაითამაშეს. მაყურებლების გასახარად, ტრავმირებულმა **ლინდსი ვონმა** მოახერხა ტრასაზე გასვლა, ასე რომ, ყველანი ამერიკელისა და გერმანელი **მარია რიშის** დუელის მოლოდინში იყვნენ.

ვონი დღეს დაუმარცხებელია ჩქაროსნულ დისციპლინებში, თანაც სუპერგიგანტში მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონიც იყო, ამიტომაც მთავარ ფავორიტად ის მიიჩნეოდა. თუმცა ამერიკელმა სტარტის წინ ტრასა გააკრიტიკა: ძალიან ბევრი ყინულია და ეს ქალებისთვის სახიფათოაო.

უძლიერესთა ჯგუფში ვონმა ბოლო 22-ე ნომერი მიილო. პირველივე მეტრებიდან ჩანდა, რომ ამერიკელმა ტემპი ვერ აკრიფა. გარმიშის ტრასაზე ბევრი ვირაჟი და პრაქტიკულად არც ერთი სწორი მონაკვეთი არ იყო, ეს კი ლინდსის ხელს არ აძლევდა. საბოლოოდ, ფავორიტმა მხოლოდ მეშვიდე ადგილი დაიკავა და ტიტული დათმო.

უძლიერესთა ჯგუფს ავსტრიელი **ელიზაბეტ გიორგლი** ხსნიდა. ამ მოთხილამურისთვის სუპერგიგანტი მისი ერთ-ერთი საყვარელი სახეობაა და წელს მოგებული სამი ეტაპიდან ერთი სწორედ ამ დისციპლინაზე მოდის.

ვონისგან განსხვავებით, გიორგლისთვის გუშინდელი ტრასა იდეალური აღმოჩნდა. ავსტრიელი თითქმის უშეცდომოდ გადიოდა ვირაჟებს და ფინიშის შემდეგ ცხადი გახდა, რომ მის მიერ ნაჩვენები დრო, შესაძლოა, რიშისა და ვონის დასამარცხებლად საკმარისი ყოფილიყო.

რიში გიორგლის შემდეგ დაეშვა. ადგილობრივი ფავორიტი კარგად მოქმედებდა, შეცდომებს არ უშვებდა, მაგრამ ლიდერის ტემპს მაინც ვერ მიუახლოვდა. მსოფლიოს თასის ლიდერი მხოლოდ ბრინჯაოს მედალს დასჯერდა, რითაც გერმანელები უკმაყოფილონი არ უნდა იყვნენ, რადგან სუპერგიგანტი არ არის რიშის სპეციალიზაცია. თანაც მარიამ პირველი ნაბიჯი გადადგა ჩემპიონატის წინ დასახული ამოცანის შესრულებისკენ - გერმანელმა ყველა დისციპლინაში მედლის მოგება დაგეგმა.

ვერცხლის მედალი ამერიკელ **ჯულია მანკუზოს** ერგო, რომელმაც ძალიან ბევრი დაკარგა ვირაჟებზე, მაგრამ ფინალურ მონაკვეთზე ბრწყინვალე სრიალისა და მაღალი სისწრაფის ხარჯზე კინაღამ გიორგლი დაამარცხა - ახალ ჩემპიონთან ჩამორჩენამ მხოლოდ 5 მეასედი წამი შეადგინა!

ლინდსი ვონის გარდა, კიდევ ერთი მთავარი დამარცხებული გახდა შვეიცარიელი **ლარა გუტი**, რომელიც მეოთხე მივიდა ფინიშთან, არადა, ერთ-ერთ ფავორიტად განიხილებოდა. ავსტრიელ **ანა ფენინგერს** შეეძლო პოდიუმზე ასვლა, მაგრამ დისტანციის ბოლო ნაწილში უხეშად შეცდა. ტიტულოვანი შვედი **ანია პერსონი** მეათე ადგილს დასჯერდა.

დღეს გარმიშ-პარტენკირხენში კაცების სუპერგიგანტია.

| შედეგები | |
|---|---|
| 1. ელიზაბეტ გიორგლი (ავსტრია) | 1:23.82 |
| 2. ჯულია მანკუზო (აშშ) | +0.05 |
| 3. მარია რიში (გერ) | +0.21 |
| 4. ლარა გუტი (შვეიც) | +0.448 |
| 5. ანა ფენინგერი (ავსტრია) | +0.82 |
| 6. ელენა კურტონი (იტა) | +0.83 |
| 7. ლინდსი ვონი (აშშ) | +0.84 |

**დარჩენილი სტარტები**

| | |
|---|---|
| 9 თებერვალი | სუპერგიგანტი (კაც) |
| 11 თებერვალი | სუპერკომბინაცია (ქალ) |
| 12 თებერვალი | სწრაფდაშვება (კაც) |
| 13 თებერვალი | სწრაფდაშვება (ქალ) |
| 14 თებერვალი | სუპერკომბინაცია (კაც) |
| 16 თებერვალი | გუნდური |
| 17 თებერვალი | გიგ. სლალომი (ქალ) |
| 18 თებერვალი | გიგ. სლალომი (კაც) |
| 19 თებერვალი | სლალომი (ქალ) |
| 20 თებერვალი | სლალომი (კაც) |

## კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# სიურპრიზი მგლებისგან

რეგულარულ ჩემპიონატში არასტაბილურ თამაშს აგრძელებს „ნიუ ორლეანი". „ჰორნეტსი" იქამდეც კი მივიდა, რომ შინ ძალიან იოლად დათმო შეხვედრა აუტსაიდერ „მინესოტასთან". პირველ მეოთხედში თანაბარი თამაშის შემდეგ მასპინძლები მეორე მეოთხედში ჩავარდნენ. „მგლების" გაქცევის მთავარი ფაქტორი **კევინ ლავის** ბრწყინვალე თამაში იყო, თუმცა ლიგის საუკეთესო მომხსნელის პარტნიორებიც არანაკლებ კარგად გამოიყურებოდნენ.

„ჰორნეტს" შეეძლო დიდი შესვენების შემდეგ კონტრდარტყმის განხორციელება. თამაშის რიტმი დაიჭირა **კრის პოლმა** და თითქოს ვარსკვლავ გამთამაშებელს უნდა აეყოლიებინა პარტნიორები, მაგრამ პოლმა მხოლოდ **დევიდ უესტისგან** მიიღო დახმარება. საერთო ჯამში, „მინესოტამ" დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა, რომელიც **მაიკლ ბიზლის** ტრავმით გაუფერულდა. „ვულვზის" წამყვანი ფორვარდის ტრავმის სიმძიმეს სამედიცინო შემოწმება გაარკვევს.

ფორმაში შედის „ლეიკერსი". მოქმედი ჩემპიონი კლასის ხარჯზე გაუსწორდა „მემფისს". თავიდან უფრო დამაჯერებლად ტენესელი მასპინძლები გამოიყურებოდნენ, დიდი შესვენების წინ კი ინიციატივა კალიფორნიელებმა მოიპოვეს. **ფილ ჯექსონის** გუნდის წევრებს გმირობაზე თავი არ გამოუდიათ - მათ უბრალოდ გუნდური კალათბურთი ითამაშეს და იქ გამოავლინეს თავიანთი შესაძლებლობები.

„ლეიკერსმა" მოაგვარა მთავარი ამოცანა - გაანეიტრალა **გეისა** და **რენდოლფის** დუეტი. ბოლო დროს ოპტიმალური ფორმა დაიბრუნა **პაუ გასოლმა** და მან **ლამარ ოდომის** დახმარებით გასაქანი არ მისცა რენდოლფს, რომელმაც 14 სროლიდან მხოლოდ 2 ბურთი ჩააგდო.

„კლივლენდს" სარეკორდო წაგებათა სერიის შეწყვეტის კარგი შანსი ჰქონდა. ამჯერად უნდა შევაქოთ **ბაირონ სკოტის** გუნდი, რადგან დიდი წინააღმდეგობა გაუწია ზედიზედ რვა მატჩის მომგებ „დალას მავერიქსს". სხვათა შორის, „კოვბოების" რიგებში დებიუტი ჰქონდა **პეჟა სტოიაკოვიჩს**. 20 წუთში სერბმა სნაიპერმა 8 ქულა და 5 მოხსნა დააგროვა. თავად თამაში დიდხანს ტექსასელთა კარნახით მიდიოდა და მასპინძლები სახიფათო მანძილამდე არ უშვებდნენ მეტოქეს.

მატჩის სურათი დიდი შესვენების შემდეგ შეიცვალა. **ბაირონ სკოტის** შეგირდებმა თამაში იპოვეს და **ჰიქსონის**, **ჯეიმისონისა** და **სეშენსის** ტრიომ შეხვედრას ინტრიგა დაუბრუნა. ბოლო წუთზე „დალასის" უპირატესობა მხოლოდ 3 ქულა იყო. უკანასკნელი შეტევა სტუმრებს ეკუთვნოდათ, მაგრამ **ენტონი პარკერის** სამქულიანი არაზუსტი აღმოჩნდა.

ბოლო დროს სუსტად თამაშობს „დენვერი". „ჰიუსტონთან" გუშინდელი წაგების შემდეგ **ჯორჯ კარლის** გუნდს ბოლო ექვს მატჩში ოთხი მარცხი დაუგროვდა. „რაკეტებთან" შეხვედრაში „ნაგეტსს" თავიდანვე შეექმნა პრობლემა, როცა ტრავმის გამო თამაშს გამოეთიშა ძირითადი გამთამაშებელი **ჩონსი ბილაპსი**. მის არყოფნაში მთლიანად თავის თავზე აიღო თამაში **კარმელო ენტონიმ**, 50 ქულაც დააგროვა, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა ფაქტობრივად მესამე მეოთხედში წაგებული მატჩის გადასარჩენად.

პლეი ოფის საგზურისთვის წარმატებულ ბრძოლას აგრძელებს „შარლოტი". თავისი სერიოზული მიზნები მან „ბოსტონთან" მატჩში დაადასტურა. მასპინძლებმა ფავორიტს კომფორტული უპირატესობით წინ გასვლის საშუალება არ მისცეს. ამას კაროლინელები აგრესიული სტილით ახერხებდნენ - საქმე რამდენიმე ტექნიკურ ჯარიმამდე და **სტივენ ჯექსონის** გაძევებამდე მივიდა. თუმცა „შარლოტმა" ერთ-ერთი ლიდერის დაკარგვა არ შეიმჩნია. სათადარიგოთა სკამიდან ბრწყინვალედ შევიდა თამაშში **ჯერალდ ჰენდერსონი** - 22 წუთში 10-დან 7 ტყორცნა გამოიყენა და საბოლოოდ 18 ქულა დააგროვა. „ბობკეტსმა" მეტოქეს გადამწყვეტი დარტყმა მეოთხე მეოთხედში მიაყენა - თამაშის ეს მონაკვეთი 9 ქულით მოიგო და ოთხქულიანი ჩამორჩენა ხუთქულიან უპირატესობად აქცია.

### კვირის მოთამაშეები

„მაიამი ჰიტისა" და „ოკლაჰომა სიტის" ფორვარდები **ლებრონ ჯეიმსი** და **კევინ დურანტი** გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად დაასახელეს.

აღმოსავლეთი კონფერენციის ლაურეატმა ჯეიმსმა გასულ კვირას თავის გუნდს სამიდან სამი მატჩი მოაგებინა. ლებრონი საშუალოდ 26.5 ქულას, 7.3 პასს, 7.3 მოხსნასა და 1.3 ჩაჭრას აგროვებდა. 3 თებერვალს „ორლანდოს" წინააღმდეგ „მეფემ" წლევანდელი სეზონის რეკორდი დაამყარა - 51 ქულა ჩააგდო. ამავე მატჩში მან ერთ მეოთხედში 23 ქულით საკლუბო რეკორდი მოხსნა, თამაშიდან ზედიზედ ჩაგდებული 11 სროლით - პირადი რეკორდი. ჯეიმსი წელს მეოთხედ დასახელდა კვირის საუკეთესო მოთამაშედ.

დასავლეთში საუკეთესო დურანტი გასული კვირის ბომბარდირი გახდა საშუალო 29.3 ქულით. 2 თებერვალს „ოკლაჰომას" ლიდერმა 43 ქულა დააგროვა „ნიუ ორლეანის" წინააღმდეგ. ეს წელს მეხუთე მატჩია, როცა კევინმა 40-ქულიან ზღვარს გადააბიჯა. ამ მაჩვენებლით ის სეზონის ლიდერია. დურანტი ზედიზედ ოთხ მატჩში ორმაგ დუბლს ასრულებს.

**ჯეიმსის კვირა**

**31 იანვარი. მაიამი-კლივლენდი 117:90.** 24 ქულა, 8 პასი, 4 მოხსნა.

**3 თებერვალი. ორლანდო-მაიამი 100:104.** 51 ქულა, 11 მოხსნა, 8 პასი.

**4 თებერვალი. შარლოტი-მაიამი 97:109.** 19 ქულა, 8 მოხსნა, 9 პასი.

**დურანტის კვირა**

**2 თებერვალი. ოკლაჰომა-ნიუ ორლეანი 104:93.** 43 ქულა, 10 მოხსნა, 5 პასი.

**4 თებერვალი. ფინიქსი-ოკლაჰომა 107:111.** 24 ქულა, 11 მოხსნა, 3 დაფარება.

**5 თებერვალი. იუტა-ოკლაჰომა 105:121.** 21 ქულა, 12 მოხსნა, 4 პასი.

კვირის მოთამაშის სტატუსზე შემდეგი კალათბურთელები აცხადებდნენ პრეტენზიას: **ჯო ჯონსონი** („ატლანტა"), **სტივენ ჯექსონი** („შარლოტი"), **ტაისონ ჩენდლერი** („დალასი"), **დირკ ნოვიცკი** („დალასი"), **დენი გრეინჯერი** („ინდიანა"), **დუეინ უეიდი** („მაიამი"), **ელტონ ბრენდი** („ფილადელფია"), **ელ რიჩარდსონი** („იუტა").

**შარლოტი-ბოსტონი 94:89**

25:29, 26:21, 14:19, 29:20

**შ:** უოლასი (19+16 მოხსნა), ლივინგსტონი (18), ჰენდერსონი (15), ჯექსონი (11), ბრაუნი (4+12 მოხსნა).

**ბ:** ალენი (25), პირსი (22+6 მოხსნა), რონდო (10+14 პასი).

**ნიუ ორლეანი-მინესოტა 92:104**

23:23, 23:37, 24:22, 22:22

**ნ-ო:** უესტი (18+6 მოხსნა), პოლი (17+13 პასი+6 მოხსნა), ბელინელი (15), გრინი (11).

**მ:** ლავი (27+17 მოხსნა), ბიზლი (14+5 მოხსნა), ფლინი (13+6 პასი), ტოლივერი (12+7 მოხსნა), პეკოვიჩი (12), ელინგტონი (11).

**მემფისი-ლეიკერსი 84:93**

29:26, 16:24, 23:23, 16:20

**მ:** იანგი (22), გეი (18+8 მოხსნა), კონლი (13), მ. გასოლი (10+12 მოხსნა), რენდოლფი (8+12 მოხსნა).

**ლ:** ბრაიანტი (19+7 მოხსნა+6 პასი), პ. გასოლი (17+9 მოხსნა), ოდომი (15+11 მოხსნა), არტესტი (13), ბინუმი (11+7 მოხსნა), ფიშერი (10).

**დალასი-კლივლენდი 99:96**

29:28, 30:21, 18:24, 22:23

**დ:** ტერი (23+5 პასი), მერიონი (17+10 მოხსნა), ნოვიცკი (12+6 მოხსნა), მაინმი (11+8 მოხსნა), ჩენდლერი (10+11 მოხსნა).

**კ:** ჰიქსონი (26+12 მოხსნა), სეშენსი (19+13 პასი+6 მოხსნა), ჯეიმისონი (18+11 მოხსნა), ეიენგა (15).

**დენვერი-ჰიუსტონი 103:108**

26:25, 24:27, 16:29, 37:27

**დ:** ენტონი (50+11 მოხსნა), ლოუსონი (19+6 მოხსნა+5 პასი), ჰარინგტონი (10+7 მოხსნა).

**ჰ:** მარტინი (37+7 პასი), სკოლა (25+8 მოხსნა), ჰეისი (12+10 მოხსნა), ლოური (11+5 პასი), ბადინგერი (11).



კარმელოს 50 ქულა საკმარისი არ იყო

**პორტლენდი-ჩიკაგო 109:103**

28:26, 22:24, 25:22, 34:31

**პ:** ოლდრიჯი (42+8 მოხსნა), მილერი (27+11 პასი+6 მოხსნა), ფერნანდესი (18), ბატუმი (12+5 მოხსნა).

**ჩ:** როუზი (36+6 პასი), ბუზერი (17+12 მოხსნა), დენგი (15), კორვერი (14+6 მოხსნა).

**საკრამენტო-იუტა 104:107**

30:30, 26:25, 31:25, 17:27

**ს:** კაზინსი (25+14 მოხსნა), ევანსი (21), ტომპსონი (14), უდრიხი (11), კასპი (10+7 მოხსნა).

**ი:** ჯეფერსონი (23), უილიამსი (21+9 პასი+6 მოხსნა), მილსეპი (18+6 მოხსნა), ბელი (17), ფესენკო (11+7 მოხსნა), კირილენკო (10+8 მოხსნა).

**გ. სტეიტი-ფინიქსი 92:104**

17:33, 28:29, 30:27, 17:15

**გ-ს:** ელისი (21+12 მოხსნა+5 პასი), უილიამსი (19+5 მოხსნა), ლი (16+10 მოხსნა), კარი (15+8 პასი).

**ფ:** ფრაი (19+11 მოხსნა), ჰილი (18), ნეში (14+15 პასი), დადლი (12+5 მოხსნა), პიეტრუსი (12), კარტერი (10+5 მოხსნა).

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ბოსტონი* | 51 | 38 | 13 | 74.5 |
| 2. მაიამი* | 51 | 37 | 14 | 72.5 |
| 3. ჩიკაგო* | 50 | 34 | 16 | 68.0 |
| 4. ატლანტა | 51 | 33 | 18 | 64.7 |
| 5. ორლანდო | 52 | 32 | 20 | 61.5 |
| 6. ნიუ იორკი | 50 | 26 | 24 | 52.0 |
| 7. ფილადელფია | 50 | 23 | 27 | 46.0 |
| 8. ინდიანა | 48 | 21 | 27 | 43.8 |
| 9. შარლოტი | 51 | 22 | 29 | 43.1 |
| 10. მილუოკი | 49 | 19 | 30 | 38.8 |
| 11. დეტროიტი | 51 | 19 | 32 | 37.3 |
| 12. ნიუ ჯერსი | 52 | 15 | 37 | 28.8 |
| 13. ტორონტო | 51 | 14 | 37 | 27.5 |
| 14. ვაშინგტონი | 50 | 13 | 37 | 26.0 |
| 15. კლივლენდი | 52 | 8 | 44 | 15.4 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. სან ანტონიო* | 50 | 42 | 8 | 84.0 |
| 2. დალასი | 51 | 36 | 15 | 70.6 |
| 3. ლეიკერსი* | 52 | 36 | 16 | 69.2 |
| 4. ოკლაჰომა* | 50 | 33 | 17 | 66.0 |
| 5. ნიუ ორლეანი | 53 | 32 | 21 | 60.4 |
| 6. იუტა | 53 | 31 | 22 | 58.5 |
| 7. დენვერი | 52 | 30 | 22 | 57.7 |
| 8. პორტლენდი | 52 | 28 | 24 | 53.8 |
| 9. მემფისი | 53 | 27 | 26 | 50.9 |
| 10. ფინიქსი | 49 | 24 | 25 | 49.0 |
| 11. ჰიუსტონი | 53 | 25 | 28 | 47.2 |
| 12. გ. სტეიტი | 50 | 22 | 28 | 44.0 |
| 13. კლიპერსი | 50 | 19 | 31 | 38.0 |
| 14. საკრამენტო | 48 | 12 | 36 | 25.0 |
| 15. მინესოტა | 51 | 12 | 39 | 23.5 |

**ქულა**

| | |
|---|---|
| კევინ დურანტი (ოკლ) | 29.0 |
| ამარე სტაუდმაიერი (ფინ) | 26.3 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივ) | 26.1 |
| დუეინ უეიდი (მაი) | 25.4 |
| კობი ბრაიანტი (ლეი) | 25.4 |
| მონტა ელისი (გ-სტ) | 25.2 |
| კარმელო ენტონი (დენ) | 24.6 |
| დერიკ როუზი (ჩიკ) | 24.6 |
| ერიკ გორდონი (კლიპ) | 24.1 |
| კევინ მარტინი (ჰიუ) | 23.6 |

**მოხსნა**

| | |
|---|---|
| კევინ ლავი (მინ) | 15.6 |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 13.7 |
| ზაკ რენდოლფი (მემ) | 13.2 |
| ბლეიკ გრიფინი (კლიპ) | 12.8 |
| პაუ გასოლი (ლეი) | 10.5 |
| ემეკა ოკაფორი (ნ-ორლ) | 10.1 |
| ელ ჰორფორდი (ატლ) | 9.9 |
| ტაისონ ჩენდლერი (დალ) | 9.6 |
| ლამარ ოდომი (ლეი) | 9.5 |
| ტიმ დანკანი (ს-ანტ) | 9.3 |

**პასი**

| | |
|---|---|
| რაჟონ რონდო (ბოს) | 12.4 |
| სტივ ნეში (ფინ) | 11.1 |
| კრის პოლი (ნ-ორლ) | 9.8 |
| დერონ უილიამსი (იუტ) | 9.5 |
| ჯონ უოლი (ვაშ) | 9.1 |
| რეიმონდ ფელტონი (ნ-იორკ) | 8.9 |
| ხოსე კალდერონი (ტორ) | 8.8 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 8.6 |
| ჯეისონ კიდი (დალ) | 8.4 |
| დერიკ როუზი (ჩიკ) | 8.2 |

**ჩაჭრა**

| | |
|---|---|
| კრის პოლი (ნ-ორლ) | 2.6 |
| რაჟონ რონდო (ბოს) | 2.5 |
| მონტა ელისი (გ-სტ) | 2.2 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 1.9 |
| ტაირეკ ევანსი (საკ) | 1.8 |
| მანუ ჯინობილი (ს-ანტ) | 1.8 |
| რეიმონდ ფელტონი (ნ-იორ) | 1.8 |

**დაფარება**

| | |
|---|---|
| ენდრიუ ბოგუტი (მილ) | 2.8 |
| ჯაველ მაკგი (ვაშ) | 2.5 |
| დარკო მილიჩიჩი (მინ) | 2.3 |
| ამარე სტაუდმაიერი (ფინ) | 2.2 |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 2.1 |
| სერჟ იბაკა (ოკლ) | 2.1 |
| ელ ჯეფერსონი (იუტ) | 1.9 |
| ტიმ დანკანი (ს-ანტ) | 1.9 |
| პაუ გასოლი (ლეი) | 1.9 |
| მარკუს კემბი (პორ) | 1.9 |

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი



დაციუკი წარმატებით დაბრუნდა

# კალგარის სენსაცია

სერიოზული პრობლემები აქვს „ტორონტო მეიპლ ლივზს", რომელიც არა მარტო პლეი ოფში მოსახვედრად იბრძვის, არამედ გუნდის შიგნით არსებული რთული სიტუაციის მოგვარებასაც ცდილობს. მწვრთნელი **რონ უილსონი** უკმაყოფილოა ფორვარდ **ფილ კესელის** თამაშით, რომელსაც დიდი ხანია არ გაუტანია და ვერ ამართლებს კლუბის საუკეთესო ბომბარდირის სტატუსს. 23 წლის ჰოკეისტი სულ უფრო ნაკლებ სათამაშო დროს იღებს, რამაც მწვრთნელთან კონფლიქტი გამოიწვია. გუშინ „ტორონტომ" „ატლანტას" კარში ხუთი შაიბა გაიტანა, მაგრამ კესელს ერთი ქულაც არ მოუპოვებია. ამასთან, კანადელები აგებდნენ 0:2-ს, შემდეგ 2:3-ს, მაგრამ 5:4 გაიმარჯვეს, რითაც მე-12 ადგილი შეინარჩუნეს. რაც შეეხება „ატლანტას", მათ პლეი ოფის ზონაში შესვლის შანსი დაკარგეს და ახლა უშუალო კონკურენტ „კაროლინას" სამი თამაში აქვს თადარიგში.

თვენახევრიანი პაუზის შემდეგ „დეტროიტ რედ უინგზს" დაუბრუნდა თავისი ერთ-ერთი ლიდერი **პაველ დაციუკი**. რუსმა ტრავმის გამო 19 მატჩი გამოტოვა და ახლა თავის გუნდს „რეინჯერსთან" გამარჯვებაში დაეხმარა - 3:2. დაციუკის ანგარიშზე გოლი და შედეგიანი პასი მოდის, ანალოგიური შედეგი ჰქონდა **ირჟი ჰუდლერს**, გადამწყვეტი შაიბა კი **დრიუ მილერმა** გაიტანა. „რეინჯერსი" უკვე ხუთი ტურია ვერ ახერხებს გამარჯვებას.

გასაკვირი იყო „ნეშვილის" მარცხი. ეს გუნდი უიმედო აუტსაიდერ „ედმონტონს" მასპინძლობდა და ისე წააგო, რომ ერთი შაიბაც ვერ გაუტანა „ოილერზის" ახალგაზრდა მეკარე **დევინ დუბნიკს**. 24 წლის გოლკიპერმა 37 დარტყმა მოიგერია, ჩვეულებრივ საიმედო **პეკა რინემ** კი 20 დარტყმიდან ოთხი გაუშვა და მისი „ნეშვილი" 0:4 დამარცხდა.

გაცილებით სერიოზული პრობლემები აქვს „კოლორადოს", რომელმაც მორიგი შეხვედრა წააგო. **პეტერ ფორსბერგი** ჯერ ვერ შეუერთდა გუნდს, რადგან სამუშაო ვიზის აღება გაჭიანურდა. მის არყოფნაში „ფინიქსის" რუსმა მეკარემ **ილია ბრიზგალოვმა** სეზონში მეხუთე, კარიერაში კი 21-ე „შათაუტი" შეასრულა. ამასთან, რუსი გოლკიპერი ზედიზედ მეორე მატჩია საკუთარ კარში შაიბას არ უშვებს.

„კოლორადოსგან" განსხვავებით, გამარჯვებათა სერიას აგრძელებს „კალგარი". კანადელებმა საკუთარ მოედანზე უშუალო კონკურენტ „ჩიკაგოს" უმნიშვნელოვანესი მატჩი 3:1 მოუგეს და პირველად დიდხნიანი შესვენების შემდეგ პლეი ოფის ზონაში შევიდნენ. რა თქმა უნდა, „ფლეიმზის" გარშემო უამრავი კონკურენტია და განალდებული არაფერი აქვს, მაგრამ ეს მაინც უდიდესი მიღწევაა. შეგახსენებთ, რომ სულ ცოტა ხნის წინ „კალგარი" „ედმონტონთან" ერთად დასავლეთის ცხრილის ბოლოში იყო.

აღმოსავლეთის ცხრილის ფსკერზე ეშვება „ოტავა". „სენატორებმა" „ვანკუვერისთვის" კონკურენციის გაწევა სცადეს, მაგრამ მაინც წააგეს - 2:4. როგორც ჩანს, სულ მალე „ოტავა" ბოლო ადგილზე აღმოჩნდება - „აილენდერსი" მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება და ორი თამაში აქვს რეზერვში.

### კვირის სამი ვარსკვლავი

ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ გასული კვირის პირველ ვარსკვლავად „დეტროიტ რედ უინგზის" ფორვარდი **იოჰან ფრანცენი** დაასახელა. შვედი პირველი ჰოკეისტი გახდა 2007 წლის დეკემბრის შემდეგ, ვინც ერთ მატჩში ხუთი გოლი გაიტანა. ბოლოს ამის გაკეთება **მარიან გაბორიკმა** შეძლო. ფრანცენმა ხუთი შაიბა „ოტავას" შეუგდო და ამისთვის მხოლოდ 10 ზუსტი დარტყმის შესრულება დასჭირდა.

მეორე ვარსკვლავი გახდა „ვანკუვერ კენაქსის" ფორვარდი **მიკაელ სამუელსონი**. ის ლიდერი იყო წინა კვირას ქულების რაოდენობით - ექვსი (2+4). შვედმა ლეგიონერმა სამ მატჩში მიიღო მონაწილეობა და თითოში მინიმუმ ქულას აგროვებდა.

მესამე ვარსკვლავიც ფორვარდი გახლავთ - **კორი პერი** „ანაჰაიმ დაქსიდან". მან ხუთი ქულა (3+2) ჩაიწერა აქტივში. სამივე გოლი პერიმ ერთ მატჩში გაიტანა - სეზონში მეორე ჰეთ-თრიკი „კოლორადოსთან" მატჩში შეასრულა.

**დეტროიტი-რეინჯერსი 3:2**

0:0, 1:0, 2:2

**გოლები:** 1:0 დაციუკი-13 (ჰუდლერი-15, ქლირი-11), 1:1 სტეპანი-15 (გილროი-6, ვოლსკი-16), 2:1 ჰუდლერი-5 (ჯ. ერიქსონი-11, დაციუკი-28), 3:1 ლ. მილერი-4 (აბდელკადერი-9), 3:2 დუბინსკი-18 (მ. ეივერი-19, გაბორიკი-18).

**ტორონტო-ატლანტა 5:4**

0:2, 3:1, 2:1

**გოლები:** 0:1 ე. კეინი-14 (ლიტლი-18, ბოგოსიანი-6), 0:2 ბიფულინი-17 (ბოგოსიანი-7, პევერლი-17), 1:2 ფანოფი-2 (გრაბოვსკი-19, კულემინი-20), 2:2 გრაბოვსკი-22 (მაკარტური-27, ტ. კაბერლე-31), 2:3 ანტროპოვი-10 (ე. სტიუარტი-17), 3:3 მაკარტური-17 (ტ. კაბერლე-32, ვერსტეეგი-21), 4:3 კულემინი-19, 5:3 ბრენტი-7 (კრები-8, კ. არმსტრონგი-10), 5:4 ლედი-17 (პევერლი-18, ლიტლი-19).

**ნეშვილი-ედმონტონი 0:4**

0:1, 0:1, 0:2

**გოლები:** 0:1 კოლიანო-8 (ებერლე-17, ტ. ჰოლი-16), 0:2 რ. ჯონსი-12 (ფრეზერი-2, რედო-6), 0:3 ებერლე-10 (ვანდერმეერი-6, კოლიანო-14), 0:4 პენერი-18 (ჰემსკი-22).

**კალგარი-ჩიკაგო 3:1**

1:0, 0:1, 2:0

**გოლები:** 1:0 ბეკლუნდი-7 (ბუმა-1, პერდი-6), 1:1 პ. კეინი-15 (ტეუვზი-27, ბროუერი-16), 2:1 გლენკროსი-14 (ო. იოკინენი-23, რეგერი-8), 3:1 ბურკი-16 (ო. იოკინენი-24, იგინლა-28).

**ფინიქსი-კოლორადო 3:0**

1:0, 1:0, 1:0

**გოლები:** 1:0 ვრბატა-12 (ჰანჟალი-10, რეი უიტნი-28), 2:0 აპშოლი-16 (ტარისი-9, დოუნი-25), 3:0 ვრბატა-13 (პიატი-9, რეი უიტნი-29).

**ვანკუვერი-ოტავა 4:2**

2:0, 1:2, 1:0

**გოლები:** 1:0 ბაროუზი-14 (ჰ. სედინი-54, ერჰოფი-22), 2:0 კესლერი-31 (რეიმონდი-16, სამუელსონი-23), 3:0 სამუელსონი-12 (კესლერი-21, რეიმონდი-17), 3:1 ფოლინო-9 (სპეცა-12, ალფრედსონი-17), 3:2 სპეცა-10 (ფილიპსი-4), 4:2 სამუელსონი-13 (რეიმონდი-18).

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ფილადელფია* | 53 | 35 | 13 | 5 | 75 |
| 2. ტამპა ბეი* | 54 | 33 | 16 | 5 | 71 |
| 3. ბოსტონი* | 53 | 30 | 16 | 7 | 67 |
| 4. პიტსბურგი | 54 | 34 | 16 | 4 | 72 |
| 5. ვაშინგტონი | 54 | 29 | 15 | 10 | 68 |
| 6. მონრეალი | 54 | 30 | 19 | 5 | 65 |
| 7. რეინჯერსი | 56 | 29 | 23 | 4 | 62 |
| 8. კაროლინა | 53 | 26 | 21 | 6 | 58 |
| 9. ატლანტა | 56 | 24 | 22 | 10 | 58 |
| 10. ბაფალო | 51 | 24 | 22 | 5 | 53 |
| 11. ფლორიდა | 52 | 23 | 23 | 6 | 52 |
| 12. ტორონტო | 53 | 22 | 26 | 5 | 49 |
| 13. ნიუ ჯერსი | 53 | 19 | 30 | 4 | 42 |
| 14. ოტავა | 54 | 17 | 29 | 8 | 42 |
| 15. აილენდერსი | 52 | 17 | 28 | 7 | 41 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ვანკუვერი* | 54 | 35 | 10 | 9 | 79 |
| 2. დეტროიტი* | 53 | 32 | 15 | 6 | 70 |
| 3. დალასი* | 53 | 30 | 18 | 5 | 65 |
| 4. ნეშვილი | 54 | 28 | 19 | 7 | 63 |
| 5. ფინიქსი | 55 | 27 | 19 | 9 | 63 |
| 6. სან ხოსე | 53 | 28 | 19 | 6 | 62 |
| 7. ანაჰაიმი | 54 | 29 | 21 | 4 | 62 |
| 8. კალგარი | 55 | 27 | 21 | 7 | 61 |
| 9. ლოს ანჯელესი | 53 | 29 | 22 | 2 | 60 |
| 10. მინესოტა | 52 | 27 | 20 | 5 | 59 |
| 11. ჩიკაგო | 53 | 27 | 22 | 4 | 58 |
| 12. კოლორადო | 53 | 25 | 22 | 6 | 56 |
| 13. კოლამბუსი | 52 | 25 | 22 | 5 | 55 |
| 14. სტ. ლუისი | 51 | 23 | 20 | 8 | 54 |
| 15. ედმონტონი | 53 | 16 | 29 | 8 | 40 |

* - დივიზიონის ლიდერი

**ბომბარდირები**

**გოლი+პასი**

| | |
|---|---|
| სტივენ სტემკოსი (ტ-ბეი) | 72 (40+32) |
| დანიელ სედინი (ვან) | 69 (28+41) |
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 66 (12+54) |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 66 (32+34) |
| მარტინ სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 64 (20+44) |
| ბრედ რიჩარდსი (დალ) | 59 (21+38) |
| კორი პერი (ანა) | 56 (28+28) |
| ჰენრიკ ზეტერბერგი (დეტ) | 56 (16+40) |
| ალექსანდ ოვეჩკინი (ვაშ) | 55 (20+35) |
| ერიკ სტაალი (კარ) | 53 (26+27) |

**გოლები**

| | |
|---|---|
| სტივენ სტემკოსი (ტ-ბეი) | 40 |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 32 |
| რაიან კესლერი (ვან) | 31 |
| კორი პერი (ანა) | 28 |
| დანიელ სედინი (ვან) | 28 |
| პატრიკ შარპი (ჩიკ) | 26 |
| დენი ბრიერი (ფილ) | 26 |
| ერიკ სტაალი (კარ) | 26 |
| იოჰან ფრანცენი (დეტ) | 26 |
| ჯეფ კარტერი (ფილ) | 25 |

**პასები**

| | |
|---|---|
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 54 |
| მარტინ სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 44 |
| დანიელ სედინი (ვან) | 41 |
| ჰენრიკ ზეტერბერგი (დეტ) | 40 |
| ბრედ რიჩარდსი (დალ) | 38 |
| მაიკ რიბეირო (დალ) | 37 |
| ნიკლას ბექსტრიომი (ვაშ) | 36 |
| კიტ იენდლი (ფინ) | 36 |
| ალექსანდ ოვეჩკინი (ვაშ) | 35 |
| ლუბომირ ვიშნოვსკი (ანა) | 35 |

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩები**

**ნაკრებები**

| | |
|---|---|
| კვიპროსი-შვედეთი | 0:2 |
| კოტ დ'ივუარი-მალი | 1:0 |
| რუმინეთი-უკრაინა | 2:2 პენ. 2:4 |
| ირლანდია-უელსი | 3:0 |
| პერუ-პანამა | 1:0 |

**Under 21**

| | |
|---|---|
| იტალია-ინგლისი | 1:0 |
| ბელარუსი-მოლდოვა | 1:1 |
| ლუქსემბურგი-ავსტრია | 0:6 |
| ესპანეთი-დანია | 2:1 |
| საფრანგეთი-სლოვაკეთი | 3:1 |

**კლუბები**

| | |
|---|---|
| ბრაშოვი-გიონგნამი | 5:2 |
| უიპეშტი-ჟილინა | 0:1 |
| ვაშაში-რუჟომბეროკი | 0:0 |
| ბრონდბიუ-კიოგე | 1:0 |
| ლოკომოტივი (ს)-ტრნავა | 1:1 |
| ნიტრა-ბოჰემიანსი | 1:2 |
| სტაბეკი-ჰაკენი | 1:1 |
| სტიაუა-კოპერი | 1:0 |

**ინგლისი**

**I ლიგა**

| | |
|---|---|
| ლეიტონი-სუინდონი | 3:0 |
| როჩდეილი-როვერსი | 3:1 |

**II ლიგა**

| | |
|---|---|
| ბერი-სტევენეიჯი | 3:0 |
| ჯილინგემი-როტერჰემი | 3:1 |
| ჰერეფორდი-მაკლსფილდი | 2:2 |
| ლინკოლნი-შრიუსბერი | 1:5 |
| მორეკამბი-ალდერშოტი | 1:1 |

**League Trophy**

| | |
|---|---|
| ჰადერსფილდი-კარლაილი | 3:0 |

**უელსი**

| | |
|---|---|
| ნითი-პორტ ტელბოტი | 2:1 |
| ტნს-ლანელი | 2:0 |

**ავსტრალია**

| | |
|---|---|
| ნ. ქუინსლენდი-ბრისბენი | 1:2 |

**ჰოკეი**

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| აკრონი-ალბა | 4:5 (ო) |
| ვილახი-ზაგრები | 2:1 |
| გრაცი-ოლიმპია | 1:3 |
| ზალცბურგი-ვენა | 3:1 |
| ლინცი-კლაგენფიურტი | 4:3 (ბ) |

**ჩოგბურთი**

**ATP. კოსტა დე საუპი**

| | |
|---|---|
| ბერლოკი-გემი | 6:4, 6:3 |
| მაშადო-ბანისი | 6:4, 6:2 |
| შვანკი-**კუბოტი** | 7:6, 5:7, 6:7 |
| ჩელა-დუტრა სილვა | 6:7, 7:6, 6:3 |

**ATP. როტერდამი**

| | |
|---|---|
| კოლშრაიბერი-ლუ | 6:4, 7:6 |
| სტახოვსკი-**ლუბიჩიჩი** | 6:7, 3:6 |
| ფერერი-**ნიემინენი** | 3:6, 4:6 |
| ცონგა-დიმიტროვი | 6:4, 6:4 |
| **სიოდერლინგი**-ჰაასე | 6:3, 6:2 |
| **ბერდიხი**-გარსია ლოპესი | 6:1, 6:2 |
| გულბისი-დე ბაკერი | გადაიდო |

**ATP. სან ხოსე**

| | |
|---|---|
| ფალა-**დაბული** | 4:6, 3:6 |
| ბეკერი-**ბერაკისი** | 3:6, 6:7 |
| მალისე-**რაონიჩი** | 3:6, 4:6 |

**WTA. პარიზი**

| | |
|---|---|
| **კანეპი**-სევასტოვა | 7:6, 6:2 |
| **სტრიუკოვა**-პირონკოვა | 7:6, 6:3 |
| დუშევინა-**ოუდინი** | 5:7, 7:5, 2:6 |
| **ზაკოპალოვა**-ბაჩინსკი | 6:3, 6:3 |
| **კვიტოვა**-მანასიევა | 7:5, 6:4 |
| **ციბულკოვა**-ვრლიჩი | 6:0, 6:2 |
| საფაროვა-**დოკიჩი** | 6:4, 3:6, 4:6 |
| მაკაროვა-**კუცოვა** | 6:4, 3:6, 6:7 |
| **მატეკი**-სუარეს ნავარო | 6:0, 6:3 |

**WTA. პატაია**

| | |
|---|---|
| **ივანოვიჩი**-ლუანგნამი | 6:0, 6:2 |
| დიასი-**ვანასუკი** | 4:6, 4:6 |
| ჟენგი-**ამანმურადოვა** | 4:6, 6:7 |
| **ზვონარევა**-პაშეკი | 6:4, 6:2 |
| **ერანი**-ჩანგი | 4:6, 6:2, 6:4 |
| **ბალტაჩა**-ლერტპიტაკსინჩაი | 6:2, 6:3 |
| **ვინჩი**-პალკინა | 6:1, 6:3 |
| **დატე**-ვორაკოვა | 6:2, 6:2 |
| **მორიტა**-ტანასუგარნი | 6:3, 6:2 |
| ოპრანდი-**ვოსკობოევა** | 6:4, 3:6, 5:7 |
| **ჰანტუხოვა**-ნარა | 6:2, 6:1 |
| **შიპერსი**-მალეკი | 7:6, 6:2 |

## TV პროგრამა

**9 თებერვალი. ოთხშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**23:40** ამხანაგური მატჩი. გერმანია-იტალია (LIVE).

**НТВ-პლიუსი (ფეხბურთი)**

**23:40** ამხანაგური მატჩი. გერმანია-იტალია (LIVE).
**03:55** ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი. ფლუმინენსე-არგენტინოს ხუნიორსი (LIVE).

**НТВ-პლიუსი (სპორტი)**

**18:40** ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. პლეი ოფი. ლოკომოტივი-კუნეო. საპასუხო მატჩი (LIVE).

**НТВ-პლიუსი (ონლაინი)**

**22:55** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. სიუდად რეალი (ესპანეთი)-უნივერსიტეტი (რუსეთი) (LIVE).

**НТВ-პლიუსი (კალათბურთი)**

**04:00** NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ტორონტო-სან ანტონიო (LIVE).

**SPORT+**

**20:55** ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. პლეი ოფი. ზენიტი-ბლედი. საპასუხო მატჩი (LIVE).
**23:10** ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. პლეი ოფი. ვოლერო-ზარეჩიე. საპასუხო მატჩი (LIVE).

**EUROSPORT**

**13:45** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. სუპერგიგანტი. გარმიშ-პარტენკირხენი. გერმანია (LIVE).
**17:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. III დღე. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
**20:55** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. III დღე. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).

**EUROSPORT-2**

**16:00** ველოსპორტი. კატარის ტური. II ეტაპი (LIVE).
**20:30** კალათბურთი. ევროლიგა. ქალები. 1/8 ფინალი. ვისლა (პოლონეთი)-ნადეჟდა (რუსეთი) (LIVE).
**23:45** ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი. შოტლანდია-ჩრ. ირლანდია (LIVE).
**01:45** ფეხბურთი. კოპა ამერიკა (20-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. კოლუმბია-ჩილე. პერუ (LIVE).

## ჰოკეი

# კროსბის მარტამდე ვერ ვნახავთ

კვლავ ცუდი ამბები ვრცელდება „პიტსბურგ პინგვინზის" ბანაკიდან. შეგახსენებთ, რომ ამ გუნდს სეზონის ბოლომდე გამოაკლდა ერთ-ერთი ლიდერი **ევგენი მალკინი**, გუშინ კი გაირკვა, რომ „პინგვინებს" მარტამდე ვერ დაეხმარება კაპიტანი და საუკეთესო ბომბარდირი **სიდნი კროსბი**, რომელიც ტვინის შერყევის შემდეგ კვლავაც აღდგენით კურსს გადის.

კროსბი, რომელმაც დაზიანება იანვარში მიიღო, მხოლოდ ათი დღის შემდეგ განაახლებს სრულფასოვან ვარჯიშებს. ამასთან, ექიმები იმის გარანტიასაც ვერ იძლევიან, რომ სიდნი დათქმულ დროში (მარტის დასაწყისში) მზად იქნება სათამაშოდ.

ნებისმიერ შემთხვევაში, კანადური ჰოკეის მთავარი ვარსკვლავი პლეი ოფში აუცილებლად ითამაშებს. სტენლის თასის საგზურის მოპოვება „პიტსბურგს" არ უნდა გაუჭირდეს, რადგან ეს გუნდი თავისი ლიდერების გარეშეც ახერხებს წინსვლას.

■ ■ ■

„ანაჰაიმ დაქსმა" კარის ხაზის გაძლიერებაზე იზრუნა და კონტრაქტი გააფორმა ვეტერან მეკარე **რეი ემერისთან**. ეს გოლკიპერი შარშან „ფილადელფია ფლაიერზში" გამოდიოდა - 29-ჯერ დაიცვა ამ გუნდის კარი. გასული სეზონის ბოლოს ემერიმ საზარდულის ტრავმის გამო ვერ ითამაშა, სეზონებს შორის შესვენებისას კი ოპერაცია გადაიტანა.

„ფილადელფიამდე" ემერი „ატლანტას" ღირსებას იცავდა - 2008-09 წლების სეზონში ამ გუნდში 36 მატჩი ჩაატარა.

ქართული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1



ახალი ფორს ინდია

# ფორს ინდია წინსვლას გეგმავს

მორიგი გუნდი, რომელმაც ახალი ბოლიდის პრეზენტაცია მოაწყო, ინდური საჯინიბო „ფორს ინდია" გახლავთ. ინდოელებმა VJM04-ის ონლაინ პრეზენტაცია შემოგვთავაზეს, რასაც გუნდის ხელმძღვანელთა კომენტარები მოჰყვა.

*„წელს უფრო ოპტიმისტურად ვართ განწყობილი,* - ამბობს გუნდის შეფი **ვიჯეი მალია**. - *ჩვენთან სამი პილოტი ირიცხება, რომლებსაც ქულების, პოდიუმებისა და გამარჯვებების მოპოვების დიდი ამბიცია გააჩნიათ. გუნდს გამოცდილი ტექნიკური ჯგუფი ჰყავს, რომელიც იოლად უღებს ალღოს ტექნიკურ რეგლამენტში მუდმივ ცვლილებებს. გარდა ამისა, ისეთ კომპანიებთან თანამშრომლობა, როგორებიც არიან - McLaren Applied Technologies და Mercedes-Benz High Performance Engines, დამატებით შესაძლებლობებსა და რესურსებს გვანიჭებს".*

„ფორს ინდიას" ძლიერი შემადგენლობა ჰყავს - ძირითადი პილოტები: **ადრიან სუტილი** და **პოლ დი რესტა**, ტესტპილოტი **ნიკო ჰიულკენბერგი**. შოტლანდიელი დი რესტა დებიუტანტია, რომელმაც სეზონისწინა ტესტებზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

*„შედეგი ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. უბრალოდ მინდა მუშაობაში პოზიტიური მიდგომა გამოვიყენო, რბოლებში ფინიშამდე მივაღწიო, სტაბილურად გამოვიდე და საერთო საქმეში შესამჩნევი წვლილი შევიტანო, რადგან კონსტრუქტორთა თასზე მაღალი ადგილის დაკავებას ვაპირებთ",* - ამბობს დი რესტა.

შარშან „ფორს ინდიამ" კონსტრუქტორთა თასზე 68 ქულით მეშვიდე ადგილი დაიკავა - ეს გუნდის არსებობის ისტორიაში საუკეთესო შედეგია.

# ვინ შეცვლის კუბიცას?



„ლოტუს რენოს" ხელმძღვანელის **ერიკ ბუეის** თქმით, ტრავმირებული **რობერტ კუბიცას** შემცვლელად სამი პილოტის კანდიდატურა განიხილება. ესენი არიან: **ბრუნო სენა, ვიტანტონიო ლიუცი** და **ნიკ ჰაიდფელდი**. ამის შესახებ ფრანგმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომელიც გუშინ Santa Corona-ს საავადმყოფოში გაიმართა - იქ, სადაც პოლონელი პილოტი მკურნალობს.

*„პირველად საქესთან ჩვენი ძირითადი ტესტპილოტი დაჯდება, ჩვენი კი ამასობაში კუბიცას შემცვლელს მოვუძებნით. ჯერჯერობით განიხილება სენას, ლიუცისა და ჰაიდფელდის ვარიანტები.*

*მუდმივი კონტაქტი გვაქვს კუბიცასთან, ველოდებით მის დაბრუნებას და იმედი გვაქვს, რომ ეს წლევანდელი სეზონის დასრულებამდე მოხდება",* - განაცხადა ბუიემ.

მანვე ისიც აღნიშნა, რომ უმძიმესი ავარიის მიუხედავად, კუბიცა კარგ ხასიათზეა, ბევრს ხუმრობს და თან გუნდის ბედიც აღელვებს. გამოფხიზლებისთანავე მან პირველ რიგში შემქნილი სიტუაციიდან გამოსვლის გზებზე ჰკითხა „ლოტუს რენოს" შეფს.

ცივბურებით სირბილი

# ხუთგზის ჩემპიონი არ ნებდება

ლეგენდარული გერმანელი მოციგურავე, ხუთგზის ოლიმპიური ჩემპიონი **კლაუდია პეხშტაინი** დიდ სპორტში ბრუნდება. 38 წლის სპორტსმენმა მოიხადა ორწლიანი დისკვალიფიკაცია და აცხადებს, რომ მალე ისევ დაუმტკიცებს ყველას თავის შესაძლებლობებს.

პეხშტაინი კარიერას 2011 წლის 12 თებერვალს, გერმანიის ქალაქ ერფურტში განაახლებს. კლაუდია აპირებს მსოფლიოს თასის ეტაპის საგზურისთვის ბრძოლას, რომელიც სოლტ-ლეიკ-სიტიში გაიმართება.

კლაუდია მოციგურავეთა საერთაშორისო კავშირმა ე. წ. „სისხლის დოპინგის" გამოყენებისთვის დასაჯა. დისკვალიფიკაციის ათვლა 2009 წლის თებერვალში დაიწყო. თავად გერმანელი უარყოფდა დოპინგის მიღებას და სპორტულ საარბიტრაჟო სასამართლოში იჩივლა, მაგრამ ვერაფერს გახდა და პეხშტაინი ვანკუვერის ოლიმპიადის მიღმა დარჩა.

დისკვალიფიკაციის პერიოდში მოციგურავე პოლიციაში მუშაობდა, მაგრამ ბოლო დროს საქმეებს ჩამოშორდა და ფსიქიატრთან იმკურნალა, რადგან მძიმედ გადაიტანა დისკვალიფიკაცია. კერძოდ, ავტობიოგრაფიულ წიგნში დაწერა, რომ სიცოცხლის თვითმკვლელობით დასრულებას აპირებდა.

სულ კარიერის განმავლობაში პეხშტაინს ცხრა ოლიმპიური მედალი აქვს მოგებული - ხუთი ოქროს, ორი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოსი.

ჩოგბურთი. ტურნირების მიმოხილვა

# ბლეიკი მოგებით დაბრუნდა

## კიმ კლაისტერსს ამ კვირას რეიტინგში ლიდეროზის დაბრუნება შეუძლია

გუშინდელ ნომერში გაგაცანით ამ კვირის ხუთი ტურნირის პროგრამა და ფავორიტები. როტერდამში გამარჯვების პრეტენდენტებს შორის გამოგვრჩა რუსი **ნიკოლაი დავიდენკოს** მოხსენიება, მაგრამ თურმე სწორად მოვქცეულვართ. ერთ დროს ძლიერმა რუსმა პირველივე წრეში შეწყვიტა ბრძოლა. მან ორ სეტში წააგო **მიკაელ ლოდრასთან**. ფრანგი ძალიან კარგად აწვდიდა და ჯამში 12 ეისი დაუგროვდა. ის თამაშის სხვა კომპონენტებშიც სჯობდა მეტოქეს და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა, დავიდენკო კი სწრაფი ტემპებით ეშვება ძირს კლასიფიკაციაში.

ასევე პრობლემები არ ჰქონია მოწოდების მხრივ დევისის თასის შარშანდელი ფინალის გმირ **ვიქტორ ტროიცკის**, რომელმაც 13 ეისი მიითვალა. თუმცა ეისების გარეშეც ის იოლად გაუმკლავდებოდა ვინმე **ტომაშ შურელს**. ასევე იოლი შეხვედრა ჰქონდა **მარინ ჩილიჩს** - მას 62 წუთი დასჭირდა გერმანელი **მიშა ზვერევის** დასამარცხებლად.

ამ დუეტისგან განსხვავებით, შედარებით უშინაარსო ჩოგბურთი აჩვენა ბოლო დროს მომძლავრებულმა ავსტრიელმა **იურგენ მელცერმა**, მაგრამ მაინც დაამარცხა 25 წლის **ჰუტა გალუნგი**. ამისთვის მელცერმა ექვსიდან სამი ბრეიკ-პოინტის გამოყენება იკმარა.

ბრაზილიის კოშტა დე სოუპეში პირველ დღეს მხოლოდ სამი მატჩი გაიმართა და აქ მერვე ნომრად განთესილი ჩოგბურთელი გამოეთიშა ბრძოლას. რუმინელმა **ვიქტორ ჰანესკუმ** იტალიელ **ფილიპო ვოლანდრისთან** წააგო. ასევე აღვნიშნავთ ესპანელ **პაბლო ანდუხარის** მოგებას თანამემამულე **დანიელ ხიმენო-ტრავეროსთან** მატჩში, სადაც ბრძოლა პრაქტიკულად არ ყოფილა.

სან ხოსეს ტურნირში ერთი ლოკალური მნიშვნელობის მოვლენა მოხდა - **დონალდ იანგმა** ივლისის შემდეგ პირველი გამარჯვება მოიპოვა ტურში. იუნიორთა რეიტინგის ყოფილმა პირველმა ნომერმა ოთხიდან ორი ბრეიკ-პოინტი გამოიყენა და საათსა და 15 წუთში დაამარცხა **დასტინ ბრაუნი**.

სუფთა ამერიკულ დაპირისპირებაში **მაიკლ რასელმა** ძირითად ბადეში კვალიფიკაციიდან მოხვედრილ **ალექს კუზნეცოვს** სძლია. ამისთვის მას ზუსტად საათ-ნახევარი დასჭირდა.

დღის ბოლოს ორი საინტერესო მატჩი გაიმართა. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ამერიკელი **ჯეიმს ბლეიკი**, რომელიც შარშანდელი ოქტომბრის შემდეგ პირველ შეხვედრას ატარებდა პროფესიულ ტურში. მსოფლიოს ყოფილმა მეოთხე ნომერმა ეს დრო ტრავმების მკურნალობას მოახმარა.

ბლეიკს პირველ მეტოქედ ამერიკელი **ჯესი ლევაინი** ერგო. პირველ სეტში ბრძოლის (7:5) შემდეგ, მეორე პარტია ჯეიმსმა 6:1 მოიგო და მეორე წრეში გავიდა, სადაც მისი მეტოქე ბელგიელი **ქსავიე მალისესა** და კანადელი **მილოშ რაონიჩის** მატჩში გაირკვევა.

*„ძალიან რთულია საუკეთესო ჩოგბურთის ისევ ჩვენება, განსაკუთრებით მატჩის დაძაბულ მომენტებში, მაგრამ ვფიქრობ, ამ თვისების დასაბრუნებლად დღეს პირველი ნაბიჯი გადავდგი. ტკივილი არ მიგრძნია, რაც კარგი ნიშანია. ახლა მთავარია ჯანმრთელი დავრჩე - ესაა უპირველესი საზრუნავი, მხოლოდ ამის შემდეგ დავაკვირდები სპორტულ შედეგებს",* - განაცხადა მატჩის შემდეგ ბლეიკმა.

ასევე ორ სეტში მოიგო პირველი წრის შეხვედრა სახელოვანმა **ლეიტონ ჰიუიტმა**. რეიტინგში 70-ე პოზიციამდე ჩამოქვეითებულმა ავსტრალიელმა საათსა და 11 წუთში სძლია გერმანელ **ბიორნ ფაუს** - 6:3, 6:3.

■ ■ ■

ქალთა შორის ყველაზე წარმომადგენლობით ტურნირში (პარიზი) მხოლოდ ერთი მატჩი გაიმართა, რომელშიც **კრისტინა ბაროისმა ივეტ ბენეშოვა** სამ პარტიაში დაამარცხა.

ბაროისს მეორე წრეში ბელგიელი ფავორიტი **კიმ კლაისტერსი** დაუპირისპირდება. პარიზის ტურნირის შემდეგ ავსტრალიის ღია პირველობის ტრიუმფატორმა, შესაძლოა, დაიბრუნოს პირველობა WTA-ის კლასიფიკაციაში. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ კლაისტერსი ნახევარფინალში თამაშის უფლებას მიიღებს. ამის სანაცვლოდ ის 150 სარეიტინგო ქულას მიიღებს და გაასწრებს დანიელ **კაროლინ ვოზნიაცკის**. შეგახსენებთ, რომ ბოლო რეიტინგის მიხედვით, ვოზნიაცკი კიმს 140 ქულით უსწრებს. კაროლინი ამ კვირას ტურნირებში არ მონაწილეობს და შესაბამისად, კლაისტერსს ხელს ვერ შეუშლის.

„დიდი სლემის" ტურნირების ოთხგზის ჩემპიონი ბოლოს 2006 წელს იყო მსოფლიო რეიტინგის ლიდერი.



ჯეიმს ბლეიკი

# რაფამ წიგნი დაწერა და ვარჯიშს იწყებს

კაცებს შორის მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **რაფაელ ნადალმა** პრაქტიკულად მოირჩინა ბარძაყის ტრავმა, რომელიც ავსტრალიის ღია პირველობის მეოთხედფინალში თანამემამულე **დავიდ ფერერთან** მატჩში მიიღო. რაფა დღეს ბარსელონაში გაივლის საბოლოო სამედიცინო შემოწმებას. თუმცა ნადალი ამ შემოწმების გარეშეც დარწმუნებულია, რომ ექიმები დადებით დიაგნოზს დასვამენ და უკვე ამ კვირას მისცემენ ვარჯიშების განახლების საშუალებას.

*„მკურნალობა გეგმის მიხედვით წარმატებულად მიმდინარეობს. ბოლო გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ სერიოზული საფრთხე აღარ არსებობს. იმედია, ხვალინდელი შემოწმების შემდეგ ხუთშაბათიდან მომცემენ ვარჯიშების განახლების საშუალებას. თუმცა მზად ვარ ორშაბათამდეც მოვიცადო",* - ამბობს ნადალი.

ამასობაში, მჭიდრო კალენდრის მიუხედავად, „დიდი სლემის" ტურნირების ცხრაგზის ჩემპიონმა თავისი ავტობიოგრაფიული წიგნის დაწერა მოასწრო. როგორც ნადალის ოფიციალური ვებგვერდი იტყობინება, წიგნის სათაურია - „რაფა: ჩემი ისტორია".

ნადალის ავტობიოგრაფიას ინგლისურ ენაზე გამომცემლობა Hyperion წარმოადგენს. წიგნის თანაავტორი გახლავთ ცნობილი სპორტული ჟურნალისტი **ჯონ კარლინი**.

ავტობიოგრაფია 272-გვერდიანია. მისი შეძენა მკითხველს 2011 წლის 23 აგვისტოდან შეეძლება, თუმცა მთელ რიგ მსხვილ ინტერნეტმაღაზიებში წიგნის შეკვეთა უფრო ადრე იქნება შესაძლებელი.



რაფაელ ნადალი

■ ■ ■

გუშინ ცნობილი გახდა, რომ იოჰანესბურგში ATP-ის ტურნირმა არსებობა შეწყვიტა. ამ შეჯიბრებას ვერ ვიხილავთ მამაკაცთა ტურის 2012 წლის კალენდარში. მიზეზი საგაისო განრიგში მომხდარი გადაადგილებებია, რომელიც ლონდონის ოლიმპიადის ჩატარებას უკავშირდება.

*„ჩვენ გვაქვს დაახლოებით რვა თვე იმისთვის, რომ გადავაფიქრებინოთ ATP-ის ხელმძღვანელობას და ტურნირისთვის ახალი ვადები შევარჩიოთ. ისინი მზად არიან მოლაპარაკებისთვის, თუმცა წინ რთული ბრძოლა გველის. იმედია, შევინარჩუნებთ ამ ტურნირს",* - განაცხადა SA Open-ის დირექტორმა **აიან სმიტმა**.

იოჰანესბურგის ტურნირი წინა კვირას დასრულდა. იქ პირველობა ადგილობრივმა ჩოგბურთელმა - **კევინ ანდერსონმა** მოიპოვა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**